ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

## ხანჯალიაშვილის ოქრო, გოგოთაძის ვერცხლი

ბუდაპეშტი, მსოფლიოს თასი
>> 12

გამოცემის 75-ე წელიწადი

№037 (12716) 16 თებერვალი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# თამაში გაძლევაბაზე

### მერებაშვილმა სიონი გააქრო



კვირას, ეროვნულზე. დინამო-სიონი 4:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი >> 2-4



კალაძე და იბრაჰიმოვიჩი ბურთისთვის ბრძოლაში

იტალია

## ინტერმა სკუდეტოზე ადრიანოს ხელი დაადო

>> 6

ესპანეთი

## ბარსა სევილიაში გადარჩა

რეალი ცოტათი ახლოსაა >> 7

გერმანია

## ბაიერნი ბერლინში დაეცა

ახალი ლიდერი ჰერთაა >> 9

## რატომ ვერ გავანგრიეთ პორტუგალიური კედელი?



>> 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XIX ტური

# ტაიმი და 30 წუთი

## სიონმა დინამოს მეტი ვერ გაუძლო

15.02. თბილისი. ეროვნული. 350 მაყურებელი

**დინამო-სიონი**

**4:1**

1:0 გ. მერებაშვილი (23-პენ), 1:1 ზ. ჭელიძე (39), 2:1 ხმალაძე (80), 3:1 გ. მერებაშვილი (84), 4:1 გ. მერებაშვილი (87)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, კრშკო, გ. კაშია, ჩარასი - შ. კაშია (88. ტომიჩი), ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე (65. ლომია) - გ. მერებაშვილი, ვანაძე (59. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, კაკუბავა, გველესიანი, ჯუისი*

სიონი: ჭანტურია - ორბელაძე, ი. ვაშაკიძე, სვანიძე, მუჯირი - შალამბერიძე, ზ. ჭელიძე (85. დავითაშვილი), გ. ხიდაშელი (68. შენგელია), სანიკიძე - მიკუჩაძე (85. ბობოხიძე), რ. გოცირიძე.

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ბაჯელიძე, ქემოკლიძე, კაკაშვილი*

გაფრთხილება: ი. ვაშაკიძე (22), გ. კაშია (61)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი



ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა - თბილისის „დინამომ" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, თუმცა ეს არ ყოფილა იოლი მოგება **რაინერ ცობელის** გუნდისთვის.

მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ „დინამომ" პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა. ასეთ დროს ყოველთვის ძნელია სრულად აჩვენო ის, რაც შეგიძლია. შესაბამისად, ძნელია ისიც, კარგად შეაფასო და განჭვრიტო გუნდის ძალა. „დინამო" დატოვა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა **დავით ოდიკაძემ**, რომლის ადგილზე ცობელმა **შოთა კაშია** გაამწესა. ამ მარჯვენაფლანგელმა გუშინ საქმეს თავი კარგად გაართვა, თუმცა ჯერ ადრეა იმის თქმა, როგორ შეცვლის ოდიკაძეს. კაშიას მარჯვენა ნახევარმცველად ადრეც უთამაშია.

საინტერესო იყო ისიც, როგორ შთაბეჭდილებას დატოვებდა სადებიუტო შეხვედრაში „დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეკლამირებული ახალწვეული - არგენტინელი მარცხენა მცველი **მარკოს ჩარასი**. ის შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა, თუმც ეს ბევრს არ უნდა ნიშნავდეს - ოფიციალურ მატჩში ჩარასმა პირველად ითამაშა „დინამოში" და ახალ გუნდსა თუ გარემოსთან შესაგუებლად დრო სჭირდება.

„დინამო" ახლა მეორე ადგილზეა, მდევრის როლშია და ფეხის დაცდენის უფლება წართმეული აქვს. გუშინ ცობელის გუნდი ვერ იყო დიდად მოსაწონი, მაგრამ ეს მაინც პირველი შთაბეჭდილებაა. მომდევნო ტურში „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" გორში ესტუმრება და შავი და თეთრი იქ უკეთ გამოჩნდება.

რაც შეეხება ბოლნისის „სიონს", **ოთარ კორღალიძის** გუნდისგან ჯერ კიდევ წინა ტურში ველოდით გაცილებით მეტს, მაგრამ ბოლნისელებმა „სპარტაკთან" უფერულად (0:0) ითამაშეს, გუშინ კი, ბოლო 15 წუთის რომ გაეძლოთ, საკმაოდ მსუყე ქულას მოიპოვებდნენ, მაგრამ ისიც ვიკითხოთ - იმსახურებდა კი „სიონი" ქულას?

ახლა უშუალოდ სათამაშო პერიპეტიებზე. პირველ ტაიმში **დავით დილმელაშვილის** ჩაწოდებულს **ლევან ხმალაძემ** შეაგება თავური, ბურთი კარში გადიოდა, მაგრამ ძელთან ჩამდგარი **კობა შალამბერიძე** ასევე თავით გადაელობა მას. პირველ წუთებზე შექმნილ ამ საგოლე მომენტს 15-წუთიანი უგერგილო პაუზა მოჰყვა, მერე კი ტრავმის შემდეგ მინდორზე პირველად გამოჩენილ **მათე ვაწაძეს** შეეძლო გატანა - დინამოელთა მეგოლე კარგად დაუსხლტა **დავით სვანიძეს**, მაგრამ ცაციათი სუსტად დაარტყა და **გია ჭანტურიამ** ხიფათი იოლად გააუვნებლა.

„სიონს" დაცვის ცენტრში გაუჭირდა. **ირაკლი ვაშაკიძე** გამოცდილი ცენტრალური მცველია, მაგრამ სისწრაფეში დიდად ჩამორჩებოდა ვაწაძესა და **გიორგი მერებაშვილს**. ვაშაკიძის მეწყვილე **დავით სვანიძე** ბევრს კი მოძრაობდა, მაგრამ დინამოელთა შემტევებთან გამკლავება „სიონის" დაცვას მაინც უჭირდა. მერებაშვილმა სწორედ ვაშაკიძესთან ორთაბრძოლაში მოიპოვა 11-მეტრიანი და „დინამოც" დააწინაურა.



გაშვებულმა გოლმა „სიონი" მართლაც გაახელა. ვერ ვიტყვით, ბოლნისელები მწყობრად და ლონივრად უტევდნენ-თქო, მაგრამ იერიშები მაინც გამოაკეთეს. **კოკა მიკუჩაძემ** ფლანგზე მოხდენილად ჩამოიცილა ჩარასი, კარგად ჩააწოდა კარის გასწვრივ, სადაც დასწრებაზე ჩინებულად ითამაშა **რევაზ გოცირიძემ**, რომლის მიერ ახლოდან დარტყმული **დიდიე ოვონომ** მოიგერია, თუმც დამატებაზე ბურთთან **ზაზა ჭელიძე** გაჩნდა და ანგარიშიც გაათანაბრა.

პირველი ტაიმის ანგარიში ლოგიკური გამოდგა, „დინამო" უფრო მეტს და სახიფათოდ კი უტევდა, მაგრამ დიდ უპირატესობას ვერ ფლობდა. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე მერებაშვილმა კარგად გაჭრა პასი, მაგრამ დასწრებაზე თამაშისას ვაწაძემ ბურთი კარისკენ უზუსტოდ დაარტყა.

ბოლნისელებს დისკვალიფიცირებული საყრდენი ნახევარმცველი **გივი დიდავა** აკლდათ და ეს არ იყო პატარა მინუსი. მოედნის ცენტრში „დინამო" თითქოს დიდ უპირატესობას არ ფლობდა, მაგრამ, როგორც კი მერებაშვილი მოედნის სიღრმიდან დაიწყებდა შეტევას, „სიონის" დამცავი საშუალებები ყანყალს იწყებდნენ. ასეთ დროს დიდავა, ალბათ, ძალიან გამოადგებოდა კორღალიძის გუნდს.

ასეთი ანგარიში, რა თქმა უნდა, „სიონს" აძლევდა ხელს. მეორე ტაიმის პირველ 25 წუთში „დინამოს" საგოლე მომენტი არ შეუქმნია, ცობელის გუნდს თითქოს აფეთქება სჭირდებოდა, სხვანაირად უპირატესობას ვერ ამჟღავნებდა...

„სიონს" კი ბურთის დაჭერა და გააზრებული შეტევების შექმნა უჭირდა. ამ მხრივ მხოლოდ მიკუჩაძეს თუ გამოვარჩევთ, რომელიც გოცირიძის უკან მოქმედებდა, მეორე ტაიმში კი, ფაქტობრივად, თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადაინაცვლა.

71-ე წუთზე „დინამომ" თამაში და სტადიონზე მისული მაყურებელი გამოაცოცხლა - მერებაშვილმა დრიბლინგი გაჭიმა, მერე კი ჩააწოდა, მაგრამ **ილია სპასოევიჩმა** მეტოქესთან ბრძოლაში ძლიერად ვერ დაარტყა და ჭანტურიამ ბურთი კარში არ შეუშვა.

ამის მერე „დინამომ" დაწოლა გააძლიერა. ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო შტურმი, მაგრამ „სიონი", ფაქტობრივად, დაცვაში ჩაჯდა. არაერთი მწვავე ჩაწოდება და დრო, რომელიც უკვე ბოლნისელთა სასარგებლოდ აღარ მოქმედებდა. მათ თითქოს არაქათი ეცლებოდათ, „დინამოს" უპირატესობა კი ფიზიკურ მომზადებაშიც იკვეთებოდა. ამ სიტუაციაში ისევ მერებაშვილი გამოირჩა. მან ჯარიმა მოიპოვა, რომელიც **დავით დილმელაშვილმა** ჩააწოდა, **ლევან ხმალაძემ** კი ზუსტად დაარტყა - 2:1.

„სიონი" მოირღვა. ამან დინამოელებს მეტი სივრცე შეუქმნა და დიდი უპირატესობა ორ გოლში ჩაატიეს - მერებაშვილმა ჯერ 25-ოდე მეტრიდან შეაწყვიტა ბურთი „სიონის" კარის „ცხრიანს" - 3:1. მერე კი სპასოევიჩმა ჩააწოდა მარჯვნიდან, გამოსვლაზე ჭანტურია შეცდა და მერებაშვილმა მკერდითაც მოახერხა გოლის გატანა - 4:1. ჰეთ-თრიკი მასზე მართლაც ალალი იყო...

### მატჩის შემდეგ

**ოთარ კორღალიძე (სიონი):** „დინამო" სერიოზული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და ამდენ შეცდომას არავის პატიობს. ტაიმი და 30 წუთი ნორმალურად ვითამაშეთ, მერე კი ავირიეთ, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი მარცხი. ჩამოყალიბების სტადიაში ვართ. ჩვენი მიზანი ხუთეულში ყოფნაა".

**რაინერ ცობელი (დინამო):** „შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, მეტოქეს მადლობა მინდა გადავუხადო სამართლიანი თამაშისთვის... მეშინოდა იმის, რაც პირველ ტაიმში მოხდა, არადა, ფეხბურთელებს ვაფრთხილებდი - ადვილი თამაში არ იქნება-მეთქი. ჩემი გუნდისგან უკეთეს კონცენტრაციას ველოდი. მოსამზადებელ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი ლიგის გუნდებს ვეთამაშეთ, სეზონის განახლებისთვის კარგად მოვემზადეთ. მოწინააღმდეგეზე ფიზიკურად უკეთ რომ ვიყავით მზად, ესეც გამოჩნდა".

**დავით თავართქილაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

14.02. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

**ოლიმპი-გაგრა 3:0**

1:0 მაჭავარიანი (9. ბაბუნაშვილის პასით), 2:0 ხუბუა (33. ბაბუნაშვილის პასით), 3:0 რეხვიაშვილი (36)

ოლიმპი: ალავიძე - რეხვიაშვილი, მაჭავარიანი, გ. ონიანი, ჩიკვილაძე (70. დეკანოსიძე) - გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი, დობროვოლსკი, ხუბუა - მეგრელაძე (74. გაბიდაური), გ. ჩხეტიანი (46. ფიფია).

*სათადარიგოები: სტურუა, თ. ღონღაძე, კაკულია, აკუასაგა.*

გაგრა: თევდორაძე - ქაჯაია, კოზლენკო, ტყეშელაშვილი, კუპრეიშვილი - ჯარმელაშვილი (46. აბაშიძე), გაბედავა (52. გაბუნია), ცხადაია, თ. ჩარგეიშვილი, შარიქაძე (72. ლ. სეთურიძე) - ცხადაძე.

*სათადარიგოები: ხომერიკი, კილაძე.*

გაფრთხილება: რეხვიაშვილი (20), ქაჯაია (35)

არბიტრი: ო. ხეცაძე

# ერთი ტაიმიც საკმარისი იყო...

ამ წყვილის უდავო ფავორიტად „ოლიმპი" იყო მიჩნეული, მაგრამ „გაგრასთან" მაინც სიფრთხილე იყო საჭირო და ეს კარგად იცოდა რუსთაველთა თავკაცმა **ვარლამ კილასონიამ**. თუმცა, როცა ძლიერი შემსრულებლები არ გყავს, ძნელია რუსთავში „ოლიმპს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიო.

მატჩი, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **კახა ცხადაძეც** დაესწრო, საშუალო ტემპში დაიწყო და ასევე გაგრძელდა. მასპინძლებს სწრაფი გოლით სურდათ დაწინაურება. აი, პირველი ხიფათიც - **გია მეგრელაძემ გაგა ჩხეტიანი** გამოზომილი პასით მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ **რევაზ თევდორაძემ** იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია... მომდევნო კუთხურს კი უკვე გოლიც მოჰყვა - მასპინძელთა კაპიტან **შოთა ბაბუნაშვილის** ჩაწოდებულს მცველ **ნოდარ მაჭავარიანის** თავური მოჰყვა და ანგარიში გაიხსნა - 1:0. რუსთაველები ამას არ დასჯერდნენ და ორბურთიან სხვაობაზე დაიწყეს ზრუნვა. ამას თითქოს, სტუმრებიც „უწყობდნენ" ხელს, რომელთა იერიშებიც ეპიზოდური იყო. დრო და დრო მეკარეებსაც გამოუჩნდებოდათ ხოლმე საქმე. აგერ, **მიხეილ ალავიძემ გიორგი გაბედავას** დარტყმული მოიგერია, მერე კი თევდორაძემ - **გელა ხუბუასა** და **გიორგი სეთურიძის**. თუმცა ხუბუამ თავისი მაინც გაიტანა, ხოლო ამაში ლომის წილი პირველი გოლის თანაავტორ ბაბუნაშვილს მიუძღვის - რუსთაველთა კაპიტანი ორ მცველს შორის გაძვრა, დაარტყა კიდეც და სტუმართა მცველს ბურთისთვის რომ არ მიესწრო, ხუბუამ ყოველი შემთხვევისთვის დაამატა - 2:0.

მეორე გოლმა სტუმრებს თითქოს მოტივაცია დაუკარგა და სამ წუთში „ოლიმპმა" ერთი ბურთიც შეაგდო - **გიორგი რეხვიაშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმოს დროს გაგრელთა მეკარემ ბურთის ტრაექტორია გვიან დაინახა და რეაგირება ველარ მოახერხა - 3:0.

ამის შემდეგ „ოლიმპი" მოეშვა და „გაგრას" სხვაობის შემცირების შანსი მიეცა. **ბაჩანა ცხადაძემ** გაბედავას პასი კი მიიღო, მაგრამ ბოლო მომენტში მცველებმა ივაჟკაცეს. რუსთაველებს კი შესვენებამდე მეოთხე გოლის გატანაც შეეძლოთ, თუმცა **მეგრელაძე-ბაბუნაშვილი-ჩხეტიანის** კომბინაცია ამ უკანასკნელმა ვერ დააგვირგვინა.

მეორეც ტაიმიც „ოლიმპის" კარნახით წარიმართა. რუსთაველებს კიდევ სამი გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ სამივე შანსი ქარს გაატანეს. 55-ე წუთზე ხუბუას დარტყმული თევდორაძემ მოიგერია, დამატებაზე კი **გიორგი ონიანს** მცველი გადაელობა. მალე, იმავე თევდორაძემ მეგრელაძის ოსტატური და ძლიერი დარტყმა კუთხურზე მოიგერია. ხოლო 65-ე წუთზე სეთურიძემ მეკარესთან პირისპირ დატოვა მეგრელაძე, რომელსაც სიზუსტემ უმტყუნა. 73-ე წუთზე მან კიდევ ერთი მომენტი გააცუდა, თამაშის ბოლოს კი შეცვლაზე შესულებსაც მიეცათ შანსი - **გიორგი დეკანოსიძემ** მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა **გოგი ფიფია**, რომელმაც ტექნიკური დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ ბურთი თევდორაძესაც გადააცილა და კარსაც. ზედ ფარდის დაშვების წინ გიორგი სეთურიძეს ჰქონდა ჩინებული საგოლე მომენტი, მაგრამ მცირედით ააცილა...

ბოლოს კი დავძენთ, რომ ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო რუსთაველთა კაპიტანი ბაბუნაშვილი, ხოლო სამიდან 2 გოლი მცველებმა (მაჭავარიანი, რეხვიაშვილი) გაიტანეს, რაც იშვიათი შემთხვევაა.

**დავით ცაბაძე**
რუსთავი-თბილისი




შოთა ბაბუნაშვილი ორი გოლის თანაავტორად მოგვევლინა

14.02. თბილისი. მ. მესხი.
100 მაყურებელი

**ლოკომოტივი-სპარტაკი 2:1**

1:0 კვანტალიანი (20. ფოფხაძის პასით), 1:1 მგალობლიშვილი (25), 2:1 კახელიშვილი (57. წულაძის პასით)

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, კაიშაური, სარალიძე (74. რობაქიძე) - დიაკვნიშვილი - ბებუა (46. კახელიშვილი), კ. მახარაძე, წულაძე (70. ბარბაქაძე), ჩირიკაშვილი - კვანტალიანი.

*სათადარიგოები: ბელელური, დ. ჩაგელიშვილი, ხუმარაშვილი, გილაური.*

სპარტაკი: კოდალაევი - ქურასბედიანი, ქორიძე, გ. კვახაძე, მგალობლიშვილი - თურმანიძე, ჯანგიძე - ავალიანი (65. სირბილაძე), მაისურაძე (74. ჩივაძე), შ. ჯიქია (65. გაბელაია) - მეტრეველი.

*სათადარიგოები: ნიქარიშვილი, ხაჭაპერაძე, კობახიძე, გოცირიძე.*

გაფრთხილება: მახარაძე (3), მგალობლიშვილი (25), გუშარაშვილი (55), მაისურაძე (64), ჯანგიძე (81)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# ჩვეულებრივი მატჩი

...მართლაც ძალიან ცუდად გვაქვს საქმე: ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ასამდე ქომაგი რომ მოდის, უკვე ის გვიხარია! უფრო ზუსტად, ასი მიახლოებითი რიცხვია და თანაც, აქედან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მატჩში მონაწილე ფეხბურთელთა ახლობელ-ნათესავია. დავუმატოთ ათამდე ნაღდი გულშემატკივარი („ვერისბაღელებს" ვგულისხმობთ), პლუს სამიოთხი ჟურნალისტი და ესეც ჩვენი ფეხბურთი!. აღარაფერს ვამბობთ არანაკლებ სერიოზულ პრობლემაზე - ჩემპიონატის დონე რომ უკან და უკან მიდის. ყველაზე საშინელება კი ის გახლავთ, რომ საერთოდ, ქართული ფეხბურთის მომავალი ერთობ ბუნდოვნად წარმოგვიდგენია...

ასეთ პესიმისტურ განწყობას მეცხრამეტე ტურის ერთმა ჩვეულებრივმა მატჩმაც „ხელი შეუწყო": 90 წუთის განმავლობაში მეტოქეთა ქმედებებში უამრავი წუნი შეინიშნებოდა. უბრალოდ, მასპინძლებს სტუმრებზე მეტი საშემსრულებლო ოსტატობა აღმოაჩნდათ და ერთობ მნიშვნელოვანი სამი ქულაც მოიპოვეს. რა თქმა უნდა, მთავარი ბრძოლები წინ არის, მაგრამ არა გვგონია, რომ „ლოკომოტივს" ჩემპიონატის ბოლოსკენ საქმე სანერვიულოდ ჰქონდეს. აი, „სპარტაკმა" კი თუ ასე გააგრძელა ასპარეზობა, პირველ ლიგაში დაქვეითებისგან მხოლოდ „არასაფეხბურთო" გადაწყვეტილებები თუ იხსნის. **სერგო გაბელაიას** გუნდმა, მასპინძელთაგან განსხვავებით, ნაყოფიერი შეკრებაც გაიარა და „სატრანსფერო ბაზარზეც" იაქტიურა. თუმცა მეორე ეტაპის დაწყებიდან უკვე ორი ტური გავიდა და სატურნირო მდგომარეობა კვლავაც კრიტიკული აქვს. ყოველ შემთხვევაში, ქულათა მარაგს რომ აშკარად მომატება სჭირდება, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს. ახლა კი უშუალოდ ამ უინტერესო მატჩზეც. წინა ტურისგან განსხვავებით „ლოკომოტივის" ძირითადში მხოლოდ ერთი ცვლილება ვიხილეთ: **გიორგი ხუმარაშვილის** ნაცვლად **ალექსი კაიშაური** გამოჩნდა. აი, „სპარტაკში" კი ერთდროულად სამი ცვლილება იყო. თუმცა ამან შედეგი რომ ვერ მოიტანა, საბოლოო ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

...პირველ ტაიმში ორი გოლი კი ვიხილეთ, მაგრამ სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთადერთი, **რევაზ წულაძე** თუ ცდილობდა მახვილგონივრული პასებით თამაშის გამწვავებას - „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ნახევარმცველს ტრავმის გამო ბევრი გაუცდა და მხოლოდ წინა ტურში დაბრუნდა. არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს იმავე წინა ტურის ორმა გამორჩეულმა ფეხბურთელმაც: **კახა მახარაძემ** და **შალვა კვანტალიანმა**. ამ უკანასკნელმა ეროვნულ ჩემპიონატში მეორე შეხვედრა ჩაატარა და პირველი გოლიც გაიტანა: მახარაძემ ჩინებული პასით მარჯვენა ფლანგზე **დაჩი ფოფხაძე** მოძებნა, ვისი გამჭოლი გადაცემაც აუღელვებლად დაასრულა 17 წლის კვანტალიანმა. ამ გოლის მერე ფოფხაძემ კინაღამ მეორე საგოლე პასი მიითვალა, თუმცა მისი შორეული გადაცემის მერე **ირაკლი ჩირიკაშვილი** მახვილი კუთხიდან ურტყამდა და ბურთი მიზანს ასცდა. კიდევ სამი წუთის შემდეგ კი სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს: კიდევ ერთმა ჭაბუკმა ფეხბურთელმა, 19 წლის **ნიკოლოზ მაისურაძემ** საჯარიმოდან ბურთი კარგად „დააბზრიალა": თანაგუნდელებმა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგეს და მერე, შორეულ ძელთან **ნოდარ მგალობლიშვილმა** იმარჯვა. აი, ეს იყო პირველ ტაიმში დასამახსოვრებელ-აღსანიშნი...

...წესითა და რიგით, მეორე ტაიმში უფრო მეტი აქტიურობა სტუმრებს მართებდათ, მაგრამ, დაახლოებით 25 წუთი „სპარტაკს" ერთი ხეირიანი შეტევაც არ განუხორციელებია, არც მასპინძლები იჩენდნენ ზეაქტიურობას, თუმცა მათი პირველივე შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა: წულაძემ შორეული, დიაგონალური პასით გარღვევაზე **გიორგი კახელიშვილი** მოძებნა; ამ უკანასკნელმა კი შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმით ყველას თავი „შეგვახსენა". კახელიშვილი ორი წლის წინ ჩინებულ ფორვარდად მიიჩნეოდა, მერე კი სხვადასხვა მწვრთნელმა ამპლუა რამდენჯერმე შეუცვალა. აი, ახლაც, შეცვლაზე რომ შემოვიდა, ჯერ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა; მერე, თანაგუნდელმა **ლევან სარალიძემ** რომ ტრავმა მიიღო, შეხვედრა უკვე... მარცხენა მცველის პოზიციაზე დაასრულა.

გატანილი გოლის მერე ანგარიშის შეცვლა მასპინძლებს შეეძლოთ, მაგრამ იმავე კახელიშვილის გადაცემის მერე კვანტალიანი არ ელოდა, სტუმართა მცველები ელემენტარულ შეცდომას თუ დაუშვებდნენ. ერთ ეპიზოდში კი „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს: საბოლოო დარტყმას კახა მახარაძე ასრულებდა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა.

მოკლედ, ხვდებით, რომ ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო და ამიტომაც არავისთვის გახლდათ მოულოდნელი, „სპარტაკის" თავკაცმა შეცვლაზე ერთდროულად სამი შემტევი რომ შემოიყვანა. ყველაზე რეალური მომენტი სტუმრებს 71-ე წუთზე ჰქონდათ: **გიორგი გაბელაიამ** მარცხნიდან მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, ყველას **ირაკლი სირბილაძემ** დაასწრო და თავით ზუსტი პასით მშვენიერ პოზიციაზე დატოვა **ზვიად მეტრეველი**. სამწუხაროდ, „სპარტაკის" ახალწვეულმა ხელსაყრელი მომენტი ვერ შეიშნო და ბურთი მიზანს ააცილა. „სპარტაკმა" მატჩის მიწურულსაც გაიბრძოლა: ჯერ **გიორგი ლომაიამ** შეძლო მგალობლიშვილის თავური დარტყმის მოგერიება; მერე კი, უკვე მსაჯის მიერ დამატებულ დროში, **გიორგი ჩივაძესა** და ზვიად მეტრეველს მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები შეექმნათ. თუმცა, როგორც ანგარიშიდან ჩანს, „სპარტაკმა" ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო...

**გია ტუხაშვილი**



გიორგი კახელიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30-10 | 40 |
| 2. დინამო | 16 | 11 | 1 | 4 | 36-13 | 34 |
| 3. ოლიმპი | 17 | 8 | 7 | 2 | 21-10 | 31 |
| 4. ზესტაფონი | 16 | 9 | 3 | 4 | 17-9 | 30 |
| 5. ლოკომოტივი | 17 | 8 | 2 | 7 | 22-16 | 26 |
| 6. სიონი | 17 | 6 | 7 | 4 | 18-14 | 25 |
| 7. მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16-23 | 19 |
| 8. მესხეთი | 17 | 4 | 5 | 8 | 12-24 | 17 |
| 9. გაგრა | 18 | 4 | 4 | 10 | 13-29 | 16 |
| 10. ბორჯომი | 17 | 2 | 5 | 10 | 15-36 | 11 |
| 11. სპარტაკი | 16 | 2 | 2 | 12 | 12-28 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 6 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 6 |

**XX ტური**

**21 თებერვალი, შაბათი**

ბორჯომი-მესხეთი
გაგრა-ზესტაფონი
სიონი-ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია-დინამო
სპარტაკი-ოლიმპი

*მგლები ისვენებს*

**გამოტოვებული მატჩები**

**25 თებერვალი, ოთხშაბათი**

დინამო-ზესტაფონი
ბორჯომი-სპარტაკი

# მგელი ხაფანგში არ გაება

**15.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 300 მაყურებელი**

**მესხეთი-მგლები 0:0**

მესხეთი: ბათიაშვილი - ვ. ხორგუაშვილი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ლეკიშვილი - მემარნიშვილი, თედიაშვილი (70. ინასარიძე), ზ. ჩხეტიანი, ნ. ვაშაკიძე (65. გვირჯიშვილი), ქებაძე - სამადაშვილი.
*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ბეჟანიძე, სუდაძე.*
მგლები: სომხიშვილი - ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი - გულორდავა, გუჩუა, ინჯგია (65. ბაკარანძე), ა. ბაჯელიძე - ჭკადუა, გ. თოდუა.
*სათადარიგოები: გალდავა, ჟიშკარიანი, ბ. ნოზაძე, ხუხია, ხურციძე, ჯოჯუა.*
გაფრთხილებები: ნ. ვაშაკიძე (41), ჩხეტიანი (51), ჭკადუა (51), გუჩუა (90)
არბიტრი: ვ. გუმბერიძე

სატურნირო ცხრილი და ორივე გუნდის მდგომარეობა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ უშელავათო ბრძოლა უნდა ყოფილიყო. „მესხეთისთვის" თამაშის ვერმოგება უბრალოდ არ შეიძლებოდა. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ზუგდიდელებიც, რომელთაც მწარედ ახსოვდათ ახალციხელებთან პირველი წრის საშინაო მარცხი (0:2). თუმცა „მესხეთი" შეიცვალა. გუნდიდან წავიდნენ შესანიშნავი მეკარე **სომხიშვილი** („მგლებში"), გუნდის ხერხემალი **გრიგალაშვილი** და ფორვარდი **გონჩაროვი**. ასეთ ვითარებაში, **კობა თედიაშვილს** უვარჯიშებელი გუნდის გადაწყობა მოუხდა. მოედნის ცენტრში მას საკმაოდ ბევრი ჩამშლელი ფეხბურთელი მოუგროვდა, აი, ბურთის დამჭერ-გამგორებელი კი, როგორიც გრიგალაშვილია, ალარ ჰყავს. შეიძლებოდა, ამ ფუნქციის შესრულება **ინასარიძის**თვის დაევალებინა, მაგრამ სათუო იყო, რომ 34 წლის ვეტერანი ამ საქმეს გაუმკლავდებოდა. ამიტომ, ახალციხელთა მწვრთნელმა „მგლებს" ასეთი „ხაფანგი" დაუგო - კიდევ უფრო გაამაგრა დაცვის ცენტრი, რასაც, მისი ჩანაფიქრით, სტუმრებს „მეორე სართულზე" უპირატესობის მოპოვების შანსს თითქმის ნულამდე შეუმცირებდა, ხოლო დაცვიდან თავდამსხმელებამდე ბურთს გრძელი და დიაგონალური გადაცემებით უნდა მიეღწია...

უნდა ითქვას, რომ მესხებმა ამ ამოცანას როგორლაც გაართვეს თავი. კერძოდ, რამდენიმე ასეთმა გადაცემამ ადრესატებამდე მიაღწია და „მგლების" კართან სახიფათო მდგომარეობაც შეიქმნა. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ განაპირა მცველები და ნახევარმცველები ფორვარდებს ვერ (თუ არ) ეხმარებოდნენ, პლუს ამას, აშკარად იგრძნობოდა გონჩაროვის არყოფნა...

მოკლედ, ასე ელოდნენ მასპინძლები თავიანთ შანსს, რის სანაცვლოდაც მეტოქეს შეგნებულად დაუთმეს სივრცე. თავის მხრივ, ზუგდიდელებმა „დანაის ძღვენი" ფრთხილად მიიღეს, უკანმოუხედავად არ წასულან წინ. 25-ე წუთზე **გულორდავა** პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ვერ იჩაუქა. სტუმრებმა ასევე ვერ ისარგებლეს მესხების კართან 38-ე წუთზე შექმნილი მწვავე სიტუაციით. ვერ გამოიყენა საგოლე მომენტი ახალციხელმა **ქებაძემაც**, მე-60 წუთზე კი მასპინძლებმა „მგლების" კართან შექმნილი არეულობით ვერ ისარგებლეს. ყველაზე მძაფრი სიტუაცია 82-ე წუთზე შეიქმნა, როცა **გუჩუა** პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა.

ამ სცენარით მიდიოდა თამაში, რამაც „მესხეთის" მწვრთნელი **კობა თედიაშვილი** აიძულა, რისკზე წასულიყო - **ლევან თედიაშვილის** ნაცვლად მოედანზე ინასარიძე გამოიყვანა და ამ წუთიდან დაირღვა სიმშვიდე მასპინძელთა დაცვის ცენტრში, დაიკარგა საჰაერო სივრცე და აირია ფლანგები. შედეგად, სტუმრები დიდ უპირატესობას დაეუფლნენ, თუმცა მოსაგებად დრო არ ეყოთ.

რა შეიძლება ითქვას „მესხეთზე"? გუნდს აშკარად აკლია ლიდერი. შეიძლებოდა, ასეთი ფეხბურთელი **ვაშაკიძე** ყოფილიყო, მაგრამ ის მარგი ქმედების კოეფიციენტი, რაც მას „ბორჯომში" ჰქონდა, ახლა ველარ დავინახეთ. მას თამაში არ წაუვიდა, და მეტიც - მსაჯთან „საქმის გარჩევა" რომ გადაწყვიტა, ამისთვის ყვითელი ბარათი მიიღო. აი, „მგლებმა" კი მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა...

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (მგლები):** „არ დავმალავ, ბორჯომში მოსაგებად ჩამოვედით. ბევრი საგოლე მომენტი გავანიავეთ. ჭედიაც არ გვყავდა. „მესხეთმა" სასიამოვნოდ გამაოცა. კობა თედიაშვილი მართლაც შესანიშნავი მწვრთნელი ყოფილა. არ ველოდი, რომ შეკრებაგაუვლელი გუნდი ასეთ თამაშს დაგვიპირისპირებდა. პრაქტიკულად, არაფერი დაგვითმეს. ეს გუნდი ბევრს გაამწარებს. ისე კი, ერთი ქულა გასვლაზე არც ისე ცუდი შედეგია".

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „მგლებთან", „ბორჯომთან", „გაგრასთან" და „სპარტაკთან" 10 ქულას ვგეგმავდით, მაგრამ ჩვენთვის ძალზე მტკივნეულია გრიგალაშვილის წასვლა. თამაში მასზე გვქონდა აწყობილი. მატჩი თანაბარი იყო, მაგრამ რისკზე წავედი და თედიაშვილის ნაცვლად ინასარიძე შევიყვანე, მაგრამ მან ვერ გაგვიმართლა - წინა ხაზზეც ვერაფერი შეგვმატა და დაცვა აგვერია. რამდენი მატჩი უნდა ვითამაშო 11 კაცით? ფეხბურთელი ველარ უნდა შევცვალო? თავდასხმაში ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელი ვეძებო და მერე გამოვზარდო".

**ომაზ ჩხეიძე**
ბორჯომიდან

**15.02. ზესტაფონი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი**

**ზესტაფონი-ბორჯომი 1:0**

1:0 მელქაძე (83)
ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, ს. თოდუა, გ. ა. ხიდეშელი, მაკარიანი - ბენაშვილი, ძარია (65. მელქაძე), გრიგალაშვილი (46. გ. ჭელიძე), - ნ. კვასხვაძე (70. კაკალაძე), გელაშვილი, იონანიძე.
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, კაჭკაჭიშვილი, გორგიაშვილი, კვესიეშვილი.*
ბორჯომი: შეყრილაძე - მენთესაშვილი, ლაცაბიძე, დათუნიშვილი ხითარიშვილი - გოგსაძე (86. ქათამაძე), ტუხაშვილი (61. ვ. ხაჩიძე) დარსანია, გაჩეჩილაძე - ლობჟანიძე (86. ლაბაძე), პავლიაშვილი.
*სათადარიგოები: ოქრომელიძე, მანთიძე, ნ. ლომიძე, ბაქრაძე.*
გაფრთხილება: დათუნიშვილი (45), გოგსაძე (49), დარსანია (79).
არბიტრი: მ. ურუშაძე

# რომ არა შეყრილაძე...
## მელქაძე ზესტაფონში გოლით გამოჩნდა

„ზესტაფონმა" 3 ქულა მძიმედ მოიპოვა - მეორე ეტაპის პირველ საშინაო მატჩში საქართველოს თასის მფლობელს აუტსაიდერთან მოგება გაუჭირდა. თბილი, მზიანი ამინდი და 2 ათასამდე მაყურებელი მშვენიერ სათამაშო განწყობას ქმნიდა. თუმცა **გია გეგუჩაძის** შეგირდებმა გულშემატკივარი გვარიანად ანერვიულეს.

მასპინძლებმა ბორჯომელებს პირველივე წუთებიდან შეუტიეს. „ზესტაფონს" შეეძლო, ჯერ კიდევ პირველ ტაიმში სოლიდური ანგარიშისთვის მიეღწია, მაგრამ ბოლო მომენტში სიზუსტე არ ჰყოფნიდათ, მომენტებში კი ძალზე საიმედოდ თამაშობდა „ბორჯომის" მეკარე **ბექა შეყრილაძე**. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით - რომ არა შეყრილაძე, სტუმრებს ბევრჯერ მოუწევდათ ბადიდან ბურთის გამოტანა.

უკვე მე-6 წუთზე, კუთხურის შემდეგ **ზურაბ იონანიძემ** ახლო მანძილიდან თავით დაარტყა, მაგრამ „ბორჯომის" მეკარემ საოცარი რეაქცია გამოავლინა. „ზესტაფონის" ვეტერანი მერე ფეხით ცდილობდა გატანას, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯმა ბურთი ამჯერად კუთხურზე მოიგერია.

39-ე წუთზე უკვე **ბენაშვილი** შეეცადა გატანას, მაგრამ მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ შეყრილაძემ გუნდი კიდევ ერთხელ გადაარჩინა. სტუმრები შეტევების წამოწყებას კი ცდილობდნენ, მაგრამ ამას ხეირიანად ვერ ახერხებდნენ.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, ეგ იყო, რომ „ზესტაფონმა" ოპონენტს მეტი მონდომებით შეუტია. დიდი ჯაფა დააწვათ „ბორჯომის" მცველებს, მაგრამ 83-ე წუთამდე მოწინააღმდეგის იერიშებს როგორლაც თავს ართმევდნენ.

კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შესული **გიორგი ჭელიძე**, რომელმაც შეტევები კიდევ უფრო გამოაცოცხლა. 66-ე წუთზე ბენაშვილმა კიდევ ერთხელ სცადა მეტოქის კარის აღება, ამჯერად, საჯარიმო დარტყმით, მაგრამ შეყრილაძემ სტუმრები ეფექტური ნახტომით იხსნა. მალე, **ნიკა გელაშვილმა** თავური დარტყმით სცადა ბედი და... კვლავ უშედეგოდ.

ბოლოს და ბოლოს, „ზესტაფონმა" მაინც გაიტანა. თამაშის მიწურულს, მარჯვენა ფლანგიდან **ზურაბ იონანიძის** დროული გადაცემის შემდეგ, ყველას დაასწრო შეცვლაზე შესულმა **ლევან მელქაძემ** და ერთი შეხებით დაარტყა. ამჯერად, „ბორჯომი" ველარც მეკარემ იხსნა - 1:0. ამრიგად, მელქაძემ „ზესტაფონში" დებიუტი გოლით აღნიშნა.


ლევან მელქაძე

**შოთა მაჭარაშვილი**
ზესტაფონიდან

შეკრება ერთი თარიღისა და პრობლემების გამო


ლევან ყიფიანი და ზურაბ პეტრიაშვილი

# როგორ ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს?

**ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 19 წელი გავიდა. 1990 წლის 15 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში დატრიალებულმა მოვლენებმა დაშლის პირას მყოფი წითელი იმპერიის ნაპრალები კიდევ უფრო გაალრმავა, ქართველ ხალხს კი დამოუკიდებელი ფეხბურთით მეტი სიხარულის მიღების იმედი გაუჩნდა. აღთქმულ მიწამდე გასავლელი გზა მეტად მძიმე აღმოჩნდა. საქართველოში კომუნისტების დროინდელი პირობებიც სანატრელი გაგვიხდა, ფეხბურთის განვითარებას ვილა ჩივის, მისი სიკვდილ-სიცოცხლის ბედი წყდება. გაჭირვებული ქვეყანა უდიდესი ინდუსტრიისა და სპორტის სახეობის განვითარებას ხელს ვერ უწყობს.**

**გუშინ სამი ორგანიზაციის („ქომაგთა ლიგა", „ჩვენი ფეხბურთი" და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს") ინიციატივით, ქართული ფეხბურთის დაბადების დღე აღინიშნა. სატკივარმოძალებულმა ადამიანებმა მდგომარეობის გამოსწორებაზე საკუთარი ხედვა წარმოადგინეს...**

***ზურაბ პეტრიაშვილი**, „ქომაგთა ლიგის" აღმასრულებელი დირექტორი:*

- გილოცავთ ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის 19-წლისთავს. სამწუხაროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენში ფეხბურთის განვითარებას ხელს ვერ უწყობს. სამწუხაროდ, ახლა ისეთი ფონი შეიქმნა, წაგების შემთხვევაშიც კი ფედერაციაში თავს კომფორტულად გრძნობენ, ამის მეტი არ შეგვიძლია და რა ვქნათო. მიუხედავად დღევანდელი მძიმე მდგომარეობისა, 19 წლის წინანდელ გადაწყვეტილებას ალტერნატივა არ ჰქონდა. ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა პირველობაზე უნდა გვეთამაშა. თუმცა ეს შეუძლებელი იყო, თუნდაც პოლიტიკური ვითარების გამო. აჯობებს, დღევანდელობასა და ჩვენი პრობლემების მოგვარების გზებზე ვისაუბროთ. მთავარი პრობლემა არა ნაკრების მწვრთნელი, არამედ განვითარების მიმართულებების არასწორად შერჩევაა. ბედის ირონიაა - შარშან 14 თებერვალს კლაუს ტოპმიოლერის გაშვება რომ მოვითხოვეთ, ფედერაციამ ის კბილებით დაიცვა. თუმცა ძალიან მალე თავად შეელია. რეალურად პრობლემა სხვა რამეა. სხვა გზით უნდა წავსულიყავით და ინფრასტრუქტურის, ბავშვთა ფეხბურთის, ეროვნული ჩემპიონატისა და სხვა სიღრმისეული საკითხებისთვის მიგვეხედა. უცხოელ მწვრთნელზე მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გვეფიქრა. სულ უფრო მეტად ვშორდებით იმ სტანდარტებს, რომლითაც მთელი მსოფლიო ვითარდება. ფეხბურთის ფედერაცია ხალხს ნელ-ნელა აჩვევს იმ აზრს, რომ მეტი არ შეგვიძლია და თითქოს, ჯგუფში ბოლო ადგილიც ბუნებრივი მოვლენაა. თურქმენები რომ ვიყოთ, ამას შევეგუებოდით, მაგრამ ჩივაძის, ხურცილავას, ყიფიანის, მესხის, მეტრეველის, გუცაევისა და დარასელიას ქვეყნისთვის, შეუძლებელია ბოლო ადგილი ჩვეული მოვლენა იყოს. ამას ვერასდროს შევეგუებით. წლების წინ კოტე მახარაძემ მართალი ბრძანა, ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ ორგანიზება გვაკლიაო. ორგანიზება კი ფედერაციის საქმეა და ამას ვერ ახერხებს. სამწუხაროდ, ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩვენთან შეხვედრას თავს არიდებს. ოთხჯერ ვცადე და დრო ვერა და ვერ მოძებნეს. არადა, მსურდა, ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე მესაუბრა. სხვათა შორის, დღესაც მოვიწვიეთ, გვსურდა, ეს შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგვემართა, თუმცა, მოსვლა არ ისურვეს.

***მამუკა კვარაცხელია**, „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს":*

- შარშან ჩვენი სამი ორგანიზაცია ერთად დადგა და ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა მოითხოვა. ფედერაციაში ისე შეშინდნენ, სასწრაფოდ შეკრიბეს 34 სუბიექტი და ფედერაციის მხარდამჭერ წერილზე ხელი მოაწერინეს. მათ შორის ჩემი ბევრი მეგობარი და ახლობელი აღმოჩნდა. მაგრამ ისინი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს. ფეხბურთში დატრიალებული მოვლენების შემდეგ ხალხს ფეხბურთი შეზიზლდა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს საჩვენო სახეობა ალარ არის და სადაც წარმატებას ვაღწევთ, იმას მივხედოთო. ამაზე უარესი მდგომარეობა რა უნდა იყოს. დღესაც, თუკი ნაკრები ან კლუბი გაიფართხალებენ, ისევ ნიჭის წყალობით. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული ფეხბურთის მდგომარეობა, ჩვენ გარდა არავის აწუხებს. ყველა წყნარად არის, ხმას არ იღებს. შეუძლებელია, სხვაგვარად ვიფიქროთ. გაჩერებას არ ვაპირებთ. ნებისმიერ დროს ჩვენი სამოქმედო პროგრამა უნდა წარმოვადგინოთ და მზადყოფნაში ვიყოთ.

***ლევან ყიფიანი**, „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი:*

- დღეს უნდა ვისაუბროთ ფეხბურთის გადარჩენაზე. ბევრი ტყუილი ისმის, ვერ ვისმენთ ალალ შეფასებებსა და გულწრფელ წუხილს. ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ, თუკი სამართლიანობა არ აღდგება. სწორედ 13 მაისს მომხდარმა ფაქტმა შეაზიზლა ხალხს ფეხბურთი. ბავშვები საფეხბურთო სკოლებში ალარ შეყავთ და ბევრს ალარც სჯერა, რომ საფეხბურთო ერი ვიყავით. მარტივი სტატისტიკა არსებობს - საფეხბურთო ერად რომ ჩავითვალოთ, ამ სახეობაში მოსახლეობის უფრო დიდი რაოდენობა უნდა იყოს ჩართული ვიდრე დღეს. დასანანია, რომ დღეს ცოტანი შევიკრიბეთ. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ ქართული ფეხბურთი საინტერესო ალარ არის. არადა, ყოველი წარუმატებლობის შემდეგ გვესმის, რომ სწორი გზით მივდივართო. ეს ისმოდა ბოლო შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ ხადაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მატჩი წავაგეთ. არსებულ პრობლემებს მოგებაც ვერ მოაგვარებს. ხალხს ფეხბურთი უყვარს, მაგრამ ქართული ალარ აინტერესებს. შეიხედეთ ტოტალიზატორებში, რა ხდება, ხალხითაა გაჭედილი, მაგრამ მათ ჩვენი ჩემპიონატი არ აინტერესებთ. ფეხბურთს სახელს შეგნებულად უტეხენ. კაცი მასზე მუდმივად სიბინძურეს რომ მოისმენს, არ იტყვის, ამ ნუმპეს რატომ გავეკაროო? არადა, საფეხბურთო ერის პოტენციალი გაგვაჩნია. თუმცა არ არსებობს საამისო ნება, სტრატეგია და პროგრამა. ვფიქრობთ, ეს შეგნებულად ხდება - ბევრი ხალხის შეკრება, ხელისუფლებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, რაც არ აწყობთ. პირადად მე ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეხბურთის გამო გავხდი.

**სამართლიანობის აღდგენაზეა დამოუკიდებელი ფეხბურთის განვითარება - არ იქნება სამართალი, არ იქნება წარმატება. მოყოლით კი ფეხბურთი არ უყვარდებათ. ბავშვებმა თავად უნდა ნახონ ქართველებს თამაში რომ შეგვიძლია, თორემ წარსულ წარმატებებსაც ზღაპრად ჩაგვითვლიან. სამართლიანობის აღდგენა გიორგი ნემსაძეზეც არის დამოკიდებული - უნდა თქვას, ვინ დაურეკა და ვინ სთხოვა გადადგომა. ჩვენი კავშირი აპირებს ბოლომდე ბრძოლას, სანამ სამართლიანი არჩევნები არ ჩატარდება. ყრილობაში კი მონაწილეობა უნდა მიიღოს არა 34 და 35 დელეგატმა, არამედ 250-300-მა. სწორედ ამდენი ადამიანი ასახავს ქართული ფეხბურთის სპექტრს. შეიძლება, იდეალისტად მოგეჩვენოთ, მაგრამ მჯერა, რომ ადრე თუ გვიან ასეც მოხდება. საუკუნის წინ თვითმფრინავიც ზღაპარს ჰგავდა, მაგრამ დღეს რეალობაა. ამიტომაც ჩვენ უნდა შევეცადოთ, სამართლიანი არჩევნები დავნიშნოთ. ადრე თუ გვიან, ეს რეალური იქნება.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები

# სპარინგებში მაგრები ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ქართველით განახლდა აზერბაიჯანული პრემიერლიგა, თუმცა ჯამში 12-მა ჩვენებურმა მხოლოდ ერთი საგოლე პასი გამოაცხო - სიმურგელმა დავით ბოლქვაძემ საგოლედ ჩაუწოდა კუთხური რომან არტიუხს. ახალ კლუბებში დებიუტი ჰქონდათ: გიორგი ადამიას, ალექსანდრე გოგობერიშვილსა და გივი ჩხეტიანს. კიდევ ერთი ტენდენცია, 12 ლეგიონერს, რომ კიდევ ორიოდ ამ ტურში უთამაშებელი ჩვენებური დავუმატოთ, მაინც თვალნათლივ დავინახავთ, რომ ჩვენს სამეზობლოში ქართული ლეგიონის რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. უქმეებზე ორი ქართული გოლი გავიდა, სამწუხაროდ მხოლოდ სპარინგმატჩებში...


კობიაშვილისა (№3) და შალკეს ნაადრევი ზეიმი

## კობიაშვილის ჩვეული მატჩი

**ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკეს" ცუდი დროება უდგას - „ბოხუმთან" 1:2 მარცხის შემდეგ კლუბი მე-9 ადგილზე ჩაეშვა ბუნდესლიგაში (30 ქულა). დუბლინიდან გერმანიაში დაბრუნებულმა კობიაშვილმა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, ის 83-ე წუთზე შეცვალეს **დენი ლაცათი**. ეს 19 წლის ლაცას დებიუტი იყო ბუნდესლიგაში. ირლანდიის ნაკრების კარში გოლის გამტანი **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" სტუმრად 0:0 დაუზავდა „კიოლნს". იაშვილს წლეულს ოფიციალურ მატჩში ჯერ არ უთამაშია, „კიოლნთან" ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო. „კარლსრუე" 17 ქულით ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა. კობიაშვილის თამაში „შპორტალმა" 3,5 ბალით შეაფასა: „ერთი ჩვეულებრივი თამაში, ერთი-ორჯერ სახიფათოდ ჩააწოდა, თუმცა მატჩის განმავლობაში სტაბილურობა აკლდა.

**დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი" დღეს ესტუმრება „ჰანზას", გამარჯვების ან თუნდაც ქულის მოპოვების შემთხვევაში „ფრაიბურგი" გალიდერდება. დღეისათვის კი თარგამაძე და კომპანია „მაინთან" და „ფიურტთან" ერთად 36-36 ქულით ლიდერთა ტრიოს ქმნის. „მიუნხენმა" შინ 2:1 დაამარცხა „როტ ვაისი". **მათე ღვინიანიძემ** 90 წუთი ითამაშა, ერთხელ მისი თავური ზემოდან გადასცდა სტუმართა კარს. ღვინიანიძემ „შპორტალისგან" დაბალი შეფასება მიიღო - 4. „აუგსბურგში" კვლავ არ ჩანს **ოთარ ხიზანეიშვილი**. უქართველოდ ეს გუნდი შინ 1:1 დაუზავდა „დუისბურგს". **ლევან ცქიტიშვილი** პირველად გამოჩნდა „ვეენის" განაცხადში, პარასკევს მისმა გუნდმა შინ 1:3 წააგო „კობლენცთან". ლევანი მოედანზე არ შესულა. „აუგსბურგი" 29 ქულით მე-8 ადგილზეა, „მიუნხენს" 26 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა, ცქიტიშვილის ახალი გუნდი კი 17 ქულით ცხრილის ფსკერზეა.

## შეხვდება ზურა ჩელსის?

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნი" კინალამ ქვედა დივიზიონის „ქოვენთრისთან" ბრძოლაში გამოეთიშა ინგლისის ასოციაციის თასისთვის ბრძოლას. რომ არა **კისტოფერ სამბას** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლი, „ჩელსისთან" თამაშის პატივს „ქოვენთრი" მოიპოვებდა. ზურაბ ხიზანიშვილმა შეუცვლელად ითამაშა, მან ყვითელი ბარათი მიიღო.

სერია A-ში „პალერმო" სტუმრად „რეჯინას" დაუზავდა - 0:0. სიცილიელთა ქართველი ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ტრავმირებულია. „პალერმო" 36 ქულით მე-8 ადგილზეა.

## ქეცბაიას ანორთოსისი გამოცოცხლდა

კვიპროსის ჩემპიონატის მორიგ ტურში **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა „ალკი". თემურმა **კლიმენტი წიტაიშვილი** არ ათამაშა. **ლევან მაღრაძის** „აპოლონი" შინ 0:1 დამარცხდა აპოელ-თან. ლევანმა 90 წუთი ითამაშა. დამარცხდა **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსიც". ახნასელებმა სტუმრად 0:1 წააგეს „ომონიასთან". ქებაძე 68-ე წუთზე შევიდა მოედანზე, თუმცა საკუთარ გუნდს ვერაფრით დაეხმარა. „ანორთოსისი" 53 ქულით მესამეზეა და დაწინაურებულებს 4-4 ქულით ჩამორჩება. „აპოლონი" მე-4 ადგილზეა, თუმცა მაღრაძის გუნდი ქეცბაიასას მთელი 15 ქულით ჩამორჩება. „ეთნიკოსი" 31 ქულით მე-7-ეა.


ზურაბ ხიზანიშვილი

## გიორგი ადამია: კინალამ ავტირდი

მაშ ასე, განახლდა აზერბაიჯანის ჩემპიონატი, სადაც ყველაზე მეტი ლეგიონერი თამაშობს. „ბაქი" მოიკ-ს ესტუმრა და 3:0 მოიგო. ამ შეხვედრაში შედგა **გიორგი ადამიას** დებიუტი „ბაქიში". გიორგიმ 79-ე წუთამდე ითამაშა. სამწუხაროდ, ადამია ერთადერთი ჩვენებური იყო „ბაქის" სასტარტოში. **ამირან მუჯირი**, პირველ წრეში გუნდის უდავო ლიდერი, მხოლოდ 72-ე წუთზე გამოჩნდა, ხოლო **გიორგი დემეტრაძე** განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. **თორნიკე აფციაურის** და **გოგა ბერაიას** „კაბალამ" სტუმრად 4:0 გაანადგურა **გივი ჩხეტიანის** ახალი კლუბი, „მუღანი". სამივე ქართველმა სასტარტოში ითამაშა, შეცვლით კი მხოლოდ ბერაია შეცვალეს მე-80 წუთზე.

გუშინ აზერულ პრემიერლიგაში კიდევ ოთხი მატჩი გაიმართა. ქართული კვარტეტის „სიმურგმა" სტუმრად 1:0 იმარჯვა ბოლოადგილოსან „თურანზე". **კახა ჩხეტიანმა** და **მიხეილ მახვილაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, **გრიგოლ დოლიძე** ტრავმის შემდეგ ახალი გამოჯანმრთელებულია, ამიტომ ის სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა, **დავით ბოლქვაძე** კი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, მის ანგარიშზე საგოლე პასია. მახვილაძემ ყვითელი ბარათი მიიღო, მან ერთხელ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი და „სიმურგი" აშკარა გოლისგან იხსნა. სამწვრთნელო დებიუტი მარცხიანი გამოადგა **ბადრი კვარაცხელიას**, მისი „სტანდარდი" „ნეფთჩის" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო წუთზე გაიტანეს გამარჯვების გოლი. **ლევან სილაგაძემ** და **დავით ჭიჭვეიშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს, მსაჯმა ორივე ჩვენებური გააფრთხილა. მიხეილ მესხმა მეორე ტაიმი ითამაშა „ქარვანის" საგარეო მატჩში „ხაზართან", რომელიც მოულოდნელად 0:0 დასრულდა. ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ჩემპიონმა „ინტერმა" 1:0 მოუგო „ოლიმპიკს". ამ შეხვედრაში „ოლიმპიკის" რიგებში **ალექსანდრე გოგობერიშვილის** დებიუტი შედგა, ის შესვენებაზე გამოცვალეს. **რომან ახალკაცმა** 90 წუთი ითამაშა. ახალკაცი პირველ ტაიმში გააფრთხილეს. ბადრი კვარაცხელია თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მეორეში კი გამოვასწორეთ თამაში, მაგრამ საერთო ჯამში მეტის მიღწევა ვერ შევძელი". დებიუტით კმაყოფილი დარჩა გიორგი ადამია: „მოხარული ვარ, გუნდმა ხომ დიდი ანგარიშით მოიგო. გულშემატკივრების დიდი მადლობელი ვარ, როცა ტრიბუნებმა ჩემი სახელის სკანდირება დაიწყეს, კინალამ ავტირდი".

„ბაქი" 32 ქულით მეორე ადგილზეა, „სიმურგი" 31 ქულით - მესამეზე. „ქარვანს" 26 ქულა აქვს და მეექვსეა, მას კვალში 25 ქულით „ოლიმპიკი" უდგას. 20 ქულით მერვეა ბადრი კვარაცხელიას „სტანდარდი". „კაბალა" 15 ქულით მე-10 ადგილზეა, მაჩანჩალებში კი მხოლოდ ერთი „ქართული" გუნდია, „მუღანს" მხოლოდ 5 ქულა აქვს, თუმცა ორ კლუბს მაინც უსწრებს და მე-12 ადგილზეა.

## გოლები, გოლები...

სადაც სეზონი ჯერ არ განახლებულა, კლუბები მოსამზადებელ შეკრებებს გადიან. აზერბაიჯანში დაბრუნებამდე „ნეფთჩი" „ანჟიმ" 4:0 გაანადგურა. მეორე გოლი, მატჩის 55-ე წუთზე **კახა ალადაშვილმა** გაიტანა. პირველი ტაიმი ითამაშეს: **გიორგი ნავალოვსკიმ**, **ზურაბ არზიანმა**, **გოჩა ხოჯავამ** და **სანდრო იაშვილმა**. მეორე - ალადაშვილმა და **ოთარ მარცვალაძემ**. **ომარ თეთრაძე** მეორე ტაიმში გამოსული შემადგენლობით კმაყოფილი დარჩა.



მარჯვნივ დიმიტრი ტატანაშვილი

**დიმიტრი ტატანაშვილის** გადამწყვეტი გოლის წყალობით „პლზენმა" სპარინგში „ბოჰემიანსი" დაამარცხა - 2:1.

ესპანეთში კიევის და მოსკოვის „დინამოების" სპარინგში (1:1) მონაწილეობა არ მიუღია **მალხაზ ასათიანს**. **იური სიომინისთვის** ეს „ვალენსიასთან" მატჩის გენერალური რეპეტიცია იყო, ამიტომაც აზრი ✓ ჰქონდა ასათიანის გამოყვანას, რომელსაც უეფას თასზე თამაშის უფლება არა აქვს. უკრაინულმა „დნიპრომ" 0:1 დათმო ბულგარულ „ლიტექსთან". **ჯაბა კანკავამ** 90 წუთი იყო და ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო გუნდში, სანაკრებო თამაშიდან კლუბში მიბრუნებული **ბექა გოცირიძე** 71-ე წუთზე გამოჩნდა. „ზარია" „ლეგიას" დაუზავდა - 0:0. **გიორგი ციმაკურიძემ** შეუცვლელად ითამაშა ლუგანსკელთა რიგებში. „ტავრიამ" 2:1 დაამარცხა რუმინული „ოცელული". **ვასილ გიგიაძე** მოედანზე 61-ე წუთზე შევიდა, **ლადო ბურდული** - 76-ეზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გიორგი ადამია

იტალია. სერია A XXIV ტური

# ადრიანო მოვალეა, აღიაროს...

## ინტერმა სკუდეტოს ხელი დაადო



ადრიანოს სკანდალური გოლი

მილანური დერბის შემდეგ კიდევ ატყდება კამათი იმის თაობაზე, არის თუ არა საჭირო თამაშის დროს საკამათო ეპიზოდების ვიდეოგანხილვა. ამაზე დიდი ხანია მხოლოდ ლაპარაკი გვესმის, მაგრამ არგუმენტები, რომ ამგვარმა განხილვებმა „შეიძლება ფეხბურთი მოკლას", რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა იმასთან შედარებით, რასაც მართლა შეუძლია ფეხბურთის დასამარება. ვინ თქვა, რომ ნაკლებად კლავს ფეხბურთს... თუნდაც აშკარად ხელით გატანილი გოლი? ეს ხომ არის პირდაპირი დარტყმა ამ გენიალური თამაშის ფუძემდებლურ პრინციპზე?! აქამდე, ხელით გატანილი გოლის ქრესტომათიული ნიმუში ნანახი გვქონდა 1986 წლის მუნდიალზე, როცა არგენტინის ნაკრებს მეოთხედფინალური ბარიერის დაძლევაში დიდწილად „ღმერთის ხელი" დაეხმარა. მაშინ **დიეგო მარადონამ** თავი ღმერთს გაუტოლა და წესების დარღვევა აღიარა. **ადრიანო** ვერასოდეს გახდება მარადონა, როგორც ფეხბურთელი, თუმცა მას აქვს შანსი, ვაჟკაცურად აღიაროს, რომ „მილანს" გოლი ხელით გაუტანა. მართალია, ეს არ იქნება შვება „როსონერისთვის", რომელმაც წააგო „მადონინა", და დიდად ვერც ადრიანოს მოწმენდს ნამუსს, მაგრამ... ადრიანო მაინც მოვალეა, ხელი აღიაროს!

ისე, რაღაცნაირი გრძნობა გეუფლება ადამიანს - თამაშობ, იბრძვი... და უცებ, ვიღაც ხელით გაგიტანს, მერე არბიტრი (ან ლაინსმენი) ამას ვერ დაინახავს და ყველაფერი ინგრევა. და რა დააშავა „მილანმა"? **რობერტო როზეტი** გამოცდილი, საერთაშორისო რანგის რეფერია და ეს მამაძაღლობა არ უნდა გამოჰპარვოდა. ან კიდევ, განა ლაინსმენი არ იყო ვალდებული, ადრიანოს ხელი დაენახა და ალამი აღემართა? რაც, სხვათა შორის, რამდენჯერმე ზუსტად გააკეთა მეორე ტაიმში, ერთ-ერთ ეპიზოდში კი სრულიად სამართლიანად გააუქმა **ინძაგის** გოლი...

საერთო ჯამში თამაში კარგი სანახავი იყო. ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, მაგრამ ასე არ ინება საფეხბურთო თემიდამ და... გარკვეული დოზით ფორტუნამაც. ამ სიტუაციაში კი „ინტერის" მდგომარეობა უკვე მშვენიერია - **ჟოზე მოურინიოს** გუნდი უახლოეს მდევარ „იუვენტუსს" მთელი 9 ქულით უსწრებს, გუშინდელ ოპონენტს კი 11-ით. **კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე** 77-ე წუთზე შეცვალა, სამაგიეროდ, ბოლომდე ითამაშა **პაოლო მალდინიმ**, ვისთვისაც ეს ბოლო მილანური დერბი იყოო, ამბობენ. თუმცა ლეგენდარულ კაპიტანს ხომ არაერთხელ შეუცვლია გადაწყვეტილება...

ტური კი ტრადიციულად შაბათის ორი მატჩით გაიხსნა. ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა და საგულისხმოა, რომ ეს იმ გუნდების მატჩები იყო, რომელთაც დიდი ხანია მოგების გემო არ გაუგიათ. ჯერ „ლაციომ" და „ტორინომ" გაიყვეს ქულები. თითქოს, სტუმარი კმაყოფილი უნდა იყოს რომაული ნადავლით, მაგრამ... როცა ზედიზედ 6 ტურის განმავლობაში არ გაგიმარჯვია და გასავარდნ სამეულში ხარ, კმაყოფილი მხოლოდ სულელი შეიძლება იყოს. მით უმეტეს, „ტორო" იგებდა და ეგ იყო მხოლოდ, რომ კონცენტრაცია ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

6-მატჩიანი მოუგებელი სერია ძლიერი დარტყმაა „ლაციოს" რეპუტაციაზეც. „ოლიმპიკოზე" დასწრება თამაშიდან თამაშამდე მცირდება შაბათსაც, ტრიბუნებზე მხოლოდ „ბიანკოჩელესტეს" უერთგულესმა ფანებმა მოუყარეს თავი და გუნდს გვარიანი ობსტრუქციაც მოუწყვეს. როდემდე გაძლებს პოსტზე **დელიო როსი**, ეს მხოლოდ **კლაუდიო ლოტიტოს** მოთმინებაზეა დამოკიდებული. ისე კი, „ლაციალეს" პრეზიდენტს ნამდვილად რკინის ნერვები ჰქონია...

თამაშს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა ანგარიში **დაბოს** უხეში შეცდომის წყალობით გახსნეს, რის გამოც ფრანგი ნახევარმცველი შესვენებისას შეცვალეს კიდეც. მის ნაცვლად შესულმა **მაურიმ** საგრძნობლად გამოაცოცხლა რომაელთა თამაში და **სივილიამ** ქაოტურ სიტუაციაში 5 მეტრიდან რომ გაათანაბრა ანგარიში, ამაში მაურის დამსახურებაც იყო.

მეორე ნახევარში ერთი უსიამოვნო ამბავიც მოხდა - არბიტრმა **მასიმილიანო საკანიმ** კინაღამ თამაში მიატოვა. **კოლაროვის** დარტყმის შემდეგ მას ბურთი სახეში მოხვდა, თვალთ დაუბნელდა და დაეცა... ექიმების დროული ჩარევა რომ არა, უფრო მძიმედ იქნებოდა საქმე. და რაკი მსაჯი ვახსენეთ ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ტორინოს" პრეზიდენტმა **ურბანო კაირომ** საფეხბურთო თემიდას მსახურთ შეუტია - მიმდინარე სეზონში უკვე 7 ქულა დაგვაკარგვინესო. თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, ამ შემთხვევაში უშუალოდ საკანისთან რა პრეტენზიები ჰქონდა...

გრძელდება კრიზისი „ნაპოლიშიც" - **ედოარდო რეიას** ბიჭებმა ზედიზედ მეექვსე მოუგებელი მატჩი ჩაატარეს. პოზიციები დაკარგულია და ძნელია ასეთ სიტუაციაში ჩემპიონთა ლიგის ზონაზე ოცნება. ნეაპოლელებმა საკუთარ მოედანზე 2 ქულა დათმეს **სინიშა მიხაილოვიჩის** „ბოლონიასთან", რომელიც ჯერაც საკუთარი თავის ძიებაშია. ერთადერთი, ვისაც ეს ძიების პროცესი არ ეხება, ვეტერანი ფორვარდი **დი ვაიოა**, რომელიც „ტყვიას ტყვიაში აჯენს". ჩემპიონატის მე-16 გოლი მან ლამის კარის ხაზიდან გაიტანა - **რინაუდო** და **კონტინი** მიუტევებელ შეცდომას უშვებენ და **ვოლპი** დი ვაიოსთვის ბურთის გადაწოდებას ახერხებს... ნეაპოლელმა მცველებმა კი დაიჩივლეს, ვოლპიმ ხელით ითამაშაო, მაგრამ მათი ხმა არავინ შეისმინა...

კვირის მატჩებიდან გამოსარჩევია სამი დაპირისპირება, რომელიც სატურნირო განლაგებაში მნიშვნელოვან კორექტივებს ვერ შეიტანდა, თუმცა წყვილები უთუოდ საინტერესო იყო. ბოლო პერიოდში „იუვენტუსი" ფორმაში რომ ვერ არის, არახალია, მაგრამ არც „სამპდორია" წყვეტს ვარსკვლავებს. ამ სეზონში **ვალტერ მაძარის** გუნდს ცუდად მისდის საქმეები, თუმცა ვერავინ დაიკვეხნის, რომ „სამპს" იოლად უგებს. „იუვეც" ამ მახეში გაება. სტუმართა ძალისხმევას მალევე მოჰყვა შედეგი - **კასანომ** იუველირული სიზუსტის პასით მოძებნა **პაცინი**, რომელმაც **ბუფონს** თვალი თვალში გაუყარა და ბურთი ახლო დაბალ კუთხეში მოათავსა. „იუვე" მძიმედ გამოფხიზლდა. **კლაუდიო რანიერის** შეგირდები მწყობრად ვერ უტევდნენ, არადა, ქაოტური ქმედებების ხარჯზეც კი **ნედვედმა** ორჯერ მოარტყა ბურთი გენუელთა კარის ძელს...

მეორე ნახევარში თამაში, ფაქტობრივად, ცალ კარში მიდიოდა. „ბებერ ქალბატონს" არაერთი შანსი მიეცა, **დელ პიეროს** დარტყმის შემდეგ ბურთი კიდევ ერთხელ მოხვდა სტუმართა კარის ხელს. მეორე ტაიმში ტურინელებს იშვიათი კონტრშეტევა გაეპარათ, **კასანოს** დარტყმული ჯერ მცველს მოხვდა, მერე ძელიც „მოიკითხა"...

ანგარიში კი 62-ე წუთზე გათანაბრდა, როცა შეცვლაზე შესული **ჯოვინკოს** ფლანგურ პასს **ამაურიმ** თავური მიაყოლა - 1:1. რანიერიმ უცნაური კომენტარი გააკეთა: „როცა ამდენს უტევ და ამდენ შანსს ანიავებ, დიდია ალბათობა, აქეთ გაუშვა გოლი და წააგო. ამიტომ, დღევანდელი ფრე სულაც არ არის ცუდი შედეგი".

*„მეტოქემ ჩვენზე უკეთ ითამაშა და გამარჯვებაც აბსოლუტურად დაიმსახურა. მათ უპირატესობა ჰქონდათ მძიმე გრუნტის პირობებშიც, ჩვენ კი თავი ვერაფერს მოვაბით და სამართლიანადაც დავისაჯეთ"* - ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს „რომას" მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** კომენტარია. პრინციპში, „ჯალოროსის" თავკაცის დასკვნა გადასინჯვასა და ზედმეტ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. „ატალანტამ" მართლაც დიდებულად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ნახევრის დასაწყისში, როცა კლასით აშკარად მაღლა მდგომ მეტოქეს 6-7 წუთში მოუღო ბოლო.

საოცარი თამაში გამოვიდა გენუაში, სადაც „ფიორენტინა" თითქოს უიმედოდ აგებდა (0:3) იქაურ „ჯენოასთან", მაგრამ **ადრიან მუტუს** ტიტანური ძალისხმევით თამაში შემოაბრუნა და „მარასიდან" დაუჯერებელი, თუმცა კი ალალი ქულა წაიღო. არბიტრ **ნიკოლა რიცოლის** სამ წუთში ორი პენალტის დანიშვნამ მოუწია. ჯერ **მილიტომ** ალასრულა საფეხბურთო სასჯელის უმკაცრესი ზომა და ანგარიშში სხვაობას კატასტროფული სახე მისცა, ხოლო შემდეგ მუტუმ 11-მეტრიანის ნიშნულიდან **რუბინიოს** აჯობა და „ფიორენტინას" იმედი ჩაუსახა. გადამწყვეტი აღმოჩნდა თამაშის ბოლო 10 წუთი, როცა რუმინელმა ჯერ **ვარგასის** დარტყმულს დაამატა, ბოლოს კი, წამატებული დროის უკანასკნელი ამოსუნთქვისას, საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაჰკრა - 3:3!

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

**21 თებერვალი. პალერმო-იუვენტუსი, ბოლონია-ინტერი, რომა-სიენა. 22 თებერვალი. ლეჩე-ლაციო, კატანია-რეჯინა, სამპდორია-ატალანტა, ფიორენტინა-კიევო, მილანი-კალიარი, ტორინო-უდინეზე, ნაპოლი-ჯენოა.**

### ლაციო-ტორინო 1:1

**ლაციო:** მუსლერა-6, ლიხტშტაინერი-6, სივილია-6, კრიბარი-6, კოლაროვი-6.5, ბროკი-6, დაბო-4.5 (46. მაური-5.5), მათუსალემი-5, ფოჯა-5.5, როკი-6, პანდევი-5.5 (31. ს. ინძაგი).

**ტორინო:** სერენი-6, კოლომბო-6, დელაფიორე-6, ნატალი-6.5, მ. პიზანო-5.5, პ. ძანეტი-6, ჯემაილი-5.5, კორინი-5.5 (81. ბარონე), აბატე-6.5 (82. დიანა), როზინა-6, ვენტოლა-6 (89. სტელონე).

**გოლები:** 0:1 აბატე (36), 1:1 სივილია (75)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 19-41; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16-5 (3-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 17 000

### ნაპოლი-ბოლონია 1:1

**ნაპოლი:** ნავარო-6, რინაუდო-5.5, კანავარო-4.5 (72. რუსოტო-6), კონტინი-5.5, მაჯო-7, პაციენცა-5.5, გარგანო-5, დატოლო-6, ვიტალე-5.5, დენისი-6.5, ლავეცი-6.

**ბოლონია:** ანტონიოლი-7, ძენონი-5.5, მორასი-6, ბრიტოსი-6.5 (89. ტერცი), ლანა-5.5, ვალიანი-6, მუდინგაი-6.5, ვოლპი-6.5, მინგაცინი-6, ბომბარდინი-6, დი ვაიო-7.5 (90. მარაცინა).

**გოლები:** 1:0 მაჯო (20), 1:1 დი ვაიო (23)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 16-13 (7-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 30 000

### იუვენტუსი-სამპდორია 1:1

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, გრიგერა-6, მელბერგი-6, ლეგროტალიე-6, მოლინარო-6.5, კამორანეზი-6 (69. მარკიონი-6), ტიაგო-6.5 (89. მარკიზიო), პოულსენი-6 (46. ჯოვინკო-7), ნედვედი-6.5, დელ პიერო-6.5, ამაური-7.

**სამპდორია:** კასტელაცი-7, სტანკევიჩუსი-6.5, გასტალდელო-6.5 (71. ფერი), რაჯი-7 (58. და კოსტა-6), პადალინო-6, სამარკო-6, დ. ფრანჩესკინი-6.5, პალომბო-7, პიერი-6.5, პაცინი-7, კასანო-7.5 (76. ციგლერი).

**გოლები:** 0:1 პაცინი (10), 1:1 ამაური (62)

გოლები: 1:0 იელენი (30), 2:0 შაფნი (35)
გაძევება: კალენბერგი (77. ოსერი)
გაფრთხილება: 1-2
მაყურებელი: 9 753

**ბორდო-გრენობლი 1:1**

ბორდო: რამე, შალმე, ენრიკე, პლანუსი, ტრემულინა, ა. დიარა (81. გურკუფი), იუსი, ვენდელი, ფერნანდო, შამახი, კავენაგი (71. გუფრანი).

გრენობლი: ვიმბე, ვიტაკიჩი, პეო, სესარი, რობენი, რომაო, ბატლი (88. მაკე), კურტუა (61. ბუა), ფეგული, გრანდენი, მორეირა (67. აკრური).

გოლები: 1:0 შამახი (60), 1:1 სესარი (76)
გაფრთხილება: 1-3
მაყურებელი: 21 392

**კაენი-ლორიანი 1:1**

კაენი: პლანტე, სეობი, ბუკანსო (77. ლეკა), სორბონი, ლემაეტრი, დერუანი, პრომანი, ელუჩანსი (85. ფლორენტენი), ნივე, ადნანი (61. ბენ ხალფალა), სავიდანი.

ლორიანი: ოდარი, კალვე, მარშალი, გენტონი, მორელი, ევოლო, აბრიელი, ამალფიტანო, აიევი (61. ჟუფრე), გამეირო (85. ობერტანი), ვაირუა (43. საიფი).

გოლები:
გაძევება: გენტონი (90. ლორიანი)
გაფრთხილება: 4-4
მაყურებელი: 16 600

**ლე მანი-ნიცა 1:2**

ლე მანი: როში, გედერი, პაულო ანდრე (68. ადენონი), სედრანი, ბუჰურსი, კორშია (68. კუტადორი), ტომასი, მაეგა, ლე ალეკი (81. კამარა), ჰელსტადი, ლამა.

ნიცა: ოსპინა, კანტე, აპამი, ეშუაფნი, ფაე, კულიბალი (59. ტრაორე), დიაკიტე, ჟონეშამი (58. სიდი), რემი, ბენ საადა (65. მულუნგი), ბამოგო.

გოლები: 1:0 ჰელსტადი (51), 1:1 ფაე (76), 1:2 ტრაორე (89)
გაძევება: სედრანი (77. ლე მანი), რემი (77. ნიცა)
გაფრთხილება: 2-0
მაყურებელი: 8 015

**პსჟ-სტ. ეტიენი 2:1**

პსჟ: ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, სახო, არმანი, სესენონი, კლემანი, მაკელელე, როტენი, ლუინდულა (90+1. შანტომი), ჟიული (74. ოარო).

სტ. ეტიენი: ჟანო, ვარო, ბენალუანი, ტავლარიდისი, ბეიალი, დაბო, პეიე (85. რივიერი), მატუიდი, მაშადო (67. მირალა), ილანი, გომისი.

გოლები: 1:0 სახო (26), 1:1 პეიე (34), 2:1 კლემანი (37)
გაფრთხილება: 2-0
მაყურებელი: 42 366

**რენი-ნანსი 1:1**

რენი: დუშე, ფანი, ჰანსონი, მანგანი, ბოკანეგრა, ლემუანი, მბია (46. ბრ. შეირუ), კემბო-ეკოკო (75. ეშიეჟილი), ტომერტი, პაჟისი (62. ესტებანი), ბრიანი.

ნანსი: ბრასილიანო, ელდერი, ანდრე ლუისი, აუდუ, მაკალუსო, ბიანკალანი, ნ'გემო (87. კურბელო), ალ. ნ'დიაიე, ფერე, ი. ჰაჯი, ი. დია (69. ბეენგერი).

გოლები: 0:1 ი. ჰაჯი (57), 1:1 ბრიანი (88)
გაფრთხილება: 1-1
მაყურებელი: 19 002

**ვალანსი-ნანტი 1:1**

ვალანსი: პენეტო, დუკურტუა, რაფაელი, ბიშევაცი, დანიკი, ტიენე, სანჩესი, საესი, ლაკური (69. ბანგურა), დარშევილი (28. ოდელი), პუჟოლი.

ნანტი: ალონსო (83. ნ'დი ასემბე), დას ნევეში, პიერი, გიიონი, პულარი, ფატი (46. ბეკამენგა), დე ფრეიტასი, ვენკორი, აბდუნი, კაპუე, კლასნიჩი (87. ჯორჯევიჩი).

გოლები: 1:0 რაფაელი (13), 1:1 კლასნიჩი (61)
გაფრთხილება: 3-2
მაყურებელი: 11 620

**ლიონი-ჰავრი 3:1**

ლიონი: ლორისი, ბუმსონგი, მენსა, კრისი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, ედერსონი (89. პიანიჩი), ჟუნინიო, ბენზემა (80. პიკიონი), კ. კეიტა (89. კალსტრიომი).

ჰავრი: რევო, ბა, ბაკა, მარანჟი, ფრანკარი, სამბუ (73. ნესტორი), ნორო (76. დავიდა), ალა, ანენი, დიალო, ალასანი.

გოლები: 1:0 ედერსონი (33), 2:0 კ. კეიტა (43), 3:0 ჟუნინიო (74), 3:1 ნესტორი (82)
გაძევება: მენსა (70. ლიონი)
გაფრთხილება: 2-2
მაყურებელი: 35 000

**სოშო-ტულუზა 1:2**

სოშო: რიშერი, პიშო, ფატი, პერკისი (72. მარტენი), მიკარი, აფოლაბი (46. კარლაო), ისაბეი, პიტო (74. ბუდებუ), სვერკოსი, მორის-ბელეი, ერდინგი.

ტულუზა: ბლონდელი, მატიო (88. ბერგუნუ), კონგრე, ფოფანა, მ'ბენგი, სეტო, სირიეი, ბრაატენი, კაპუე, მუ. სისოკო (78. ბერსონი), გინიაკი.

გოლები: 1:0 აფოლაბი (12), 1:1 ფატი (33-საკ. კარში), 1:2 გინიაკი (66)
გაფრთხილება: 2-1
მაყურებელი: 19 000

**მონაკო-მარსელი 0:1**

მონაკო: რუფიე, მიულერი, შიმიჩი, ადრიანო, მოდესტო, პოკრივაცი (74. ლეკო), გოსო, მოლო, პარკი (81. ნიმანი), პინიო (65. გაპკე), ლისატა.

მარსელი: მანდანდა, ილტონი, ჟულიენ როდრიგესი, ტაივო, ბონარტი, შეირუ (76. ბენ არფა), მბამი, ბრანდაო, ვალბუენა, ვილტორი (68. კონე), ზიანი (43. კაბორი).

გოლები: 0:1 კონე (77).
გაფრთხილება: 1-0
მაყურებელი: 13 475

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 24 | 14 | 7 | 3 | 33-16 | 49 |
| 2. პსჟ | 24 | 14 | 3 | 7 | 34-24 | 45 |
| 3. მარსელი | 24 | 12 | 8 | 4 | 39-25 | 44 |
| 4. ტულუზა | 24 | 12 | 8 | 4 | 27-16 | 44 |
| 5. ბორდო | 24 | 12 | 7 | 5 | 40-24 | 43 |
| 6. რენი | 24 | 9 | 12 | 3 | 26-16 | 39 |
| 7. ლილი | 23 | 10 | 9 | 4 | 34-25 | 39 |
| 8. ნიცა | 23 | 10 | 6 | 7 | 28-24 | 36 |
| 9. ლორიანი | 24 | 7 | 10 | 7 | 29-27 | 31 |
| 10. ნანსი | 23 | 7 | 8 | 8 | 22-25 | 29 |
| 11. მონაკო | 24 | 7 | 7 | 10 | 27-29 | 28 |
| 12. ოსერი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-23 | 27 |
| 13. გრენობლი | 24 | 6 | 9 | 9 | 14-22 | 27 |
| 14. ნანტი | 24 | 7 | 6 | 11 | 22-33 | 27 |
| 15. კაენი | 23 | 5 | 10 | 8 | 28-29 | 25 |
| 16. ლე მანი | 23 | 7 | 4 | 12 | 27-35 | 25 |
| 17. სტ.ეტიენი | 24 | 7 | 3 | 14 | 21-35 | 24 |
| 18. ვალანსი | 23 | 4 | 9 | 10 | 19-27 | 21 |
| 19. სოშო | 24 | 3 | 11 | 10 | 24-32 | 20 |
| 20. ჰავრი | 24 | 4 | 3 | 17 | 18-43 | 15 |

ბომბარდირები: 15 - გინიაკი (ტულუზა); 13 - ოარო (პსჟ); 12 - კავენაგი (ბორდო); 11 - ბენზემა (ლიონი); 9 - ბასტოსი (ლილი), სავიდანი (კაენი)

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-ტური | 2:0 |
| ბრესტი-ანჟერსი | 2:1 |
| შატორუ-სტრასბური | 0:1 |
| დიჟონი-ბულონი | 1:0 |
| მეცი-მონპელიე | 3:1 |
| ნიმი-ტრუა | 1:0 |
| რეიმსი-ამიენი | 1:3 |
| სედანი-გინგამი | 1:0 |
| ვანი-აიაჩო | 1:1 |
| კლერმონი-ლავალი | დღეს |

## თურქეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-გაზიანთეფი | 3:1 |
| ესკიშეჰირი-გენჩლერი | 0:0 |
| ანთალია-გალათასარაი | 1:0 |
| ფენერბაჩე-ჰაჩეთეფე | 7:0 |
| ანკარა-ბუიუქშეჰირი | 1:2 |
| დენიზლი-კონია | 2:1 |
| კოჯაელი-კაისერი | 1:2 |
| ბურსა-სივასი | 1:1 |
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სივასი | 20 | 12 | 6 | 2 | 33-13 | 42 |
| 2. ტრაბზონი | 20 | 12 | 6 | 2 | 29-16 | 42 |
| 3. ფენერბაჩე | 20 | 11 | 4 | 5 | 39-21 | 37 |
| 4. გალათასარაი | 20 | 11 | 4 | 5 | 41-23 | 37 |
| 5. ბეშიქთაში | 20 | 10 | 6 | 4 | 30-19 | 36 |
| 6. ანკარა | 20 | 10 | 3 | 7 | 28-18 | 33 |
| 7. კაისერი | 20 | 8 | 8 | 4 | 21-12 | 32 |
| 8. გაზიანთეფი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-26 | 30 |
| 9. ბურსა | 20 | 8 | 6 | 6 | 26-26 | 30 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-30 | 25 |
| 11. ესკიშეჰირი | 20 | 5 | 9 | 6 | 28-28 | 24 |
| 12. ანთალია | 20 | 5 | 7 | 8 | 20-26 | 22 |
| 13. გენჩლერი | 20 | 5 | 6 | 9 | 24-28 | 21 |
| 14. კონია | 20 | 5 | 6 | 9 | 19-29 | 21 |
| 15. ანკარაგიუჯუ | 20 | 4 | 6 | 10 | 19-30 | 18 |
| 16. დენიზლი | 20 | 5 | 3 | 12 | 25-37 | 18 |
| 17. კოჯაელი | 20 | 3 | 3 | 14 | 24-46 | 12 |
| 18. ჰაჩეთეფე | 20 | 2 | 5 | 13 | 11-39 | 11 |

### II დივიზიონი

XXII ტური

მანიშა-ალთაი 0:1; რიზე-დიარბაქირი 0:1; ბოლუში-მალათია 4:1; ერჩიესი-ადანა გადაიდო; გირეშუნი-ბბ გაზიანთეფი 0:2; გიუნგორენი-სამსუნი 0:0; ორდუ-ქარაბუქი 1:1; ქართალი-ქარაბუქი 1:1; ქარსიაქა-ქასიმფაშა დღეს.

## საბერძნეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ლევადია-პაოკ | 0:3 |
| პანიონიოსი-ერგოტელისი | 0:0 |
| აეკ-ტრასიბულოსი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 2:1 |
| ოფი-ასტერასი | 1:1 |
| პანსერაიკოსი-ქსანტი | 1:0 |
| პანთრაკიკოსი-ლარისა | 0:1 |
| ირაკლისი-პანათინაიკოსი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 22 | 18 | 3 | 1 | 38-9 | 57 |
| 2. პანათინაიკოს | 22 | 12 | 7 | 3 | 39-15 | 43 |
| 3. პაოკ | 22 | 12 | 7 | 3 | 26-12 | 43 |
| 4. აეკ | 22 | 9 | 11 | 2 | 26-18 | 38 |
| 5. ლარისა | 22 | 8 | 10 | 4 | 28-20 | 34 |
| 6. არისი | 22 | 8 | 7 | 7 | 17-20 | 31 |
| 7. პანიონიოსი | 22 | 8 | 5 | 9 | 26-26 | 29 |
| 8. ქსანტი | 22 | 6 | 10 | 6 | 17-13 | 28 |
| 9. ირაკლისი | 22 | 6 | 8 | 8 | 16-20 | 26 |
| 10. პანთრაკიკოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 12-24 | 25 |
| 11. ასტერასი | 22 | 5 | 10 | 7 | 23-21 | 25 |
| 12. ერგოტელისი | 22 | 6 | 6 | 10 | 21-31 | 24 |
| 13. ლევადია | 22 | 6 | 4 | 12 | 17-27 | 22 |
| 14. ოფი | 22 | 4 | 6 | 12 | 24-37 | 18 |
| 15. პანსერაიკოსი | 22 | 4 | 6 | 12 | 12-30 | 18 |
| 16. ტრასიბულოსი | 22 | 3 | 4 | 15 | 17-36 | 13 |

### II დივიზიონი

XXII ტური

აპოლონი-ვერია 0:0; დიაგორასი-აგროტიკოსი 2:1; ეთნიკოსი (ა)-ეთნიკოსი 2:1; ილისიაკოსი-იონიკოსი 2:0; კალამატა-კავალა 0:1; კალითეა-ატრომიტოსი 0:2; იანინა-ანაგენისი 2:1; პიერიკოსი-კასტორია 2:0; ოლიმპიაკოსი-კერკირა დღეს.

## ინგლისი

გადადებული მატჩი

**პორტსმუთი-მანჩ. სიტი 2:0**

პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტენი, ჰრეიდარსონი, პენანტი (86. ბელაჯი), ბასინასი (67. მულინზი), დევისი, კრანჩარი, კრაუჩი, ნაჯენტი.

მანჩესტერ სიტი: გივენი, ლოგანი, კომპანი, ონუოჰა, ბრიჯი, საბალეტა (78. ევანსი), დე იონგი, ირლანდი, ელანო, ბელამი, რობინიო (66. კაისედო).

გოლები: 1:0 ჯონსონი (70), 2:0 ჰრეიდარსონი (75)
გაფრთხილება: 1-3; დარტყმა: 15(9)-10(7); კუთხური: 8-2; ჯარიმა: 12-8
მაყურებელი: 20 018

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 24 | 17 | 5 | 2 | 41-10 | 56 |
| 2. ლივერპული | 25 | 15 | 9 | 1 | 42-17 | 54 |
| 3. ასტონ ვილა | 25 | 15 | 6 | 4 | 40-24 | 51 |
| 4. ჩელსი | 25 | 14 | 7 | 4 | 44-15 | 49 |
| 5. არსენალი | 25 | 12 | 8 | 5 | 38-25 | 44 |
| 6. ევერტონი | 25 | 11 | 7 | 7 | 34-28 | 40 |
| 7. უიგანი | 25 | 9 | 7 | 9 | 26-24 | 34 |
| 8. ვესტ ჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 31-32 | 33 |
| 9. მანჩესტერ ს | 25 | 9 | 4 | 12 | 42-34 | 31 |
| 10. ფულჰემი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-19 | 30 |
| 11. სანდერლენდი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-33 | 30 |
| 12. ჰალი | 25 | 7 | 8 | 10 | 31-46 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 25 | 6 | 9 | 10 | 33-42 | 27 |
| 14. ბოლტონი | 25 | 8 | 3 | 14 | 27-37 | 27 |
| 15. პორტსმუთი | 25 | 7 | 6 | 12 | 27-41 | 27 |
| 16. ტოტენჰემი | 25 | 6 | 7 | 12 | 26-31 | 25 |
| 17. სტოკი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-40 | 24 |
| 18. ბლეკბერნი | 24 | 5 | 8 | 11 | 27-40 | 23 |
| 19. მიდლსბრო | 25 | 5 | 7 | 13 | 18-36 | 22 |
| 20. ვ. ბრომვიჩი | 25 | 6 | 4 | 15 | 24-47 | 22 |

### ჩემპიონატი

XXXIII ტური

ბირმინგემი-ნოტინგემი 2:0; ბრისტოლი-საუთჰემპტონი 2:0; ბარნლი-ვულვზი 1:0; ჩარლტონი-პლიმუტი 2:0; დონკასტერი-უენსდი 1:0; იფსვიჩი-ბლეკპული 1:1; პრესტონი-ნორვიჩი 1:0.

### I ლიგა

XXXII ტური

ბრაიტონი-კარლაილი 0:2; ჩელტენემი-ჰერეფორდი 2:3; ჰადერსფილდი-ლიდსი 1:0; ლესტერი-სუინდონი 1:1; ლეიტონი-ქრიუ 1:0; მილტონი-ჰარტლპული 3:1; ოლდჰემი-ნორთჰემპტონი 2:1; პიტერბროიეოვილი 1:3; სკანთორფი-როვერსი 0:2; საუთენდი-ტრანმერი 2:1; სტოკპორტი-მილუოლი 2:2; უოლსოლი-კოლჩესტერი 2:0.

### II ლიგა

XXXII ტური

ბორნმუთი-აკრინგტონი 1:0; ბრედფორდი-უიკომბი 1:0; ბრენტფორდი-პორტ ვეილი 2:0; დაგენჰემი-ლუტონი 2:1; ექსეტერი-ალდერშოტი 3:2; გრიმსბი-ბერი 1:2; მაკლსფილდი-როჩდეილი 0:1; მორეკამბი-ჩესტერი 3:1; ნოტსი-ბარნეტი 2:0; როტერჰემი-ჯილინგემი 2:0; შრიუსბერი-ჩესტერფილდი 2:1.

### კონფერენცია

XXXII ტური

ოქსფორდი-ბაროუ 3:0; სალისბერი-ჰისტონი 0:4; ტორკი-ალტრინჩემი 3:1; უეიმაუთი-სტევენეიჯი 0:3; უოკინგი-კეტერინგი 0:1; რექსჰემი-გრეისი 3:2; კიდერმინსტერი-ნორთვიჩი 1:2.

## ინგლისის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| სუონსი-ფულჰემი | 1:1 |
| ბლეკბერნი-კოვენთრი | 2:2 |
| შეფილდი-ჰალი | 1:1 |
| ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1:1 |
| უოტფორდი-ჩელსი | 1:3 |
| ევერტონი-ასტონ ვილა | 3:1 |
| დერბი-მანჩესტერ იუნ | 1:4 |

## ჰოლანდია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ვილემი-უტრეხტი | 0:2 |
| დენ ჰააგი-გრააფსხაპი | 1:0 |
| ტვენტე-ვოლენდამი | 2:1 |
| ეინდჰოვენი-ალკმაარი | 2:2 |
| ბრედა-როდა | 1:0 |
| აიაქსი-ფეიენოორდი | 2:0 |
| გრონინგენი-ჰერაკლესი | 2:0 |
| ნიიმეგენი-ჰერენვენი | 1:1 |
| სპარტა-ვიტესი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 23 | 18 | 3 | 2 | 49-14 | 57 |
| 2. ტვენტე | 23 | 14 | 6 | 3 | 45-22 | 48 |
| 3. აიაქსი | 23 | 14 | 3 | 6 | 50-27 | 45 |
| 4. ეინდჰოვენი | 23 | 12 | 6 | 5 | 49-25 | 42 |
| 5. ჰერენვენი | 23 | 12 | 6 | 5 | 46-41 | 42 |
| 6. გრონინგენი | 23 | 12 | 4 | 7 | 43-25 | 40 |
| 7. უტრეხტი | 23 | 10 | 7 | 6 | 35-26 | 37 |
| 8. ბრედა | 23 | 10 | 5 | 8 | 33-36 | 35 |
| 9. ნიიმეგენი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-26 | 32 |
| 10. ვიტესი | 23 | 6 | 8 | 9 | 23-33 | 26 |
| 11. ვილემი | 23 | 7 | 4 | 12 | 27-37 | 25 |
| 12. ფეიენოორდი | 23 | 6 | 6 | 11 | 33-33 | 24 |
| 13. სპარტა | 23 | 6 | 6 | 11 | 35-48 | 24 |
| 14. ჰერაკლესი | 23 | 5 | 8 | 10 | 24-38 | 23 |
| 15. დენ ჰააგი | 23 | 6 | 4 | 13 | 24-38 | 22 |
| 16. როდა | 23 | 4 | 6 | 13 | 25-41 | 18 |
| 17. გრააფსხაპი | 23 | 4 | 5 | 14 | 15-45 | 17 |
| 18. ვოლენდამი | 23 | 4 | 3 | 16 | 26-57 | 15 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ჰაარლემი-ეინდჰოვენი A 2:1; ჰელმონდი-ემენი 3:1; დორდრეხტი-აპელდორნი 2:1; ვენლო-კამბური 1:2; ცვოლეროსენდალი 0:2; ფორტუნა-იგლზი 0:1; ომნივორლდი-ტოპ ოსი 0:2; ექსელსიორი-მაასტრიხტი 1:1 ვეენდამი-ვაალვიკი 0:2; დენ ბოში-ტელსტარი 3:0.

## ბელგია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბევერსხოტი-სერკლი | 1:1 |
| მეხელენი-გენტი | 3:3 |
| ლოკერენი-რუზელარე | 2:1 |
| მონსი-კორტრიიკი | 1:1 |
| მუსკრონი-ვესტერლო | 0:0 |
| სტანდარტი-ტუბიკე | 4:0 |
| ვარეგემი-დენდერი | 1:0 |
| შარლერუა-ანდერლეხტი | 0:1 |
| ბრიუგე-გენკი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 22 | 15 | 4 | 3 | 43-19 | 49 |
| 2. ანდერლეხტი | 21 | 15 | 2 | 4 | 51-22 | 47 |
| 3. ბრიუგე | 21 | 12 | 4 | 5 | 38-27 | 40 |
| 4. გენკი | 21 | 11 | 3 | 7 | 32-29 | 36 |
| 5. ვესტერლო | 22 | 10 | 5 | 7 | 26-24 | 35 |
| 6. ვარეგემი | 22 | 10 | 4 | 8 | 33-28 | 34 |
| 7. სერკლი | 22 | 10 | 4 | 8 | 35-34 | 34 |
| 8. გენტი | 21 | 9 | 6 | 6 | 45-30 | 33 |
| 9. ლოკერენი | 22 | 8 | 9 | 5 | 28-21 | 33 |
| 10. მუსკრონი | 22 | 8 | 6 | 8 | 31-29 | 30 |
| 11. კორტრიიკი | 22 | 7 | 8 | 7 | 23-31 | 29 |
| 12. ბევერსხოტი | 22 | 6 | 8 | 8 | 28-28 | 26 |
| 13. მეხელენი | 22 | 5 | 9 | 8 | 30-38 | 24 |
| 14. შარლერუა | 22 | 6 | 4 | 12 | 28-39 | 22 |
| 15. ტუბიკე | 22 | 5 | 3 | 14 | 25-50 | 18 |
| 16. დენდერი | 22 | 4 | 6 | 12 | 25-40 | 18 |
| 17. მონსი | 22 | 3 | 8 | 11 | 24-33 | 17 |
| 18. რუზელარე | 22 | 3 | 5 | 14 | 20-43 | 14 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ბევერენი-ნამური 2:0; ეუპენი-ვაასლანდი გადაიდო; ლიერსი-ტინენი 4:1; ლომელი-დაინცე გადაიდო; ოლ. შარლერუა-ჰამე 0:2; რონსე-ტურნე 1:0; სტ. ტრუიდენი-ოსტენდე 1:0; ვირტონი-ლიეჟი 1:2; ბრიუსელი-ანტვერპენი 1:0.

## პორტუგალია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ნასიონალი-გიმარაეში | 3:0 |
| მარიტიმუ-ამადორა | 1:0 |
| ბრაგა-ლეიქსოეში | 0:1 |
| ბელენენსეში-სპორტინგი | 1:2 |
| ტროფენსე-ნავალი | 2:2 |
| პორტუ-რიუ ავე | 3:1 |
| ბენფიკა-ფერეირა | 3:0 |
| სეტუბალი-აკადემიკა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 17 | 10 | 6 | 1 | 29-14 | 36 |
| 2. პორტუ | 16 | 10 | 4 | 2 | 29-12 | 34 |
| 3. სპორტინგი | 16 | 9 | 4 | 3 | 19-8 | 31 |
| 4. ლეიქსოეში | 17 | 8 | 7 | 2 | 19-12 | 31 |
| 5. ნასიონალი | 17 | 8 | 5 | 4 | 27-19 | 29 |
| 6. ბრაგა | 16 | 7 | 5 | 4 | 16-8 | 26 |
| 7. მარიტიმუ | 17 | 7 | 5 | 5 | 19-16 | 26 |
| 8. გიმარაეში | 17 | 6 | 6 | 5 | 19-18 | 24 |
| 9. ამადორა | 17 | 5 | 6 | 6 | 14-20 | 21 |
| 10. ნავალი | 17 | 5 | 4 | 8 | 14-20 | 19 |
| 11. აკადემიკა | 17 | 4 | 6 | 7 | 12-17 | 18 |
| 12. ფერეირა | 17 | 4 | 3 | 10 | 22-31 | 15 |
| 13. ბელენენსეშ | 16 | 3 | 5 | 8 | 13-25 | 14 |
| 14. რიუ ავე | 17 | 3 | 4 | 10 | 11-20 | 13 |
| 15. ტროფენსე | 17 | 3 | 4 | 10 | 13-23 | 13 |
| 16. სეტუბალი | 17 | 3 | 4 | 10 | 9-22 | 13 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

ვიზელა-ოლანენსე 0:0; ბოავიშტა-პორტიმონენსე 0:1; ეშტორილი-ფეირენსე 2:2; კოვილია-ოლივეირენსე 3:2; გონდომარი-ფრეამუნდე 1:3; ჟილ ვისენტე-ბეირა მარი 2:2; ვარზიმი-ავეში 1:0; სანტა კლარა-ლეირია 2:0.

## შოტლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-ინვერნესი | 1:1 |
| ჰართსი-აბერდინი | 2:1 |
| კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| მოზერველი-ჰამილტონი | 1:0 |
| სტ. მირენი-ფალკირკი | 2:2 |
| სელტიკი-რეინჯერსი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 25 | 17 | 5 | 3 | 52-25 | 56 |
| 2. რეინჯერსი | 25 | 16 | 6 | 3 | 53-18 | 54 |
| 3. ჰართსი | 25 | 12 | 5 | 8 | 27-27 | 41 |
| 4. დანდი იუნ | 25 | 10 | 9 | 6 | 34-31 | 39 |
| 5. აბერდინი | 25 | 11 | 4 | 10 | 30-27 | 37 |
| 6. ჰიბერნიანი | 25 | 8 | 8 | 9 | 31-33 | 32 |
| 7. მოზერველი | 25 | 9 | 5 | 11 | 28-33 | 32 |
| 8. ჰამილტონი | 25 | 9 | 2 | 14 | 23-37 | 29 |
| 9. კილმარნოკი | 25 | 8 | 4 | 13 | 24-33 | 28 |
| 10. სტ. მირენი | 25 | 7 | 6 | 12 | 21-30 | 27 |
| 11. ფალკირკი | 25 | 5 | 8 | 12 | 27-37 | 23 |
| 12. ინვერნესი | 25 | 5 | 4 | 16 | 23-42 | 19 |

### I დივიზიონი

XXIV ტური

კლაიდი-მორტონი გადაიდო; პარტიკი-დანფერმლაინი 2:3; ქუინი-ეირდრი 4:0; როსი-დანდი გადაიდო; სტ. ჯონსტონი-ლივინგსტონი 1:0.

### II დივიზიონი

XXV ტური

ბრეჩინი-რეითი გადაიდო; ისტ ფაიფი-ეირი გადაიდო; ქუინზ პარკი-ალოა 1:2; სტირლინგი-პიტერჰედი გადაიდო; სტრანრარი-არბროა 1:5.

### III დივიზიონი

XXV ტური

ალბიონი-სტენჰაუზმური ; ბერუიკიანენი გადაიდო; კოუდენბითი-მონროუზი ; ისტ სტირლინგი-ელჯინი 1:0; ფორფარიდამბარტონი გადაიდო.

## შვეიცარია

XX ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ქსამაქსი | 0:0 |
| ციურიხი-ბელინცონა | 0:0 |
| ბაზელი-გრასჰოპერსი | 0:0 |
| ლუცერნი-იანგ ბოიზი | 2:3 |
| სიონი-ვადუცი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 20 | 13 | 5 | 2 | 44-18 | 44 |
| 2. ბაზელი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-24 | 39 |
| 3. იანგ ბოიზი | 20 | 11 | 5 | 4 | 43-25 | 38 |
| 4. გრასჰოპერსი | 19 | 7 | 9 | 3 | 29-17 | 30 |
| 5. არაუ | 19 | 6 | 8 | 5 | 22-23 | 26 |
| 6. ქსამაქსი | 20 | 4 | 8 | 8 | 26-31 | 20 |
| 7. სიონი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-32 | 20 |
| 8. ბელინცონა | 19 | 4 | 6 | 9 | 18-30 | 18 |
| 9. ვადუცი | 19 | 3 | 6 | 10 | 12-35 | 15 |
| 10. ლუცერნი | 19 | 3 | 3 | 13 | 21-38 | 12 |

## არგენტინა

### კლაუსურა

II ტური

| | |
|---|---|
| რასინგი-ურაკანი | 1:4 |
| კოლონი-ხიმნასია (ხ) | 1:0 |
| ბოკა-ნიუელსი | 0:2 |
| ველესი-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ბანფილდი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| არსენალი-ტიგრე | 2:0 |
| ხიმნასია (ლ)-ლანუსი | 3:2: |
| როსარიო-რივერი | 1:2: |
| სან ლორენსო-გოდოი | გვ. დასრულდა |
| ს. მარტინი-ინდეპენდ. | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

### აპერტურა

II ტური

| | |
|---|---|
| ონსე კალდასი-ლა ეკვიდადი | 2:3 |
| დეპ. კალი-ინდეპენდიენტე | 3:1 |
| ჩიკო-სანტა ფე | 1:0 |
| კუკუტა-ატ. ხუნიორი | 0:0 |
| დეპ. პასტო-დეპ. პერეირა | 0:0 |
| მილიონარიოსი-დეპ. კინდიო | 1:1 |
| რეალი-ენვიგადო | 2:1 |
| ტოლიმა-ატ. უილა | 0:1 |
| ატ. ნასიონ-ა. დე კალი | გვ. დასრულდა |

## პერუ

### აპერტურა

I ტური

| | |
|---|---|
| ინტი-კორონელი | 1:1 |
| კოლეგიო-სპ. კრისტალი | 0:0 |
| არეკიპა-ხუან აურიჩი | 0:0 |
| ალ. ატლეტიკო-უნ. პერუ | 1:2 |
| სპორტ ანკაში-ხოსე გალვესი | 1:2 |
| სესიანო-მელგარი | 2:1 |
| ს. მარტინი-ს. ვალეხო | გვ. დასრულდა |
| ალ. ლიმა-სპორტი | გვ. დასრულდა |

## კვიპროსი

XXII ტური

| | |
|---|---|
| [illegible] | 2:1 |
| ენოსისი-აპეპ | 4:0 |
| ალკი-ანორთოსისი | 0:2 |
| აეკ-ატრომიტოსი | 5:0 |
| აპოლონი-აპოელი | [illegible] |
| ომონია-ეთნიკოსი | 1:0 |
| აეპ-აელ | დღეს |

## უელსი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ქერნარფონი-პრესტატინი | 1:1 |
| კარმარტენი-ბანგორი | 3:1 |
| ქონევსი-ქერსოუსი | 1:0 |
| ჰევერფორდვესტი-უელშპული | 3:1 |
| ნითი-ეირბასი | 3:1 |
| ნიუთაუნი-პორტ ტელბოტი | 1:0 |
| ლანელი-სუონი | 1:1 |
| ებერისვითი-რილი | 0:1 |
| პორტმედოგი-ნიუი | 2:2 |

## ჩილე

### აპერტურა

III ტური

| | |
|---|---|
| ევერტონი-მუნისიპალი | 1:0 |
| პალესტინო-აუდაქსი | 0:2 |
| კოლო კოლო-უნ. კონსეპსიონი | 2:0 |
| ლა სერენა-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| ნუბლენსე-ს. მორნინგი | 2:1 |
| კობრესალი-უნ. ესპანიოლა | 1:3 |
| უაჩიპატო-კურიკო | გვ. დასრულდა |
| ო'ჰიგინსი-რეინჯერსი | გვ. დასრულდა |
| უნ. ჩილე-კობრელოა | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

III ტური

| | |
|---|---|
| ლიგა დე კიტო-მანტა | 2:1 |
| მაკარა-ტექ. უნივერსიტარიო | 2:1 |
| ესპოლი-ბარსელონა | 2:1 |
| პორტოვიეხო-ელ ნასიონალი | 0:1 |
| ემელეკი-დეპ. კუენსა | გადაიდო |
| დეპ. კიტო-ოლმედო | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

### კლაუსურა

V ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ამერიკა | 0:0 |
| მონტერეი-კრუს ასული | 3:1 |
| მორელია-პუებლა | 1:2 |
| პაჩუკა-პუმასი | 3:2 |
| ტიგრესი-სან ლუისი | 1:0 |
| ატლასი-ატლანტე | 1:0 |
| ნეკაქსა-ტეკოსი | 1:3 |
| ტოლუკა-ინდიოსი | 1:0 |
| სანტოსი-ჩივასი | გვ. დასრულდა |

პორტსმუთი

# ჯეიმსი: 536 მატჩი პრემიერლიგაში

## არის პრემიერლიგის რეკორდი, თუმცა ფინანსური კრიზისის პირობებში არავის ეფეხბურთება

გასული წლის დეკემბერში "პორტსმუთის" მესაკუთრე **ალექსანდრ გაიდამაკმა** გულწრფელად განაცხადა, რომ კლუბის გაყიდვას აპირებდა, თუმცა პირველივე შემხვედრთან მოლაპარაკებაზე არ წავიდოდა. გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ მიიღებდა, თუკი დარწმუნდებოდა, რომ მყიდველისთვის საფეხბურთო კლუბის პატრონობა მხოლოდ გართობის საშუალება არ იქნებოდა. გასულ კვირას კიდევ ერთხელ გავრცელდა ხმები "პორტსმუთით" დაინტერესებული ბიზნესწრეების შესახებ. "ობზერვერის" ინფორმაციით, გაიდამაკი და მავანი ევროპელი საქმოსანი გარიგებასთან ახლოს იყვნენ. შაბათ საღამოს "პომპების" ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. *"გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრესამ საზოგადოება წინასწარი განზრახვით შეცდომაში შეიყვანა,"* – აი, ასეთი მოკლე კომენტარი გაკეთდა კლუბში. თუმცა მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე, რადგან "ობზერვერს" გაიდამაკის ერთ-ერთი ბიზნესპარტნიორი თავად დაუკავშირდა და შესაბამისად, ინფორმაციაც მასზე დაყრდნობით გავრცელდა. მისი თქმით, გარიგება, როგორც მინიმუმ, ორშაბათამდე არ გაფორმდებოდა და თანაც, ხელშეკრულების გაფორმების შანსი 50 პროცენტს არ აღემატებოდა. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის შემოდგომაზე გაიდამაკმა კლუბის აქციები ლონდონის ბირჟაზე გაიტანა. მას იმედი ჰქონდა, რომ მყიდველებს ამ გზით მაინც მიიზიდავდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ფეხბურთისთვის არავის სცხელა. კლუბის გაყიდვის კიდევ ერთი მცდელობა დეკემბერში ჩაიშალა. მართალია, "პორტსმუთში" ამასაც კატეგორიულად უარყოფდნენ, მაგრამ ორიოდე თვის წინ კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ სტორი** სამხრეთ აფრიკაში იმყოფებოდა, რათა მავან ადგილობრივ კომპანიასთან საქმე მოეკვარახჭინებინა, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა. გაიდამაკის წინადადება, კლუბში 70 მილიონი გირვანქა გადაეხადათ, აფრიკელებმა შორს დაიჭირეს.

შაბათს, 13 თებერვალს, პრემიერლიგის 21-ე ტურის გადადებულ შეხვედრაში "მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ "პორტსმუთის" ვეტერანმა გოლკიპერმა, 38 წლის **დევიდ ჯეიმსმა** პრემიერლიგის რეკორდი დაამყარა, ჩაატარა რა 536-ე შეხვედრა ინგლისის უმაღლეს ლიგაში. ჯეიმსმა 536 შეხვედრა და 17 სეზონი "ლივერპულის", "ასტონ ვილის", "ვესტ ჰემის", "მანჩესტერ სიტისა" და "პორტსმუთის" რიგებში ჩაატარა. ამით მან გააუმჯობესა უელსელი **გარი სპიდის** მიღწევა. სპიდი ამჟამადაც თამაშობს ფეხბურთს, მაგრამ უკვე ჩემპიონშიფის "შეფილდ იუნაიტედის" რიგებში.

**შალვა ბიბილაშვილი**

წყალხტომა

# კაისთან გაჯიბრებას შედეგიც მოჰყვება


ეროვნული ბიბლიოთეკა

წლეულს წყალმხტომელებისთვის გრანპრის 6 ეტაპი გაიმართება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სარეიტინგო ქულების დასარიცხავად. პირველ ასეთ შეჯიბრებას ჩინეთის ქალაქმა შენჟენმა უმასპინძლა. ასპარეზობაში, რომელიც გუშინ დამთავრდა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ალექსანდრე ბართაიას** ხელმძღვანელობით 19 წლის **ჭოლა ჭანტურიამ** და 17 წლის **შოთა კორახაშვილმა** იასპარეზეს.

ჭანტურიამ შესარჩევ ტურნირში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 369 ქულა მოაგროვა და პირადი რეკორდი, რომელიც შარშან პეკინში მსოფლიოს თასზე დაამყარა, ხუთი ქულით გააუმჯობესა. ქართველმა სპორტსმენმა უკეთ იასპარეზა ფინალში, სადაც 407 ქულით საპატიო მე-6 ადგილი დაიკავა, თან პირადი მაჩვენებელი უკვე 37 ქულით გაიმდიდრა.

პირველ ადგილზე პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული და 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 24 წლის ჩინელი **ჯინ კაი** გავიდა. მეორე იყო მისი თამამემამულე და სინქრონულ ხტომებში მეწყვილე, ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი 30 წლის **ვა ფენგი.** მესამე ადგილი ხვდა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონს, **დიმიტრი საუტინთან** ერთად სინქრონულ ხტომაში სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, 27 წლის რუს **ალექსანდრ დობროსკოვს.**

შეჯიბრებაზე ხვებიც იყვნენ სახელოვანნი. ამგვარ სპორტსმენებთან პაექრობაში მოპოვებული მე-6 ადგილი, ვფიქრობთ, რომ საპატიოა. რაც შეეხება კორახაშვილს, მას მცირედი დააკლდა ფინალურ ექვსეულში შესასვლელად, სამაგიეროდ, პირველ ათეულში დაიმკვიდრა ადგილი.

ქართველმა წყალმხტომელებმა უკეთ იასპარეზეს სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში — მათ 380 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს. ტურნირზე, როგორც შარშანდელ ოლიმპიადაზე, კაი-ფენგის დუეტმა გაიმარჯვა, მეორე ადგილი ინდონეზიელებს (მათ შემადგენლობაში ნატურალიზებული ჩინელები გამოდიოდნენ), ხოლო მესამე — რუსებს ერგოთ.

გრანპრის მეორე ტურნირი 25 თებერვალს გერმანიაში დაიწყება, სადაც ევროპის ყველა წარმომადგენელი იასპარეზებს. ჩინეთში ქართველი სპორტსმენების გამოსვლას ესწრებოდნენ და მხურვალედ ქომაგობდნენ ახლო წარსულში ჩვენი წყალმხტომელები — **ვიტალი მამნიაშვილი** და **გიორგი გევორქიანი,** რომლებიც პროფესიულ სპორტს ჩამორდნენ, — მითხრა საწყლოსნო სახეობების გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ.** — ვიტალიმ ვიდეოფირზე გადაიღო შეჯიბრების მთელი მსვლელობა, რაც ქართველი წყალმხტომელების შეცდომების გაანალიზებასა და მეტოქეების უკეთ გაცნობაში დაგვეხმარება. გერმანიის გრანპრისაც ფირზე ჩავიწერთ და 3-დან 30 მარტამდე საწვრთნელი შეკრებისას ყველაფერს ავწონ-დავწონით. ევროპის ჩემპიონატამდე ხტომების სირთულეებს არ შევცვლით. უბრალოდ, ტექნიკის დახვეწასა და ხარვეზების გამოსწორებაზე ვიმუშავებთ. იმედია, 1-5 აპრილს იტალიის ქალაქ ტურინში ევროპის ჩემპიონატზე ქომაგებს გავახარებთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც ჩვენი წყალმხტომელები ჩინეთისა და გერმანიის გრანპრიზე გასამგზავრებლად დააფინანსა.

**ვაჟა დანელია**

რაგბი

ერთა თასი

# პორტუგალიური კედელი შუბლით ვერ გავიტანეთ

**საქართველო-პორტუგალია 20:20**

საქართველო (15-9) კვირიკაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე (ი.გიორგაძე 53), შკინინი, მალალურაძე, აბუსერიძე. (1-8) ხინჩაგიშვილი, ა.გიორგაძე (ნატრიაშვილი 64), შველიძე (ქუბრიაშვილი 53), ზედგინიძე, უჩავა (ურუშაძე 72), ჩხაიძე, ლაბაძე, გორგოძე.

*2ლ: კაჭარავა, ზედგინიძე. 2ს,2გ: კვირიკაშვილი*

სინბინი: ქუბრიაშვილი.

პორტუგალია (15-9) ლეალი, დავიდ მატეუში, სილვა, დიოგო მატეუში, ფორო (გამა 64), კაბრალი (დ.პინტო 72), ჟ.პინტო. (1-8) სეგურადო, კორეა, სპაშუკი, პენალავა (სევერინო 66), გ. უვა, ვ. უვა, პალია, გირაო.

*2ლ: დავიდ მატეუში, სილვა. 2ს, 2გ: ლეალი.*

სინბინი: ლეალი, პალია.

მსაჯი: პ.ბერდოსი (საფრანგეთი)



*„არ მგონია, რომ ჯარიმები კარში უნდა გვერტყა და სამ-სამი ქულა გვეგროვებინა. ვცდილობდით, ბურთი დერეფანში მოგვეგო და ლელო გაგვეტანა. პორტუგალიელებმა სამჯერ დაარტყეს საჯარიმო, მაგრამ უშედეგოდ. რა გარანტიაა, რომ ჩვენ გავიტანდით? ვფიქრობ, ლელოს გატანაზე თამაში უფრო გამართლებულია. ამ შეხვედრას IRB-ის წარმომადგენელი ალან სალამონსი ესწრებოდა. ერთა თასის სხვა მატჩების ფონზე, ჩვენმა თამაშმა მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.*

*თუ გსურთ, რომ საქართველოს ნაკრებმა საჯარიმოები კარში ურტყას, მაშინ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას ჩემი შეცვლა მოუწევს, რადგან ჩვენ მომავალშიც შემტევ თამაშსა და ლელოების გატანას ვეცდებით,“*- ეს ყოველივე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა.

რას და როგორ გადაწყვეტს საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად კი, ფაქტია, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა საკუთარ მოედანზე, მატჩის ბოლო წამებზე იხსნა თავი სირცხვილისგან. პორტუგალია, რომელიც აქამდე შვიდჯერ დაგვიმარცხებია, შინ თავაწეული დაბრუნდა. ბორჯღალოსნები მათთან ბრძოლაში მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ - 20:20. არადა, მატჩის დასაწყისში საჯარიმოები კარში რომ დაგვერტყა. ვინ იცის? ტიმ ლეინმა კი, არაო. არ უნდა დაგვერტყაო და შედეგად მარცხს სასწაულებრივ გადავურჩით.

არადა, საქართველოს ნაკრების სათამაშო უპირატესობა იმდენად დიდი იყო, ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებას. თავად განსაჯეთ. პორტუგალიელები ჩვენი მოედნის ოცდაორმეტრიან ზონას პირველად 28-ე წუთზე მიუახლოვდნენ. რაკში თამაშისას ბორჯღალოსნებს თამაშის წესის დარღვევა აიძულეს და ფულ ბეკმა **პედრო ლეალმა** საჯარიმოდან ანგარიში გახსნა - 3:0.

მანამდე კი, საქართველოს ნაკრები უტევდა გამუდმებით. მატჩის არბიტრმა ორჯერ მოითხოვა ვიდეორეფერი ანუ ლელოს გატანა ვერ დააფიქსირა. ორივეჯერ მხოლოდ ის ვიხეირეთ, რომ შერკინება დაინიშნა ჩვენს სასარგებლოდ. რამდენჯერმე ზემოთ ნახსენები დასარტყამი საჯარიმო არ დავარტყით კარებში. მეტოქეს შერკინებაშიც ვაჯობეთ, დერეფანსაც სუფთად ვიგებდით, ამას შედეგი არ მოჰქონდა. პორტუგალია თავს თავგანწირვით იცავდა.

33-ე წუთზე რაკში თამაშისას პორტუგალიელმა **სალვადორ პალიამ,** მესამედ დაარღვია ერთი და იგივე თამაშის წესი და მატჩის არბიტრმა მოედნიდან ათი წუთით გააძევა. ბორჯღალოსნებმა ამჯერად კარში დარტყმა გადაწყვიტეს და **მერაბ კვირიკაშვილმა** საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა - 3:3.

პარადოქსულია, მაგრამ ასეა. პორტუგალიელები პირველად ჩვენ ოცდაორმეტრიან ზონაში 38-ე წუთზე შევიდნენ და პირველივე ცდაზე ლელო გაგვიტანეს. სტუმართა სალელოვე შეტევა ჩვენი მორაგბეების ზედიზედ ორ შეცდომას მოჰყვა. ჯერ კვირიკაშვილმა გადაიტანა აუტში ბურთი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ისე რომ მიწას არ შეხებია და პორტუგალიელთა დერეფანი დარტყმის ადგილიდან დაინიშნა. მერე, უკვე ოცდაორმეტრიანი ზონის გარედან **ირაკლი მაჩხანელს** აეჭრა ბურთი ფეხზე. ისევ პორტუგალიელთა დერეფანი დაინიშნა. ლობუშებმა აუტი სუფთად მოიგეს. მერე ცენტრისკენ ხაზზე გაათამაშეს. ათმა ნომერმა **პედრო კაბრალმა** სიღრმიდან შემოსულ გარემარბ **დავიდ მატეუშს** გაატანინა ბურთი, რომელიც ორ ქართველ მცველს დაუსხლტა ხელიდან და ლელო ძელებს შუა გაიტანა. გარდასახვა ლეალს არ გასჭირვებია - 10:3. პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

მეორე ნახევარი ისევ საქართველოს ნაკრების შეტევებით დაიწყო. და 58-ე წუთისთვის უკვე ანგარიშში წინ ვიყავით - 3:10. ლელო დასაწყისშივე, 45-ე წუთზე გავიტანეთ. ბორჯღალოსნებმა მარჯვენა ფრთიდან შეუტიეს. შერკინებით რამდენიმე დარტყმით ოცდაორმეტრიან ზონაში შევიდნენ. მერე ბურთი ხაზზე გრძელ ფრთაზე გაიტანეს. აქ შეტევაში ჩართულმა ფულბეკმა მერაბ კვირიკაშვილმა, კიდესკენ გარემარბ **გიორგი შკინინს** გადააწოდა. ამან ბურთი ფეხით შეაცურა და ის იყო მას დავიდ მატეუში უნდა დაუფლებოდა, რომ შუამარბმა **დავით კაჭარავამ** თითქმის ხელიდან ააცალა. ლელომდე „კაჭის“ წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. კვირიკაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა - 10:10. ცამეტ წუთში კი, „მეკომ“ 25 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა და დავწინაურდით -13:10.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა ამ უპირატესობის განვრცობა ვეღარ შეძლო. მეტიც, პორტუგალიელებმა ორ წუთში ანგარიში გაათანაბრეს. საჯარიმოდან ისევ ლეალმა გაიტანა - 13:13. ამის შემდეგ, სტუმრები საგრძნობლად გაქტიურდნენ. მათ სამჯერ მიეცათ საჯარიმოდან ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ სამივეჯერ ბურთი კარს აცდა. ორი საჯარიმო პედრო ლეალს გაუცუდდა, ერთიც პედრო კაბრალს.

თამაში დასარულს უხლოვდებოდა. 76-ე წუთი მიმდინარეობდა. საქართველოს ნაკრები ჯიუტად ცდილობდა შერკინების დარტყმებისა და ხაზის მოთამაშეების ხელდახელ ბურთაობით მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევას. ერთ-ერთი ასეთი კომბინაციის დროს გუნდის კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემ** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. მისი გადაცემა ფლანგისკენ პორტუგალიელთა შუამარბმა **პედრო სილვამ** ჩაჭრა და ცენტრიდან ჩათვლის მოედნამდე მარტომ ირბინა. ლეალმა გარდასახა - 20:13.

თამაში თითქმის წაგებული იყო. მაგრამ ბორჯღალოსნებმა ძალა მოიკრიბეს. ბოლო წამებზე მორკინალებმა მოკლე დარტყმებით მოწინააღმდეგის ლელოსთან მიახლოება შეძლეს. წარმოქმნილ რაკში ჩვენი გუნდი თითქმის მთელი შემადგენლობით ჩაერთო. რამდენიმე მიძალების შემდეგ მეორეხაზელმა **ილია ზედგენიძემ** ლელოში შეაღწია. თამაშის დრო ამოწურული იყო. მატჩის ბედი საქართველოს ნაკრების დამრტყმელის მერაბ კვირიკაშვილის ნერვებზე იყო დამოკიდებული. მას გარდასახვის დარტყმა საკმაოდ არახელსაყრელი პოზიციიდან მოუხდა. თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უდიდეს ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლო და ბოლო დარტყმა შედეგიანი გამოდგა - 20:20.

**მატჩის შემდეგ**

**ტომაშ მორაეში,** პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების უძლიერესი გუნდია. ამ გუნდთან თამაშის წინ ყოველთვის ძალიან ვნერვიულობთ. ყოველთვის უძნელესი ბრძოლის გადატანა გვიწევს. ამჯერადაც პრობლემები თქვენი გუნდის შერკინებამ შეგვიქმნა, სხვა მხრივ თამაშის მსვლელობას სრულად ვაკონტროლებდით.“

**ტიმ ლეინი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „შესანიშნავ მეტოქეს ვეთამაშეთ. პირველი 40 წუთი ჩვენი გუნდი დომინირებდა. ძალიან კარგად ითამაშა ჩვენმა შერკინებამ, თითქმის ზელანდიის ნაკრების შერკინების დონეზე. თუმცა პორტუგალიელები კედელივით იდგნენ.

ალაგ-ალაგ ჩვენი მორაგბეები კონცენტრაციას კარგავდნენ. დაცვაშიც ხშირად უფხოდ ირჯებოდნენ. შედეგად მათ ორი ლელო ვაჩუქეთ. ორი კვირაა ერთად ვართ. ეტყობა მორაგბეები გადაიღალნენ. ვარჯიშებზე დიდი დატვირთვები მივეცი. გავლენა ალბათ გერმანიიდან კომმარულმა მგზავრობამაც იქონია.“

**გერმანია-რუმინეთი 0:22**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 4 |
| 2.რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 4 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | +33 | 3 |
| 4.ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 2 |
| 5.პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 1 |
| 6.გერმანია | 3 | 0 | 0 | 3 | -66 | 0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# თსუ-მ ავია ჩამოაგდო



ავიამშენი-თსუ
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**15 თებერვალი**
თბილისი, სპორტის სასახლე

**შსს–ენერჯი 72:85**
27:16, 10:25, 16:24, 19:20
შსს: შენგელია (17ქ, 5მ), ბერუაშვილი (10ქ, 9მ, 3ჩ), ბ. ნოზაძე (8ქ, 6მ), ნინუა (8ქ, 4პ), გოლეთიანი (5ქ), ამაშუკელი (1ქ), ფაიქრიძე (16ქ, 5მ), აბულაძე (5ქ), ი. ბაქრაძე (2ქ), ბერია
ენერჯი: გამყრელიძე (7ქ, 7პ), ბაბიაშვილი (15ქ, 5მ), დვალიშვილი (4ქ), ლეჟავა (8ქ), დიდია (11ქ), ცეკვავა (7ქ), ტულუში (8ქ, 6პ, 3ჩ), უგრეხელიძე (8ქ, 6მ), ხმელიძე, ტუჯანი (9ქ), ჭოჭუა (8ქ, 3პ), აბაიშვილი
მსაჯები: გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე

**მაკაბი–ბათუმი 72:83**
22:21, 13:25, 16:19, 21:18
მაკაბი: კილაძე (5ქ), სოხაძე, ანთაძე (12ქ), ლონდარიძე (24ქ, 14მ), აპმედიანი, ჯანგველაძე (23ქ, 7მ), ბიბილური (2ქ, 8მ), არონია, სუდაძე (6ქ, 3პ), მჭედლიშვილი
ბათუმი: მაისურაძე (10ქ, 6მ, 3პ), თავართქილაძე (10ქ, 8მ, 5პ), ჩხატარაშვილი (8ქ, 5მ), დოლიძე (8ქ), . ნოზაძე (3ქ, 5მ), კეშელავა (29ქ, 13მ), ოჩხიკიზე (4მ), მ. ბოლქვაძე (15ქ, 8მ, 4პ), კვერნაძე
მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. მაჭავარიანი

**თსუ–ავიამშენი 102:94**
21:20, 29:22, 24:26, 28:26
თსუ: ფანჩულიძე (23ქ, 5მ), გაფრინდაშვილი (21ქ, 7პ), კოხრეიძე (4ქ), შანიძე (19ქ), მარკოიშვილი (18ქ, 7მ), ხეცურიანი (15ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ახალკაცი (2ქ)
ავიამშენი: ი. ბერიშვილი (8ქ), ბოისა (4ქ, 4პ), დ. ბერიშვილი (20ქ, 5მ, 3პ), ნიკოლაძე (9ქ, 5მ), კვიმსაძე (4ქ), მათიაშვილი (16ქ, 8მ), ნინიაშვილი (21ქ, 9მ), პირველაშვილი (12ქ, 4პ, 6მ)
მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**დინამო–სასოფლო 64:74**
14:14, 14:19, 13:22, 23:19
დინამო: ბაქრაძე (10ქ, 9მ), ნანიტაშვილი (5ქ, 5პ), სორდია (3ქ, 5მ), ლაფანაშვილი (22ქ, 9მ), გ. დოლიძე (3ქ), ვ. ბოლქვაძე (4ქ), გემაზაშვილი (2ქ), ხიზანიშვილი, ქადარია, ხანიაშვილი (15ქ, 5მ, 4პ, 4ჩ)
სასოფლო: გულისაბედაშვილი (11ქ, 3პ), ყველაშვილი (14ქ, 5მ), ბარბაქაძე (11ქ, 10მ, 5პ), გასიტაშვილი, მარხვაშვილი (4პ), ტყეშელაშვილი (19ქ, 8მ), წივწივაძე (9ქ, 9პ, 8მ), ათანელიშვილი (10ქ, 10მ), ბოქოლიშვილი
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე

მე-12 ტურში ბევრი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: შსს-მ პირველ პერიოდში აჯობა ჩემპიონატის ლიდერ "ენერჯის"; ცენტრალურ შეხვედრაში თსუ-მა და "ავიამშენმა" ისე იჭიდავეს, პროფესიონალ ძიუდოისტებს შეშურდებოდათ; იყო სტატისტიკური გამონათებებიც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბათუმთან დაკავშირებული ამბავია: ჩემპიონატის საუკეთესო მექულისა და მომხსნელის, **დავით იმნაძის** არყოფნით დავინტერესდით... *"დათო აზერბაიჯანში წავიდა და ბაქოს კლუბში მაისამდე დარჩება"*, - გვითხრა ზღვისპირელთა გამთამაშებელმა **ნიკო ნოზაძემ**. ასე და ამგვარად, საქართველოს ჩემპიონატს სტატისტიკის მიხედვით საუკეთესო კალათბურთელი გამოაკლდა. შეიძლება ვინმემ თქვას – უცხოეთში სწორედ საუკეთესოები უნდათო. უცხოეთსაც ხომ გააჩნია, მაშინ, როცა აზერბაიჯანელები კლასის ასამაღლებლად საქართველოსკენ გამორბიან ("ნტდ\თბილისში" სამი ბაქოელი ლეგიონერი თამაშობს), ქართველის აზერბაიჯანში წასვლა სასიამოვნო ამბავი ნამდვილად არ არის. იმნაძე თუნდაც სლოვენიურ "სლოვანში" რომ გადასულიყო, ორივე ხელის აწევით მივესალმებოდით.

რადგან ბათუმელ დათოზე ვსაუბრობთ, აქვე მოგახსენებთ, რომ მის გარეშე დარჩენილმა აჭარლებმა თბილისში სეზონის ყველაზე იოლი მატჩი ჩაატარეს. მათი მეტოქე "მაკაბი" იყო, რომელსაც ერთ-ერთი ლიდერი **დავით იოსელიანი** გამოაკლდა. თბილისელებმა "ბათუმს" მხოლოდ პირველ პერიოდში მოუგეს (22:21), მეორე მეოთხედიდან სტუმართა მხრიდან ლიდერობა გამოცდილმა **ლაშა კეშელავამ** იკისრა, ხოლო ფარქვეშ დავით იმნაძის ადგილი **დავით ბოლქვაძემ** გაამაგრა. საბოლოოდ სწორედ ამ გამოცდილი დუეტის წყალობით მოახერხა "ბათუმმა" "მაკაბის" გატეხვა. კეშელავამ 9-დან 9 ორქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ 29 ქულას მოუყარა თავი. ვიცესნაიპერი ბოლქვაძე გახდა – 15 ქულა. ათქულიანი ბარიერი გადალახეს უკანახაზელებმა **ვანო მაისურაძემ** და **ტატო თავართქილაძემ**. ვიდრე "მაკაბიში" **გიორგი შერმადინი** თამაშობდა, **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდები ფარქვეშ ფავორიტებსაც არაფერს უთმობდნენ, ახლა კი იმნაძის გარეშე დარჩენილ ბათუმთან მოხსნებში აშკარად მოიკოჭლეს – 43:59.

ტურის მეორე მატჩში შსს-მ მიგვანიშნა, რომ ცხრილის ქვემო ნაწილში მყოფნი ზედა ოთხეულის მკვიდრებს არაფერს დაუთმობდნენ. იკითხავთ, როგორ მიგვანიშნაო? გიპასუხებთ: ძალოვნებმა მატჩი ისე დაიწყეს, ვერავინ იფიქრებდა, რომელი იყო აუტსაიდერი და რომელი – ფავირიტი. არადა, მათი მეტოქე რუსთავის "ენერჯი" იყო, რომელსაც ჯერ ერთი მარცხი არ უგემია. **კახა შენგელიას** შსს-მ პირველი მეოთხედი 11 ქულის სხვაობით მოიგო (27:16). გაგახსენებთ, რომ ძალოვნებმა ასევე დაიწყეს "ნტდ\თბილისთან" მატჩი, თუმცა ბოლომდე ვერ გაძლეს და დამარცხდნენ. იგივე მოხდა გუშინ – შსს-ელებმა "ენერჯის" მჭიდრო დაცვა ბოლომდე ვერ გაშალეს და მეტოქეს მეორე პერიოდშივე მისცეს გადასწრების უფლება. შსს-ს დაღმასვლა დაემთხვა მათი ერთ-ერთი ლიდერის, **ბექა გოლეთიანის** ტრავმას. მან მუხლი დაიზიანა. *"იმედი მაქვს, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ბექა მომდევნო ტურის მატჩისთვის ბათუმში გამოგვყვება,"* – გვითხრა შსს-ს მწვრთნელმა კახა შენგელიამ. მეორე ტაიმში "ენერჯიმ" მიღწეული უპირატესობა შეინარჩუნა და სეზონის მე-11 გამარჯვება მიითვალა.

თუ ძალოვნებმა "ენერჯისთან" მეორე მეოთხედის მერე მოუკლეს, "დინამომ" "სასოფლოსთან" ბოლო წუთებამდე იომა. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდები 10-11 ქულის უპირატესობით არაერთხელ დაწინაურდნენ, მაგრამ "დინამო" პრესინგისა და სწრაფი იერიშების ხარჯზე ჩამორჩენას მალევე ამცირებდა. მატჩის ბოლოს სასოფლოელებმა ფარქვეშ უპირატესობა ანგარიშშიც გამოსახეს და 74:64 გაიმარჯვეს. ფარქვეშ არსებული უპირატესობა რას ნიშნავს, ახლავე მოგახსენებთ: "დინამოს" მწვრთნელი ცენტრის პოზიციაზე ძირითადად ფორვარდებს ათამაშებდა. "სასოფლოს" შემადგენლობაში კი ერთმანეთს ხშირად ენაცვლებოდნენ **ყველაშვილი, ათანელიშვილი** და **ტყეშელაშვილი**. შესაბამისად მათმა გუნდმა მოხსნებში 49:36 იმარჯვა.

ორმა სასოფლოელმა სულაც დაბლდაბლი მიითვალა: რეზო ათანელიშვილმა 10-10 ქულა-მოხსნა გაიფორმა, ხოლო **გიგი ბარბაქაძემ** – 11 ქულა და 10 მოხსნა. **ბექა წივწივაძე** კი კინაღამ სამმაგ დუბლს გამორჩა: 9 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა.

სასოფლოელთა სნაიპერი ლევან ტყეშელაშვილი გახდა – 19 ქულა. როგორც ხედავთ, ხუთ სასოფლოელს ერთმანეთზე უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გუნდური თამაშის წყალობით გაიმარჯვეს.

ახლა გემრიელ ლუკმაზე გადავიდეთ – თსუ-მ ჩემპიონობის მაძიებელი "ავიამშენი" დაამარცხა. სტუდენტთა წარმატებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: სისწრაფე, მტკიცე დაცვა, **მიხეილ ფანჩულიძე** და "ავიამშენი". ახლა თითოეულ მათგანზე კონკრეტულად ვისაუბროთ.

თსუ-ის მწვრთნელ **ნუგზარ ჭეიშვილის** საყვარელი სტილია სწრაფი თამაში და იერიშის პირველ ფაზაში დაგვირგვინება. გუშინ სტუდენტებს ეს კარგად გამოსდიოდათ, თუ პასებით ფონს ვერ გადიოდნენ, ინდივიდუალური ოსტატობით ცდილობდნენ მეტოქის კალათისკენ გზის გაკვლევას.

როგორც ჩანს, თსუ მატჩისთვის კარგად განეწყო. ეს დაცვაში დგომისას მკაფიოდ ჩანდა – თითოეული სტუდენტი, როგორც იტყვიან, კბილებით იცავდა საკუთარ კალათს.

მესამე მიზეზად მიხეილ ფანჩულიძე დავასახელეთ. მართალია, **გიორგი მარკოიშვილმაც** მნიშვნელოვანი ქულები შესძინა თანაგუნდელებს და **ლუკა შანიძემაც**, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფანჩულიძის ორი სამქულიანის შემდეგ მატჩის ბედი თსუ-ს სასარგებლოდ გადაწყდა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე თსუ 85:80-ს იგებდა, როცა მიშა ფანჩულიძემ სამქულიანს მეორე შორეული ტყორცნა მიაყოლა და - 91:82 სტუდენტთა სასარგებლოდ. ფანჩულიძისავე სამი სამქულიანის შემდეგ, მესამე პერიოდში თსუ 49:36 დაწინაურდა. ჰოდა, ახლა თავად მიხვდით, ტურის საუკეთესო კალათბურთელად ვინ დავასახელეთ.

მატჩის მსვლელობისას "მაკაბის" თავკაცმა, **ჯამლეტ ხუხაშვილმა** საინტერესო ფრაზა თქვა: თსუ-ს არც ოთხი კაცის დაკლება ეტყობა და არც ათისო...

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 10 | 10 | 0 | 20 |
| 2. ავიამშენი | 11 | 8 | 3 | 19 |
| 3. თსუ | 11 | 7 | 4 | 18 |
| 4. სასოფლო | 11 | 7 | 4 | 18 |
| 5. ნტდ | 10 | 7 | 3 | 17 |
| 6. ბათუმი | 10 | 4 | 6 | 14 |
| 7. დინამო | 11 | 3 | 8 | 14 |
| 8. შსს | 11 | 2 | 9 | 13 |
| 9. მაკაბი | 11 | 0 | 11 | 11 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# შერმადინის 9 ქულა

გუშინ საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგი ტური გაიმართა. **გიორგი შერმადინის** „პანათინაიკოსი" „ტრიკალას" ესტუმრა და 93:69 დამარცხა. ჩვენებურმა ცენტრმა მოედანზე 7 წუთი დაჰყო და საბერძნეთში გადასვლის შემდეგ სარეკორდო 9 ქულა მიითვალა. მან 3-დან 2 ორქულიანი და 5 საჯარიმოდან ყველა გამოიყენა. შერმადინსა და სხვა ლეგიონერებზე დაწვრილებით ხვალინდელ ნომერში გესაუბრებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძიუდო

ბუდაპეშტი. მსოფლიოს თასი



ზვიად გოგოჭური ვერცხლის მედალს დასჯერდა

# ხანჯალიაშვილს კურაში გამოადგა

## ოქრო-ვერცხლი ბუდაპეშტიდან

შაბათ-კვირას ბუდაპეშტში კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართული ძიუდოს სკოლის სიძლიერე - ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით წასულმა გუნდმა მსოფლიოს თასზე ოქრო და ვერცხლი მოინადირა. გამარჯვებულთა შორისაა მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი**, რომელიც თბილისის საერთაშორისო ტურნირზე უგერგილო გამოსვლის გამო ბევრმა „ჩამოწერა" კიდეც. ზვიადმა კი საპირისპირო დაამტკიცა, ფინალში მან ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელს, **დაიკი კამიკავას** 37 წამში აჯობა! სხვათა შორის, ზვიადმა თბილისის და ბუდაპეშტის ტურნირებს შორის კურაშში (უზბეკური ჭიდაობა) საერთაშორისო ტურნირში იჭიდავა, სადაც ფინალში გავიდა. როგორც ჩანს, მას ეს გამოცდილება ბუდაპეშტის ტატამზე გამოადგა. ვერცხლის მედალი კი ყველასთვის მოულოდნელად საქართველოს **ზვიად გოგოჭურმა** მოუპოვა. ახლოს იყო კვარცხლბეკთან **დავით ლორიაშვილიც**...

მსოფლიოს თასის პირველი დღე ქართველი ძიუდოისტებისთვის უნაყოფო გამოდგა. მსუბუქ წონებში მოასპარეზე ჩვენებურებმა იმედები ვერ გაგვიმართლეს. 60 კგ. წონით კატეგორიაში **სოსო ნიჟარაძე** გამოდიოდა. სოსომ **ანატოლი ლასკუტასთან** (უკრაინა) წააგო დამატებით დროში და ტურნირს დაემშვიდობა. 66 კგ. წონაში ერთბაშად სამმა ჩვენებურმა იჭიდავა, მათგან მხოლოდ **სანდრო იაკობაშვილმა** იყოჩაღა. სანდრომ 22 წამში დაამარცხა უკრაინელი **დანილო მირო**, სამწუთნახევარში - ჰოლანდიელი **იასპერ დე იონგი** და კუბელ **რონალ ჟინორესს** დაუპირისპირდა. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებითში კი ჟირონესმა ჩვენებური იპონზე დააგდო. სამწუხაროდ, შემდეგ ჟირონესმაც წააგო და იაკობაშვილი რეპეშაჟს მიღმა დარჩა. **გია გუჯეჯიანი** დამატებით დროში დამარცხდა ბელგიელ **ფაბრის ფლამანთან**, **გიორგი ფერსაშვილი** კი წუთნახევარში წააქცია სლოვენიელმა **როკ დრაკშიჩმა**, ტურნირის მომავალმა გამარჯვებულმა.

73 კგ-შიც სამი ქართველი გავიდა ტატამზე, **მიხეილ ხომიზურმა** წუთში გააკრა ბეჭებზე უკრაინელი **პეტრო კუზმინი**, ხოლო ნორვეგიელ **მარტინ ტიბლინთან** დამატებით დროში დამარცხდა. **ამბაკო ავალიანმა** იპონით მოუგო **იაროსლავ პოკორნის** (ჩეხეთი), შემდეგ კი სლოვენიელ **საშო იერებთან** იუკოთი დათმო. **ლაშა გუმბერიძემ** კი ისეთი ქვეყნის წარმომადგენელთან წააგო... განელმა **ემანუელ ნარტეიმ** ქართველი სამჯერ იუკოზე დააგდო. აფრიკელი, რა თქმა უნდა, მეორე წრეშივე დამარცხდა...

გუშინდელი შემადგენლობიდან, **გრიგოლ შინჯიკაშვილი** ერთ-ერთი იყო ვისიც გვეიმედებოდა, თუმცა გრიგოლმა 81 კგ. წონით კატეგორიაში ვერაფერს მიაღწია. არადა, მან ძალიან კარგად დაიწყო, ორი ორთაბრძოლა და ორი იპონი! ჯერ ბელგიელი **სტეფენ კნუდეს**, შემდეგ კი კანადელი **ქალემ კაჩურის** წინაალმდეგ. სამწუხაროდ, მან ველარაფერი გააწყო მასპინძელ **საბა გერასთან**, რომელმაც ორთაბრძოლის მიწურულს ჩვენებური წმინდა გამარჯვებით ჩამოიცილა გზიდან. **ხვიჩა ხუციშვილმა** ვაზარით მოუგო შვეიცარიელ **მატეო პოდს**, შემდეგ კი იგი კუბელ **ოსკარ კარდენასთან** ორთაბრძოლაში იპონზე დაეცა.

ბოლო დროს ისე დამკვიდრდა, რომ 90 კგ-ს „ქართულ წონას" უწოდებენ, ეს ტრადიცია არც ბუდაპეშტში დაირღვა - ყველასთვის მოულოდნელად ზვიად გოგოჭურმა ფინალამდე გააღწია. მან ჯერ იპონზე დააგდო უკრაინელი **ვლადისლავ პოტაპოვი**, შემდეგ კი იუკოთი აჯობა კანადელ **ალექსანდრ ემონდს**. მესამე წრეში გოგოჭურმა 2 წუთში წმინდა გამარჯვება მოიპოვა იაპონელ **იუია იოშიდაზე**. ნახევარფინალში კვლავ იპონი ვნახეთ ქართველი ძიუდოისტის შესრულებით, მან რუსი **დმიტრი გერასიმენკო** დაამარცხა. ფინალში ზვიადს ძალზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა - ბელარუსი **ანდრეი კაზუსიონაკი**. სამწუხაროდ, მან წუთსა და 7 წამში იპონით წააგო. **გრიგოლ მამრიკიშვილმა** პირველივე ორთაბრძოლა დათმო იპონით რუს **მურატ გასიევთან**.

100 კილოში **დავით ლორიაშვილმა** კარგად დაწყებული დღე ცუდად დაასრულა. ლორიაშვილმა ზედიზედ სამი იპონი მოიპოვა (**სიმონ შვაინბერგერი** (ავსტრია), **მილან დისოვიჩი** (სერბეთი) და **ტიერი ფაბრე** (საფრანგეთი). ნახევარფინალში დავითმა ბრაზილიელ **ლუსიანო კორეასთან** დათმო. შემდეგ მან მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაც წააგო ფრანგ **მატეო ბატალესთან**. **ლევან რაზმაძე** 4 წუთს გაუძალიანდა კუბელ **ორეიდის დესპანეს**, სულ ეს იყო მისთვის მსოფლიოს თასი დასრულდა.

მძიმე წონაში ზვიად ხანჯალიაშვილმა ოთხიდან სამი ორთაბრძოლა იპონით მოიგო. მან 2 წუთში დაამარცხა ეგვიპტელი **ესლამ ელ შაჰაბი**, შემდეგ 20 წამში აჯობა შვედ **კრისტოფერ იოჰანსონს**, ნახევარფინალში კი საკმაოდ ძლიერ ჰოლანდიელს **ხრიმ ვუიხსტერს** სძლია (იუკოთი). ფინალში ზვიადმა 37 წამში დააგდო სუფთაზე იაპონელი დაიკი კამიკავა.

საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა, წინ კი კუბისა და სლოვენიის გუნდები გაუშვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბუდაპეშტის მსოფლიოს თასი**
14-15 თებერვალი. უნგრეთი

**60 კგ**
1. გვან-ჰიოუნ ჩოი (კორეა), 2. იასმანი პიკერი (კუბა), 3. ფარიდ ბენ ალი (საფრანგეთი), ევგენი კუდიაკოვი (რუსეთი).

**66 კგ**
1. როკ დრაკშიჩი (სლოვენია), 2. მასაში ებინუმა (იაპონია), 3. იოჟეფ კრნაჩი (სლოვაკეთი), ჰიროუკი აკიმოტო (იაპონია).

**73 კგ**
1. კიოში უემაცუ (ესპანეთი), 2. მასაჰირო ოცუკასა (იაპონია), 3. ვლადიმირ სოროკა (უკრაინა), ატილა უნგვარი (უნგრეთი).

**81 კგ**
1. ემანუელ ლუკენტი (არგენტინა), 2. ალიაზ სედეი (სლოვენია), 3. შანდორ ნადისოლიმოში (უნგრეთი), მიკალაი ბარკოუსკი (ბელარუსი).

**90 კგ**
1. ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი), 2. **ზვიად გოგოჭური (საქართველო)**, 3. კიუვონ ლი (კორეა), მურატ გასიევი (რუსეთი).

**100 კგ**
1. ორეიდის დესპანე (კუბა), 2. ლუსიანო კორეა (ბრაზილია), 3. ტიერი ფაბრე (საფრანგეთი), მატეო ბატალე (საფრანგეთი).

**მძიმე**
1. **ზვიად ხანჯალიაშვილი** (საქართველო), 2. დაიკი კამიკავა (იაპონია), 3. ოსკარ ბრისონი (კუბა), ხრიმ ვუიხსტერსი (ჰოლანდია).

ფიგურული ციგურაობა

მოყვარეს პირში უძრახე...

# შეუცვლელი არავინაა

## გამორჩენილ ყურადღებას დაფასება სჭირდება

ორიოდ კვირის წინათ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ციგურაობაში, სადაც ორი ქართველი მოციგურავე მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ორივემ ძალიან ცუდად იასპარეზა: ელენე გედევანიშვილმა მოკლე პროგრამის შემდეგ 25-ე ადგილი დაიკავა, რაც ფინალში გასასვლელად არასაკმარისი გახდა; ვერც ბექა შანყულაშვილმა ივაჟკაცა, მაგრამ ელენესგან განსხვავებით, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს და კარიერაში ევროპის ჩემპიონატის მეხუთე ადგილითაც შეუძლია თავის მოწონება, იგი დებიუტანტი იყო. როგორც ჩანს, შანყულაშვილი თავს ვერ მოერია და ნერვიულობის ნიადაგზე ცუდი შედეგი აჩვენა. მკითხველს გედევანიშვილის ხელმოცარვა უფრო გააკვირვებდა და ეჭვგარეშეა, რომ კითხვებიც გაუჩნდებოდა: რატომ დაუცდა ფეხი ჰელსინკურ ყინულზე? რა იყო ცუდი გამოსვლის მიზეზი? მის კარიერას საფრთხე ხომ არ ემუქრება? და სხვა... იგივე კითხვები ჩვენც გაგვიჩნდა და ამიტომ ბატონ ირაკლი ჯაფარიძეს ვეწვიეთ, რომელიც საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ. მოვუსმინოთ მას:



ელენე გედევანიშვილი

- იანვარი ზამთრის სახეობებისთვის მნიშვნელოვანი შეჯიბრებების დროა - ძირითადად, იანვარსა და თებერვალში იმართება ფართომასშტაბიანი ტურნირები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2009 წელი ოლიმპიადისწინა წელია, ყოველ შეჯიბრებას ორმაგი ფასი ედება. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატსაც ამ ჭრილში განვიხილავდით და ამიტომ ძალიან გვაინტერესებდა, თუ როგორ სპორტულ ფორმაში იქნებოდნენ ელენე და მისი კონკურენტები. სამწუხაროდ, ელენემ იმედები გაგვიცრუა - 25-ე ადგილზე გავიდა და ფინალურ ოცდაოთხეულში ვერ მოხვდა. ასეთი შედეგი ჩვენთვის გამაოგნებელი იყო, ხოლო სხვათათვის - სენსაცია. ელენემ იმგვარი შეცდომები დაუშვა, რომელიც 12-13 წლის ასაკში იყო მისთვის უცხო. თუ რატომ მოხდა ასე, ცხადია, ამას თავისი მიზეზები აქვს. მეც გამაჩნია ჩემი აზრი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რას ფიქრობენ ამ წარუმატებლობაზე თავად სპორტსმენი და მისი პირადი მწვრთნელი. როგორც იცით, ელენემ ამერიკაში გადასვლის შემდეგ მწვრთნელი შეიცვალა. იქ ცხოვრებისა და წვრთნისათვის აუცილებელ ყველა ხარჯს საქართველოს ხელისუფლება იხდის, - ელენეს და მის მწვრთნელს არავითარი პრობლემა არ გააჩნიათ მზადებისათვის, ამიტომ ასეთი მოუმზადებელი ელენეს დანახვა ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ტურნირის დასრულების შემდეგ მწვრთნელთან და ელენესთანაც მკაცრი და საქმიანი საუბარი მქონდა. უპირველესად მწვრთნელს, რომან სეროვს მივმართე: რა არგუმენტები გააჩნდა და როგორ ახსნიდა ელენეს ცუდ გამოსვლას; ანუ ექნებოდა თუ არა დამაჯერებელი არგუმენტები ჩავარდნის გასამართლებლად. სამწუხაროდ, ბატონ სეროვს ასეთი არგუმენტები არ აღმოაჩნდა. მეტიც: ძალიან გაუგებრად, მიკიბ-მოკიბვით საუბრობდა. ჩემთვის ბევრი რამ ნათელი გახდა და მას ასეთი რამ ვუთხარი: მწვრთნელს, რომელსაც არა აქვს მკაფიო პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე და არ შეუძლია პროფესიულად ახსნას შეგირდის წარუმატებლობა, მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა არ უნდა მიეცეს-მეთქი. მასვე განვუცხადე, რომ იქვე, ჰელსინკშივე დამშვიდობებოდა ელენეს მწვრთნელობას. ასეც მოხდა და დღეისთვის სეროვი ელენესთან აღარ მუშაობს. ამ გადაწყვეტილებამდე უცებ არ მივსულვარ, - აქამდეც გარკვეულწილად მივანიშნებდი და ვწერდი კიდეც პრესაში, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ელენემ შედეგებს უკლო... აშკარაა, რომ მწვრთნელიც ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და ელენემაც მისცა საკუთარ თავს მოშვების საშუალება. ელენესაც მკაცრად ველაპარაკე და განვუმარტე, რომ მას ასეთი თვითნებობის უფლება არ ჰქონდა, რადგანაც მთელი საქართველო მისი გულშემატკივარია და ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით ძალიან დიდი თანხა იგზავნება ამერიკაში, რათა მან უმაღლეს სპორტულ მწვერვალებს მიაღწიოს. ვუთხარი, რომ ამქვეყნად შეუცვლელი არავინაა და თუკი ასე გააგრძელებდა, ხელშეწყობას უნდა გამომშვიდობებოდა. ადრე არ ვამბობდი, მაგრამ ამჯერად თავს უფლებას მივცემ მოგახსენოთ, თუ რა ფინანსდება ქართული მხარის მიერ; მხოლოდ თანხის დასახელებისგან შევიკავებ თავს. ელენეს ეძლევა ბინის ქირის თანხა კომუნალური გადასახადების ჩათვლით; სწავლის საფასური - იგი ადგილობრივ კოლეჯში სწავლობს; მწვრთნელის, ქორეოგრაფის და ფიზმომზადების სპეციალისტის ხელფასი; სპორტული ინვენტარის თანხა სალამოს და გამოსასვლელი კაბების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მოციგურავისათვის და იაფი ნამდვილად არ ღირს... დარბაზის, ანუ ყინულის იჯარის თანხას, კვებისა და ყველა შეჯიბრებაზე მივლინების ხარჯებსაც ქართული მხარე იღებს. ასეთი თანადგომა არც ერთ ქართველ სპორტსმენს არ აქვს. საკმაოდ კრიტიკული იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურის შეფასებაც და მე მას სრულად ვეთანხმები. ელენეს თუ სურს, რომ სახელმწიფომ კვლავაც ირწმუნოს მისი, მაშინ საკუთარი თავის რეაბილიტაცია უნდა მოახდინოს. ამის შესაძლებლობა ელენეს უახლოეს ერთ კვირაში მიეცემა - ბულგარეთში, სოფიაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება. გედევანიშვილი ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატში ბოლოს 2005 წელს გამოვიდა და მეხუთე ადგილს დასჯერდა. მას შემდეგ მხოლოდ უფროსებში ასპარეზობდა. ახლა უკან უნდა დაიხიოს, რათა წინსვლა შეძლოს, თუმცა გარკვეულ პირობას აქაც ვუყენებთ, - ალბათ გესმით, რომ თუკი ოთხი წლის წინათ მეხუთე იყო, წლეულს მინიმუმ იგივე შედეგი უნდა აჩვენოს, თუმცა დამაკმაყოფილებლად ალბათ მაინც სამეულს მივიჩნევთ. თუ იქაც ხელი მოეცარა, მაშინ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გავუშვებთ, რომელიც 23 მარტს ლოსანჯელესში იწყება.

**- საკმაოდ მკაცრად მიდგომიხართ საკითხს, თუმცა არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ... იმედია, ელენე იპოვის საკუთარ თავში ძალას და მაღალ დონეზე ასპარეზობას შეძლებს. ჰელსინკში ბექა შანყულაშვილიც წარუმატებლად გამოვიდა. მასზე რას იტყვით?**

- ბექა დებიუტანტია - პირველად გაერია უფროსებში და ამიტომ ძალიან ნერვიულობდა. ამის ბრალია მისი ცუდი სრიალი, თორემ ნიჭი არც მას აკლია. ბექაც ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. მისი მწვრთნელი ვახტანგ მურვანიძე იყო, მაგრამ იძულებულნი გახდნენ თანამშრომლობა შეეწყვიტათ, რადგანაც ერთმანეთისგან ოთხი საათის სავალ მანძილზე დაშორებულ ქალაქებში ცხოვრობენ და ყოველდღიური მეცადინეობა წარმოუდგენლად რთული იყო. ბექას მამა, გია შაყულაშვილიც ძველი მოციგურავეა და ამიტომ მან იკისრა მისი მწვრთნელობა. სხვათა შორის, დედაც ყოფილი მოციგურავეა.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბექაც გაემგზავრება, მაგრამ თუ ვერ შეძლებს 24 საუკეთესოში მოხვედრას, მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატზე აღარ გავუშვებთ, - საქართველოს და ჩვენს ფედერაციას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ტურისტებად ვატაროთ სპორტსმენები დიდ ფორუმებზე.

**- გარდა ერთეულებისა, მოცეკვავეთა წყვილიც გვყავს ქართველებს ოთარ ჯაფარიძისა და ეკატერინა ზაიკინას შემადგენლობით, მაგრამ ისინი რატომღაც აღარ ჩანან ასპარეზზე. გარდა პროფესიული დამოკიდებულებისა, ოთარ ჯაფარიძე თქვენი ვაჟია და სისხლხორცეულად ხართ მისი კარიერით დაინტერესებული. ხომ არ ჩამოშორდა ოთარი პროფესიულ სპორტს?**

- ოთარი წვრთნას განაგრძობს, მაგრამ მეწყვილეს დაშორდა. ისტორია საკმაოდ გრძელია, მაგრამ მოკლედ მოგახსენებთ. როცა ელენე მოსკოვიდან ამერიკაში გადავიდა, შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა ჩვენც შეგვავიწროვეს და იძულებული გავხდით, მოსკოვიდან წამოვსულიყავით. ნავსაყუდელი ჩვენც ამერიკაში ვპოვეთ, ოღონდ ახალ მეწყვილესთან ერთად - იგი ამერიკელი იზაბელა ტობიასი იყო. სამწუხაროდ, იზაბელა მძიმე ხასიათის აღმოჩნდა და მშობლებთან ერთად წარუმატებლობაში მწვრთნელს, ევგენი პლატოვს დასდო ბრალი. ტობიასის და მისი მშობლების ძალისხმევით ახალი დამრიგებელი მოვიძიეთ - უძლიერესი მწვრთნელი ნიკოლაი მოროზოვი დავითანხმეთ ჩვენთან თანამშრომლობაზე. პლატოვიც ძლიერი სპეციალისტია, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. ევგენი აქეთ გვამშვიდებდა, - არა უშავს, არ ინერვიულოთ, დრო თავისას გამოაჩენსო. ასეც მოხდა: მოროზოვი ცუდი პიროვნება აღმოჩნდა: ზურგს უკან თამაში დაიწყო და ოთარის ნაცვლად ტობიასს ცნობილი მოციგურავე ილია ტკაჩენკო შეუწყვილა. ეს უღირსი საქციელია, მაგრამ რას ვიზამდით. ცოტა ხანიც გავიდა და ტკაჩენკომაც მიატოვა ტობიასი, - ვერც მან გაუძლო იზაბელას ხუშტურებს და ახლა ის ქალბატონი სრულიად მარტოა. ოთარმა კი თავისი გზა ნახა, - ვარჯიში არ შეუწყვეტია. სიამოვნებით მსურს აღვნიშნო, რომ მასთან წყვილში სრიალის რამდენიმე კანდიდატურაც გვყავს: ორი ამერიკელია, ერთი კანადელი და ერთიც - ინგლისელი. ყველა მზადაა, საქართველოს სახელით იასპარეზოს. ჩვენი მწვრთნელი კვლავ ევგენი პლატოვია და მან გვირჩია, არ ავჩქარდეთ - კარგად დავაკვირდეთ და ვინც შრომისმოყვარე, ლაღი ბუნების და პატიოსანი იქნება, ის ავირჩიოთო. ცხადია, დავეთანხმეთ. ოთარი მწვრთნელობასაც ეწევა, რათა ამერიკაში ცხოვრებისა და წვრთნის ხარჯები დაფაროს. ამით ოჯახსაც დიდ შეღავათს უწევს, - სამწუხაროდ, ჩვენ არა გვყავს ისეთი სპონსორი, რომელიც ამერიკაში წვრთნისა და ცხოვრების პრობლემას მოგვიგვარებს.

**- ერთიც მსურს გკითხოთ: თქვენს საციგურაო სკოლაში, რომელიც მარინა ცერცვაძის სახელს ატარებს, ბევრი ბავშვი ვარჯიშობს. თუ არიან ნიჭით გამორჩეულები?**

- საოცრად ნიჭიერი ბავშვები გვყავს და ამას ყოველთვის აღვნიშნავ. დღეისთვის შვიდამდე 12-13 წლის გოგო-ბიჭი შეიძლება გამოვარჩიოთ, ვისი იმედიც გვაქვს და უდიდეს ყურადღებასაც ვუთმობთ მათ დაოსტატებას. მცირე ხანში ისინი თავიანთ შესაძლებლობებს აუცილებლად წარმოაჩენენ. მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს, ვისი დახმარებითაც ეს ბავშვები სულ მალე მინსკში გაემგზავრებიან, სადაც საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ამჯერად დიდ შედეგებს მათგან არ მოველით, მაგრამ გამოცდილების მიღების თვალსაზრისით, ფასდაუდებელი ტურნირი იქნება. ვფიქრობ, რომ ეს ბავშვები კონკურენციას შექმნიან ქართულ ფიგურულ ციგურაობაში, რაც ამ სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

**ზვიად შათირიშვილი**

სამთო-თხილამურები

# ფინალი და იმედგაცრუება

გუშინ ვაჟთა სლალომით დასრულდა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელსაც საფრანგეთის კურორტმა ვალ დ'იზერმა უმასპინძლა. სწორედ სლალომი გამოდგა ქართველ მეთხილამურეთათვის ყველაზე წარმატებული დისციპლინა, თუმცა ჯერ შაბათის საკვალიფიკაციო სტარტებზე ვთქვათ...

შაბათს ქართული კვარტეტიდან მხოლოდ **ვახტანგ თედიაშვილმა** ვერ ჩაამთავრა ტრასა, მას პირველივე ცდა გაუფუჭდა. ამით ვახტანგისთვის ძალზე უიღბლოდ დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი, რადგან მან ვერც გიგანტ სლალომის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩამთავრება შეძლო. საქართველოს ნაკრების ლიდერმა **იასონ აბრამაშვილმა** კი ძალიან კარგად ისრიალა - ორი ცდის ჯამში მან მე-6 ადგილი დაიკავა, რისთვისაც 24 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. 17 წლის **კოტე ვახტანგიშვილი** 32-ე ადგილზე გავიდა, ხოლო 18 წლის **ალექსი ბენიანიძე** - 37-ე იყო. მეორე დღეს მთავარ ტურნირში ქართველთაგან მხოლოდ იასონ აბრამაშვილი მონაწილეობდა. ის 34 ფინალისტს შორის მოხვდა!

სამწუხაროდ, გუშინ ჩვენს ლიდერს მთელი შრომა წყალში ჩაეყარა, იასონმა სლალომის ერთი კარი გამოტოვა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიიღო. კოტე ვახტანგიშვილმა, მართალია, ფინალური ჩამოსრიალების უფლება ვერ მიიღო, მაგრამ საერთო ჩათვლაში მისთვის საუცხოო შედეგით დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატი - 30-ე ადგილზე გავიდა. არც ალექსი ბენიანიძეს ჰქონდა ურიგო შედეგი - იგი 35-ე ადგილზეა. ვაჟთა სლალომში მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრიელი **მანფრედ პრანგერი** გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# გორგოძემ ნახევარფინალი იკმარა

მემფისში (აშშ) WTA-ს ტურნირს დაემშვიდობა საქართველოს პირველი ანა ტატიშვილი (152). ანა 220-ათასიანი საპრიზო ფონდის შეჯიბრების საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება, სადაც მეორე ნომრად განთესილ კანადელს, **სტეფანი დუბუას** (114) სამსეტიანი ბრძოლა შესთავაზა - 6:3, 1:6, 2:6. როგორც ხედავთ, ანას მხოლოდ პირველ სეტში ეყო ძალა, შემდეგ კი კანადელის უპირატესობა აშკარა იყო. ანამ ცუდად დაიწყო სეზონი, მას ჯერ მოგება არ აქვს.



ანა ტატიშვილი

17 წლის **ეკა გორგოძემ** წარმატებით იასპარეზა ესპანეთში, მალიორკას საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $). მსოფლიოს 643-ე ჩოგანმა ტურნირის ნახევარფინალამდე გააღწია. მეოთხედფინალში ეკა 18 წლის იტალიელ **ფედერიკა დი სარას** (560) ხვდებოდა, მატჩი სამ სეტს გაგრძელდა - 5:7, 7:6 (4), 6:4. ნახევარფინალში ჩვენებურს მე-2 ნომრად განთესილი ფრანგი **ლაურა ტორპი** (401) შეხვდა. გორგოძე ტორპს ერთი კვირის წინათაც დაუპირისპირდა და დამარცხდა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ახლაც ორ სეტში დათმო ორთაბრძოლა - 5:7, 2:6.

**მანანა შაფაქიძე** პორტუგალიაშია, სადაც ქალაქ პორტიმაუს საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) იასპარეზებს. მანანა საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესეს. თავად ქართველი ჩოგბურთელი ჯერ ისევ ქალაქ ალბუფეირაშია, სადაც წყვილთა ბადეში ასპარეზობს, თუმცა პორტიმაუში ჩასვლას იგი მოასწრებს, რადგან პირველი წრისაგან თავისუფალია. მეორე წრეში მანანას მეტოქე ესპანელი **ანა გომეს-ალემანია**.

ამერიკის ქალაქ სურპრაიზში იწყება საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ამ შეჯიბრების ძირითად ბადეში ითამაშებს **მაკა ჩახნაშვილი**. საკვალიფიკაციო ბადეში კი 18 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** გამოვა, რომელიც მაისის შემდეგ არც ერთ საერთაშორისო ასპარეზზე არ გამოჩენილა. მისი პირველი მეტოქე ამერიკელი **ქლო ჯოუნსია** (811).

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში დაიწყო ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი $). საკვალიფიკაციო ბადეში მე-16 ნომრად განთესეს 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელმაც უკვე მოიგო სასტარტო შეხვედრა, მან ხორვატ **ლეონარდ ივიჩს** სამ სეტში აჯობა - 6:3, 1:6, 6:0. მეორე წრეში ჩვენებურის მეტოქე კვლავ ხორვატია - **ნიკოლა მარტინისი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იმედი

# იძებნება... თასები

ყველა სპორტული ჯილდო ძვირფასია მით უფრო, თუ იგი დიდ სარბიელზეა მოპოვებული. სწორედ რომ დიდი ასპარეზი იყო სსრ კავშირის პირველობები და იქ წარმატების მოპოვება მხოლოდ მაღალი კლასის სპორტსმენებს და გუნდებს თუ ხელეწიფებოდათ.

ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის ისტორიაში ჩვენი ვაჟი ხელბურთელების წარმატება 1962 და 1964 წლების სსრ კავშირის ჩემპიონატში, როცა მათ ოქროს მედლები და ჩემპიონის თასი დაისაკუთრეს.

აი, ეს ძვირფასი ჯილდოა დღეს ძიებაში. თასი, რომელიც ორგზის მოიპოვეს ქართველმა სტუდენტებმა, ერთხანს თბილისის სპორტკომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელთა კაბინეტებს ამშვენებდა, მერე კი გაქრა. იქნებ, ვაჭარბებთ და არც დაკარგულა, იქნებ, სწორედ რომელიმე კეთილმა ადამიანმა იხსნა დაკარგვა-განადგურებისგან უმძიმეს 90-იან წლებში.

თუ ვინმეს რაიმე ინფორმაცია მოეპოვება ზემოხსენებულ სპორტულ პრიზებთან დაკავშირებით, გთხოვთ, გვაცნობოთ „ლელოს" რედაქციაში.

მკითხველი-მკითხველს

# უნებლიე შეცდომა თუ არცოდნა?

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნდა **გიზო ცინცაძის** წერილი - „დააბრუნეთ კალათბურთი"... ავტორი იგონებს სტუ-ს მდიდარ საკალათბურთო ტრადიციებს და წუხს, რომ დღეს ამ უმაღლეს სასწავლებელში კალათბურთი მივიწყებულია. იქვე ჩამოთვლის კალათბურთელებს, რომლებიც თითქოს სტუ-ში აღიზარდნენ.

არა, ბატონო გიზო, თქვენ ცდებით, თქვენ მიერ ჩამოთვლილი კალათბურთელებიდან ყოფილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში ზოგიერთს არასდროს უთამაშია. სხვა საქმეა, ვინ სწავლობდა ან ვინ მუშაობდა ამ უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა დროს ცნობილი კალათბურთელებიდან.

ავტორს, მით უფრო სტუ-ს წარმომადგენელს (ასე ჩანს მისი წერილიდან), მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა, როცა რედაქციას წერილს სთავაზობდა.

**ბეჟან გახელიძე**
თბილისი

რაგბი. ექვსი ერი



# დაუმარცხებელი მხოლოდ ორია

ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში შარშანდელმა ჩემპიონმა უელსის ნაკრებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საშინაო მატჩში ინგლისის ეროვნულ გუნდთან - 23:15. რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპაში, თუ მსოფლიოში არა, ერთ-ერთი ყველაზე მზარდი გუნდია.

უელსელებს პომებთან შეხვედრაში თავისი ლიდერის, მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის **შეინ ვილიამსის** არყოფნა ოდნავადაც არ დასტყობიათ. ისინი 22-ე წუთისთვის **სტეფ ჯოუნზის** სამი საჯარიმო დარტყმის წყალობით 9:0-ს იგებდნენ. თუმცა ინგლისელებმა ნელ-ნელა თამაშის ტემპს უმატეს და მასპინძელთა უპირატესობა მინიმუმამდე დაიყვანეს. ჯერ 23-ე წუთზე ლელო გარემარბმა **პოლ საქიმ** გაიტანა, რომელიც **ენდი გუდმა** ვერ გარდასახა. თუმცა მანვე 6 წუთში ეფექტური არეკნით ინგლისელებს სამი ქულა მოუტანა - 8:9, ტაიმი ასე დასრულდა.

უელსელებმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე შეძლეს ისევ ცხრაქულიანი უპირატესობის აღდგენა. 43-ე წუთზე სტეფ ჯოუნზმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა. ერთ წუთში გარემარბმა **ლი ჰაპ-პენმა** გაიტანა ლელო, რომელიც ჯოუნზმა ვერ გარდასახა - 17:8. თუმცა მანვე ათ წუთში ისევ საჯარიმოდან დაარტყა ზუსტად - 20:8.

ინგლისელებმა ერთი კიდევ გაიბრძოლეს და 55-ე წუთზე თავი ფულ ბეკმა **დელონ არმითიჯმა** გამოიჩინა, გარდასახვა ზუსტად შეცვლაზე შემოსულმა **ტობი ფლადმა** გაიტანა -15:20. გამარჯვების იმედი საბოლოოდ სტუმრებს ისევ სტეფ ჯოუნზმა გადაუწურა ზუსტი საჯარიმო დარტყმით - 23:15.

*„უელსის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. ჩვენ გვქონდა მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე შესაძლებლობა, თამაში გადაგვერჩინა, თუმცა შანსი ვერაფრით გამოვიყენეთ“* - თქვა ნამატჩევს ინგლისის ნაკრების თავკაცმა, ლეგენდარულმა **მარტინ ჯონსონმა.**

ირლანდიასთან მარცხის შემდეგ შინ პირველი, ძალღუმადური გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ნაკრებმა. პირველი ტაიმი ფრანგებმა შოტლანდიის ეროვნულ გუნდს მხოლოდ - 6:3 მოუგეს. ორივე საჯარიმო ფრანგთა გუნდიდან **ლიონელ ბოქსიმ** გაიტანა, რაზეც სქოთმა **ფილ გუდმენმა** ერთით უპასუხა.

საკუთარ თავს ფრანგები მეორე ტაიმში დაემსგავსნენ. ბოქსიმ კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა და **ფიულჟანს უედრაოგოს** გატანილი ლელო გარდასახა. შოტლანდიელებმაც ერთი ლელოს გატანა შეძლეს. ის **თომ ევანსის** ანგარიშზეა. გარდასახვა **კრის პატერსონმა** გაიტანა.

ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო ირლანდიის ნაკრებმა. ამჯერად სტუმრად იტალიაში - 38:9. მასპინძლებმა წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწიეს. მეტიც, ტაიმის მინურულამდე იგებდნენ კიდეც. მაგრამ ბოლო წამებზე გარემარბ **ლუკ ფიცჯერალდის** გარღვევა გამოეპარათ. ირლანდია - 14:9 დაწინაურდა.

მეორე ტაიმში მთლიანად სტუმრები დომინირებდნენ, იმდენად, რომ იტალიელებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს. ირლანდიელებმა კი, სამი ლელო მიითვალეს და მოწინააღმდეგეს დამაჯერებლად სძლიეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საფრანგეთი-შოტლანდია 22:13**

**საფრანგეთი:** (15-9) პუატრენო, მედარი (მალეზუ73), ბაბი (მერმოზი 60), ჟოზიონი, ემონსი, ბოქსი, ტიუ-ბორდი (პერა 67). (1-8) ბარსელია, შარჟევსკი (კაიზერი 55), მასი, ნალე, მიო- შლუსკი (შაბალი 60), დიუსოტუარი, უედრაოგო, არინორდოკი (პიკამოლი 70).

**ლ:** უედრაოგო. 5ს,გ: ბოქსი.

**შოტლანდია:** (15-9) საუსველი, დენიელი (პატერსონი 65), ევანსი, მორისონი (დე ლუკა 73), ევანსი, გოდმენი, ბლერი (კაზიტერი 73). (1-8) ჯეკობსენი, ფორდი (ფორდი 65), დიკინსონი (ლოუ 47), ვაითი, ჰემილტონი, სთროქოში, ბარქლეი, თეილორი.

**ლ:** ევანსი, გ: პეტერსონი, 2ს: გოდმენი.

**მსაჯი:** ჯორჯ ქლენზი (ირლანდია).

**უელსი-ინგლისი 23:15**

**უელსი:** (15-9) ბერნი, ჰაპ-პენი, შეკლინი, რობერთსი, მ.ჯოუნზი, ს.ჯოუნზი, ფილიპსი (პილი 73). (1-8) ჯენქინსი, რისი (ბენეტი 66), ა.ჯოუნზი, გოფი, ავ. ჯოუნზი, რ.ჯოუნზი, მ.ვილიამსი (დ ჯოუნზი 55), პაუელი.

**ლ:** ჰაპ-პენი. 5ს, გ: ს. ჯოუნზი.

**ინგლისი:** (15-9) არმითიჯი, საქი (თეითი 65), თინდოლი, ფლუთი, კვეიტო, გუდი (ფლადი 51) , ელისი. (1-8) შერიდანი, მირსი (ჰართლი 65), ვიქერი (ვაითი 65), ბორსვიქი, ქენედი (კროფთი 55) , ჰექელი (ნერევეი 54), ვორსლი, ისთერი.

**2ლ:** არმითიჯი, საქი. გ: ფლადი, ა: გუდი.

**მსაჯი:** ჯონათან კაპლანი (ს.აფრიკა).

**იტალია-ირლანდია 9:38**

**იტალია:** (15-9) მაზი, რობერთსონი (ბაკეტი 33), კანალე, მირკო ბერგამასკო, პრატიკეტი, მაკლეინი, გრიფინი. (1-8) პერუჯინი (დელ ფავა 48), ონგარო (ფესტუჩა 41) კასტრაჯოვანი, დელაპე, რეატო (გარსია 58), ძანი (სოლე 58), მაურო ბერგამასკო, პარისე.

**3ს:** მაკლეინი

**ირლანდია:** (15-9) ქარნი (მერფი 75), ბოუ, ოდრისკოლი, ვოლესი (დარსი 41), ფიცჯერალდი, ოგარა, ოლირი. (1-8) ჰორანი (ქორთი , ფლენერი (ბესტი 60), ჰეისი, ოკალაჰენი, ოკონელი (სტრინგერი 72), ფერისი, ვოლესი, ჰიზლიფი.

**3ლ:** ბოუ, ფიცჯერალდი (2), ვოლესი ოდრისკოლი. 5გ,ს: ოგარა.

**მსაჯი:** კრის ვაითი (ინგლისი).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +38 | 4 |
| 2.უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | +21 | 4 |
| 3.ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | +17 | 2 |
| 4.საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | [illegible] | 2 |
| 5.შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | -22 | 0 |
| 6.იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | -54 | 0 |

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრიამ კაცები გაიჯახუნა

ვალ დ'იზერის მსოფლიოს ჩემპიონატი სლალომის სტარტებით დასრულდა. პირველობის ბოლო ორ დღეს უცნაური ამბები ხდებოდა. სლალომის ტრასა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ ფავორიტები ერთიმეორის მიყოლებით ეთიშებოდნენ მედლებისთვის ბრძოლას.

ასე მაგალითად, ჩემპიონატის გმირი, ამერიკელი **ლინდსი ვონი** პირველი ცდის შემდეგ მეორე ადგილზე იყო და ვალ დ'იზერში მესამე ოქროს უმიზნებდა, მაგრამ ერთ-ერთი კარის გავლისას შეცდომა დაუშვა და ტრასაზე დაეცა. იგივე ბედი ეწია პირველი დაშვებისას საუკეთესო დროის ავტორს, იტალიელ **მანუელა მოელგს**. ეს მოთხილამურე განსაკუთრებული უილბლობით გამოირჩევა - მას კარიერაში არასოდეს მოუგია თავისი საყვარელი სლალომის დისციპლინა, არადა, მსოფლიოს თასზე ხუთჯერ მეორე ადგილზე იყო გასული.

ერთადერთი ფავორიტი, რომელმაც მღელვარება მოთოკა, გერმანელი **მარია რიში** იყო. მართალია, წინა დისციპლინებში მარია ვერ ბრწყინავდა, მაგრამ დიდი ალბათობით შეიძლებოდა იმის წინასწარმეტყველება, რომ რიში სლალომში წარმატებას მიაღწევდა. წლევანდელი სეზონის სტარტზე გერმანელმა ამ დისციპლინაში მსოფლიოს თასის ზედიზედ ოთხი სტარტი მოიგო და ახლა ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებაც დაუმატა. სხვათა შორის, ეს რიშისთვის დიდ ტურნირებზე მოპოვებული პირველი მედალი გახლავთ.

საერთოდ, გერმანიის ქალთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. რიშის ტრიუმფამდე გიგანტურ სლალომში ოქროს მედალი **კატრინ ჰიოლცლმა** მოიგო.

■ ■ ■

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები კაცების სლალომში. აქ საერთოდ კომიკური სიტუაცია შეიქმნა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი ცდის შემდეგ ათი საუკეთესო მოთხილამურიდან ფინიშამდე მხოლოდ ორმა (!) მიაღწია. სწორედ ამის გამო, ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ნაკლებად ცნობილი კანადელი **მიხაელ იანიკი**, რომელიც პირველი დაშვების შემდეგ საუკეთესო თხუთმეტეულის მიღმა იმყოფებოდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ისე მთავრდებოდა, რომ ავსტრიის მამაკაცთა ნაკრები ოქროს მედლის გარეშე ტოვებდა საფრანგეთს. გუშინ ამ ქვეყნისა და სლალომის ფავორიტთა პრესტიჟი **მანფრედ პრანგერმა** დაიცვა. მას შემდეგ, რაც სტარტზე გამოსული ხუთი ავსტრიელიდან ოთხმა ფინიშს ვერ მიაღწია (მათ შორის, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ბენიამინ რაიხმა**), პრანგერმა მეორე ცდაზე მშვიდი ტაქტიკა აირჩია და დისტანციის პირველ ნახევარზე რისკს მოერიდა. სწორედ ტრასის ზედა ნაწილში ეთიშებოდნენ ბრძოლას ფავორიტები. პრანგერმა დისტანციის შუაში უმატა სიჩქარეს, ხოლო ბოლო ეტაპი უსწრაფესად გაიარა, რითაც გვარიანად გაანბილა ადგილობრივი გულშემატკივრები. პრანგერის უშეცდომო გამოსვლამ ოქროს მედალი დააკარგვინა ფრანგ **ჟულიან ლიზერუს**, რომელიც ამჯერადაც ვერცხლის მედალს დასჯერდა (პირველი ვერცხლი მან სუპერკომბინაციაში მოიპოვა). ასე რომ, მასპინძელთა ნაკრებმა საშინაო პირველობა ოქროს მედლის გარეშე დაასრულა.

**გია თვალაბეიშვილი**



**სლალომი. ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1. რიში (გერ) | 1:51.80 | (55.63+56.17) |
| 2. ზაროზსკა (ჩეხ) | 1:52.57 | (55.47+57.10) |
| 3. პოუტიაინენი (ფინ) | 1:52.89 | (55.91+56.98) |
| 4. კარბონე (იტა) | 1:52.90 | (55.95+56.95) |
| 5. გიუსი (იტა) | 1:52.93 | (56.75+56.18) |
| 6. ფიერაბენდი (შვეი) | 1:53.49 | (56.46+57.03) |

**სლალომი. კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1. პრანგერი (ავსტრი) | 1:44.17 | (52.49+51.68) |
| 2. ლიზერუ (საფ) | 1:44.48 | (52.98+51.50) |
| 3. მიხაელ იანიკი (კან) | 1:45.70 | (54.37+51.33) |
| 4. ნოიროითერი (გერ) | 1:45.89 | (54.98+50.91) |
| 5. ჰარგინი (შვედ) | 1:46.23 | (54.42+51.81) |
| 6. მისილიე (საფ) | 1:46.46 | (55.18+51.28) |

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 3 | 1 | 6 |
| 2. ავსტრია | 2 | 1 | 2 | 5 |
| 3. აშშ | 2 | 0 | 1 | 3 |
| 4. გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 5. ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 5. კანადა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 7. საფრანგეთი | 0 | 3 | 0 | 3 |
| 8. იტალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 9. სლოვენია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 9. ჩეხეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 11. ფინეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 12. ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**13 თებერვალი**

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 სალვადორი-3 (მადენი-15).

**კოლამბუსი-დეტროიტი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ტორესი-3 (პეკა-11), 1:1 ლიდსტრომი-10 (დაციუკი-45), 2:1 ჩიმერა-8 (ვორაჩეკი-18, რასელი-12), 2:2 სამუელსონი-16 (ჰუდლერი-28), 3:2 ჯეისონ უილიამსი-12 (ვორაჩეკი-19, მეტოტი-10).

**ბაფალო-სან ხოსე 6:5 (ბ)**

3:1, 1:2, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 მეირი-7 (რივე-12, კოტალიკი-17), 2:0 მპაჩეკი-4 (კონოლი-11, პომინვილი-31), 3:0 დ. როი-20 (სტეფორდი-20), 3:1 მარლო-28 (ვლასიჩი-23, ჯ. ტორნტონი-46), 4:1 კოტალიკი-12 (რივე-13, ელისი-4), 4:2 მარლო-29 (ჯ. ტორნტონი-47, სემიონოვი-5), 4:3 ბოილი-14 (ჯ. ტორნტონი-48), 4:4 სეტოგუჩი-23 (ბოილი-28, ჯ. ტორნტონი-49), 4:5 პაველსკი-15, 5:5 პომინვილი-13 (რივე-14, დ. როი-32).

ბულიტები გაიტანეს: პომინვილი (ბაფალო), მარლო (სან ხოსე), დ. როი (ბაფალო).

**ფლორიდა-რეინჯერსი 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 სიოსტრიომი-4 (ორი-4, ბეტსი-3).
ბულიტები გაიტანეს: ზედნიკი (ფლორიდა)

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ბოიესი-25 (ე. მაკდონალდი-14, ოში-12).

**დალასი-ვანკუვერი 2:1**

0:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 პიატი-7 (ბერნიე-14, ო'ბრაიენი-9), 1:1 ერიქსონი-26 (ნისკანენი-21, მოდანო-22), 2:1 ლუნდკვისტი-1 (ერიქსონი-14, ტურკო-4).

**კოლორადო-მონრეალი 2:4**

0:2, 1:0, 1:2

გოლები: 0:1 ბუიონი-5 (პასიორეტი-5, დ'აგოსტინი-5), 0:2 ბრისბუა-4 (ს. კოივუ-19, მარკოვი-35), 1:2 ლეოპოლდი-6 (მაკორმიკი-7, სალეი-14), 2:2 არნასონი-4 (ლაილსი-21, ბუდაი-1), 2:3 ა. კოსტიცინი-19 (დანდენო-4, გორჯესი-12), 2:4 კოსტოპულოსი-6 (კომისარეკი-6, ს. კოივუ-20).

**14 თებერვალი**

**ფილადელფია-აილენდერსი 5:1**

2:0, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 ჟირუ-2 (აპშოლი-13, ალბერტსი-10) 2:0 პარტნელი-21 (ჯ. კარტერი-25, ლუპული-17), 2:1 პილბერტი-10 (პილენი-2, ბერგენჰაიმი-5), 3:1 მ. კარლი-4, 4:1 ეშემი-4, 5:1 საიმონ განიე-22 (ბულიტი).

**ლ. ანჯელესი-ედმონტონი 2:3 (ბ)**

0:2, 1:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 პენერი-14 (პემსკი-30), 0:2 ჰორკოფი-12 (პენერი-14, ჰამსკი-31), 1:2 დოუტი-4 (სტოლი-19, ჰანძუში-15), 2:2 დ. ბრაუნი-21 (ფროლოვი-18, ქუინსი-27).

ბულიტები გაიტანეს: სემ განიე (ედმონტონი), ნილსონი (ედმონტონი).

**ტორონტო-პიტსბურგი 6:2**

0:2, 1:0, 5:0

გოლები: 0:1 კუკი-8 (მალკინი-57, ლეტანგი-14), 0:2 ბ. ტომასი-2 (ჯ. სტაალი-16), 1:2 ანტროპოვი-18 (ფინგერი-11, სტაიანი-25), 2:2 ჯ. ბლეიკი-20 (ი. უაიტი-10, მური-26), 3:2 ჯ. ბლეიკი-21 (მური-27), 4:2 ჯ. მიტჩელი-4 (კულემინი-11, გრაბოვსკი-15), 5:2 პონიკაროვსკი-17 (ანტროპოვი-23, სტაიანი-26), 6:2 სტაიანი-13 (პონიკაროვსკი-20, ანტროპოვი-24).

**კაროლინა-კოლამბუსი 1:5**

0:1, 0:1, 1:3

გოლები: 0:1 კომოდორი-5 (პეკა-12, ბოლი-7), 0:2 ჰუსელიუსი-15 (რასელი-13, ნეში-26), 0:3 უმბერგერი-17 (ტოუტინი-18, ჰუსელიუსი-24), 1:3 საიდენბერგი-3, 1:4 მალორტა-7 (ნეში-27, ჰეიდა-13), 1:5 ჰუსელიუსი-16 (ნეში-28, მალორტა-14).

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 1:5**

0:3, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 სიომინი-21 (ბექსტრიომი-44), 0:2 ოვეჩკინი-38 (სიომინი-27, ბექსტრიომი-45), 0:3 მ. მორისონი-2 (შტეკელი-8, გორდონი-9), 0:4 გრინი-22 (სიომინი-28), 1:4 მელოუნი-19 (ლეკავალიე-27), 1:5 ფერი-8 (ფლიშმანი-13).

**ნეშვილი-ბოსტონი 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ლეგუანდი-13 (ტუტუ-7, სუტერი-26), 2:0 ლეგუანდი-14 (ჯ. უორდი-10), 2:1 უილერი-16 (კრეისი-38, საბოტკა-3), 2:2 ხარა-13 (პ. ბერჟერონი-18, ვიდემანი-27).

ბულიტები გაიტანეს: ლეგუანდი (ნეშვილი).

**მინესოტა-ოტავა 3:5**

3:0, 0:3, 0:2

გოლები: 1:0 ბუშარი-13 (ნოლანი-12, შეპარდი-9), 2:0 ნოლანი-14 (ბერნსი-14, მ-ა. ბერჟერონი-15), 3:0 ნოლანი-15 (შეპარდი-10, ბუშარი-22), 3:1 ლი-2 (ვერმეტი-14, პიტლი-25), 3:2 ვერმეტი-9 (კელი-9), 3:3 ფილიპსი-5 (ალფრედსონი-34, კელი-10), 4:3 ალფრედსონი-17, 5:3 პიტლი-25 (სპეცა-24, ალფრედსონი-35).

**ჩიკაგო-დალასი 6:2**

1:0, 2:0, 3:2

გოლები: 1:0 ბროუერი-8 (ტეუვზი-24, კეინი-30), 2:0 ჰავლატი-18 (ტეუვზი-25, ბ. კემპბელი-31), 3:0 პავლატი-19 (ბოლანდი-22), 4:0 ტეუვზი-18 (ბროუერი-11, კეინი-31), 5:0 ფრეზერი-5 (ვიშნიევსკი-8, ბიფულინი-11), 5:1 ბრუნსტრიომი-12 (მოდანო-23, ნილი-11), 5:2 სატერბი-7 (ერიქსონი-15, დელეი-14), 6:2 ვერსტეეგი-16 (ლედი-24, ჰავლატი-26).

**ფინიქსი-კალგარი 5:7**

1:1, 1:4, 3:2

გოლები: 1:0 ვინიკი-1 (ზ. მიხალეკი-16, ფედორუკი-4), 1:1 ა. ოკუანი-9 (ბერტუცი-24, კამალერი-25), 1:2 ლენგკოუ-17 (მოსი-10, ჯორდანო-17), 1:3 სერიჩი-2 (რ. ბურკი-18, ლომბარდი-19), 2:3 ვინიკი-2 (ტიხონოვი-5, მორისი-7), 2:4 ლომბარდი-7 (ბერტუცი-25, სერიჩი-12), 2:5 გლენკროსი-10 (მოსი-11, სერიჩი-13), 2:6 ლომბარდი-8 (ბერტუცი-26, კამალერი-26), 3:6 დოუნი-22 (ო. იოკინენი-19, ჟოვანოვსკი-23), 3:7 ნისტრიომი-3 (ბერტუცი-27, ბოიდი-7), 4:7 ტიხონოვი-4 (იენდლი-20, ლინდსტრიომი-6), 5:7 ტიხონოვი-5 (ფედორუკი-5, ვინიკი-3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიათლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ოლე ყველაზე ტიტულოვანია




შაბათს ჩრდილოეთ კორეის ქალაქ პიონჩანგში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. კაცებს შორის პირველ ორ დისციპლინაში გათამაშებული მედლების შემდეგ, ბიატლონის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა ლეგენდარული ნორვეგიელი **ოლე ეინარ ბიორნდალენი**. ჩემპიონატის პირველ დღეს, 10-მეტრიან სპრინტში მან ოქროს მედალი მოიპოვა, რითაც 11-გზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, სულ კი 30-ე (!) მედალი მიითვალა.

ნორვეგიელმა გუშინაც მოიგო გამოდევნებით რბოლა, მაგრამ ფინიშის შემდეგ ერთ საათში მესამე ადგილამდე ჩამოაქვეითეს. საქმე ისაა, რომ ოლემ წინასწარ დადგენილ მარშრუტს გადაუხვია, რის გამოც ერთწუთიანი ჯარიმა მიიღო და ოქროს მედალი ბრინჯაოთი შეუცვალეს. შესაბამისად, პირველი ადგილი რუს **მაქსიმ ჩუდოვს** მისცეს, რომელმაც დისტანციაზე პირწმინდად წააგო ბრძოლა ბიორნდალენთან.

### კაცები

#### 10 კმ. სპრინტი

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - 24:16.5 (1+1); 2. ლარს ბერგერი (ნორ) - +1.2 (1+1); 3. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორ) - +12.5 (0+0); 4. ალექსანდერ ოსი (ნორ) - +24.6 (1+0); 5. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - +29.1 (0+0); 6. სიმონ ფურკადი (საფ) - +50.1 (0+1).

#### 12.5 კმ. გამოდევნება

1. მაქსიმ ჩუდოვი (რუს) - 31:28.4 (0+0+1+2); 2. ალექსანდერ ოსი (ნორ) - +11.1 (0+0+2+1); 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორ) - +18.3 (0+2+0+2); 4. ტომაშ სიკორა (პოლ) +1:25.2 (0+0+2+1); 5. სიმონ ფურკადი (საფ) - +1:50.0 (0+0+2+2); 6. ლარს ბერგერი (ნორ) - +1:52.8 (2+3+1+2).

### ქალები

#### 7.5 კმ. სპრინტი

1. კატი ვილჰელმი (გერ) - 21:11.1 (0+0); 2. სიმონე ჰაუსვალდი (გერ) - +9.9 (0+0); 3. ოლგა ზაიცევა (რუს) - +27.1 (0+0); 4. ანა ბულიგინა (რუს) - +53.3 (0+0); 5. ჰელენა იონსონი (შვედ) - +54.7 (1+0); 6. ანდრეა ჰენკელი (გერ) - +55.0 (1+1).

#### 10.0 კმ. გამოდევნება

1. ჰელენა იონსონი (შვედ) - 34:12.39 (2+0+0+0); 2. კატი ვილჰელმი (გერ) - +18.2 (1+1+3+1); 3. ოლგა ზაიცევა (რუს) - +24.0 (0+3+1+2); 4. კაისა მაკარიაინენი (ფინ) - +36.8 (1+0+1+0); 5. დარია დომრაჩოვა (ბლრ) - +39.0 (1+0+1+0); 6. მარტინა ბეკი (გერ) - +46.7 (0+0+1+1).

კალათბურთი ტრანსფერი

# მერიონი ტორონტოში წავიდა

"ტორონტო რეპტორზმა" და "მაიამი ჰიტმა" მასშტაბური გაცვლა განახორციელეს. ტრეიდში ოთხმა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა, მთავარი მოქმედი პირები კი "ჰიტის" 30 წლის ფორვარდი **შონ მერიონი** და "რეპტორზის" ცენტრი **ჯერმეინ ო'ნილი** გახდნენ.

ო'ნილთან ერთად კანადიდან ფლორიდაში გადავა თავდამსხმელი **ჯამარიო მუნი**, გარდა ამისა, "ტორონტომ" დრაფტში მოთამაშის არჩევის უფლებაც დათმო. "მაიამი" კი მერიონთან ერთად მცველ **მარკუს ბენქსს** შეელია და ფულადი კომპენსაციაც გადაიხადა.

10-წლიანი კარიერის განმავლობაში მერიონის ("მაიამიმდე" ის "ფინიქსში" თამაშობდა) საშუალო მაჩვენებლები 17.9 ქულას, 10.0 მოხსნასა და 1.9 ჩაქრას უდრის. ჯერმეინი ზაფხულში "ინდიანადან" "ტორონტოში" გადავიდა და თავის ახალ კლუბში 41 მატჩი ჩაატარა. ის საშუალოდ შეხვედრაში 13.5 ქულასა და 7.0 მოხსნას აგროვებს.

# ჯორდანს დიდების დარბაზი ელირსა

ერთვნული საკალათბურთო ასოციაციის სამი ლეგენდა - **მაიკლ ჯორდანი, ჯონ სტოქტონი** და **დევიდ რობინსონი** ჯეიმს ნეისმიტის სახელობის საკალათბურთო დიდების დარბაზში შესვლის კანდიდატებად დასახელდნენ. ლაურეატების ვინაობა 6 აპრილს გახდება ცნობილი.



ჯორდანი და სტოქტონი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან, ხოლო მათი დაპირისპირება "იუტასა" და "ჩიკაგოს" შორის NBA-ის ფინალური სერიების მშვენებად იქცა. ჯორდანის აქტივში ექვსი საჩემპიონო ტიტულია (ექვსივე შემთხვევაში ის ფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელი ხდებოდა), ის აგრეთვე ხუთჯერ დასახელდა რეგულარული ჩემპიონატის MVP-ედ. სტოქტონი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდსმენია შედეგიანი პასებისა და ჩაჭრების რაოდენობით.

ნომინანტთა შორის მოხვდა ლეგენდარული საბჭოთა მწვრთნელი **ვლადიმერ კონდრაშინი**, რომლის ხელმძღვანელობითაც სსრკ-ის ნაკრებმა 1972 წლის ოლიმპიადაზე პირველად მოიპოვა ოქროს მედალი. ასევე, დიდების დარბაზში შესვლაზე პრეტენზიას აცხადებენ NBA-ის მოქმედი მწვრთნელები - **ჯერი სლოუნი** ("იუტა") და **დონ ნელსონი** ("გოლდენ სტეიტი").

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## მინგმა წასვლა გადაწყვიტა

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრი **იაო მინი** აცხადებს, რომ 2010 წელს დაასრულებს აქტიურ სპორტულ კარიერას. წელს ჩინელი ვარსკვლავი მეშვიდე სეზონს ატარებს "რაკეტების" რიგებში.

*"მამაჩემმა მოთამაშის კარიერა 28 წლის ასაკში დაასრულა, დედაჩემი კი 30 წლისა უკვე სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწეოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მე მათზე უფრო მეტ ხანს გავატარებ მოედანზე და სავარაუდოდ, 2010 წელს წავალ დიდი სპორტიდან"*, - ამბობს იაო მინი.

## სტივ კერი ფინიქსს ჩაიბარებს

THE NEW YORK POST-ის ინფორმაციით, უახლოეს ხანში "ფინიქს სანზის" მთავარი მწვრთნელი, შესაძლოა" ამ გუნდის გენერალური მენეჯერი **სტივ კერი** გახდეს. ის ამ პოსტზე **ტერი პორტერს** შეცვლის.

კერმა მოთამაშის კარიერა 2002 წელს დაასრულა. მას "ფინიქსის", "კლივლენდის", "ორლანდოს", "ჩიკაგოს", "სან ანტონიოსა" და "პორტლენდის" ღირსება დაუცავს. ამის შემდეგ ის ტელეარხ TNT-ის ანალიტიკოსის ფუნქციებს ასრულებდა, 2007 წელს კი "ფინიქსის" გენერალური მენეჯერის პოსტზე **ბრაიან კოლანჯელო** შეცვალა.

## ჩიკაგო გენერალურ მენეჯერს ცვლის

ამერიკული პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ სულ მალე "ჩიკაგო ბულზის" გენერალური მენეჯერის პოსტს დატოვებს **ჯონ პაქსონი**.

წარსულში ცნობილი კალათბურთელის ადგილს მისივე თანაშემწე **გარ ფორმანი** დაიკავებს, რომელიც სეზონის ბოლომდე იმუშავებს გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე.

ეს ცვლილება 19 თებერვლამდე მოხდება, როცა ამოიწურება მოთამაშეთა გაცვლების პერიოდი.

## სან ანტონიო კარტერზე ნადირობს

"სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობა სეზონის მეორე ნახევრისთვის შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავს. ამ მიზნით ტეხასური კლუბი "ნიუ ჯერსის" ფორვარდ **ვინს კარტერში** სამ კალათბურთელს თმობს.

კერძოდ, 31 წლის კარტერის სანაცვლოდ "ნეტსი" მცველ **როჯერ ბეის ინს**, ფორვარდ **ბრიუს ბოუენსა** და ცენტრ **ფაბრისიო ობერტოს** მიიღებს.

ცხელი ხაზი

### კალათბურთი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ლუდვიგსბურგი | 75:60 |
| ბამბერგი-პადერბორნი | 77:82 |
| ჰესენი-ტიუბინგენი | 82:70 |
| ტრირი-ჯაიანტსი | 84:82 (ო) |
| ეტრლანდი-ტელეკომი | 64:72 |
| დიუსელდორფი-გეტინგენი | 49:54 |
| სკაილაინერსი-ულმი | 69:74 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პანელინიოსი-აეკ | 74:82 |
| ოლიმპიაკოსი-კავალა | 90:68 |
| არისი-ოლიმპია | 62:46 |
| ეგალეო-პაოკ | 78:74 (ო) |
| რალისა-მარუსი | 76:87 |
| პანიონიოსი-კოლოსოსი | 75:60 |
| ტრიკალა-პანათინაიკოსი | 69:93 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| უნიკახა-მურსია | 74:78 |
| რეალი-ტაუგრესი | 81:79 |
| ესტუდიანტესი-სარაგოსა | 89:78 |
| ბარსელონა-ფუენლაბრადა | 95:91 |
| ბრუესა-ბილბაო | 87:73 |
| გრანადა-ხუვენტუდი | 86:92 |
| მენორკა-გრან კანარია | 64:67 |
| მანრესა-ვალენსია | 74:73 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ვირტუსი-სკავოლინი | 95:88 |
| ტერამო-რომა | 86:77 |
| მონტეგრანარო-მილანი | 82:81 (ო) |
| ბიელა-აველინო | 81:78 |
| კაზერტა-ბენეტონი | 77:73 |
| კანტუ-სნაიდერო | 113:105 (ო) |
| რიეტი-ფორტიტუდო | 75:66 |
| ფერარა-სიენა | 75:103 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვიში-ლე მანი | 68:66 |
| ჰავრი-ვილერბანი | 61:79 |
| გრაველინი-ტულონი | 78:87 |
| ნანსი-პო ორტეზი | 94:60 |
| რონანი-ბეზანსონი | 73:72 |
| რუანი-ორლეანი | 68:70 |
| სტრასბური-დიჟონი | 79:103 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ლოკომოტივი | 1:2 |
| სიბირი-სკა | 2:3 |
| მეტალურგი (მ)-ბარისი | 5:2 |
| ს. იულიაევი-ხიმიკი | 3:5 |
| ატლანტი-დინამო (რ) | 4:2 |
| ტრაქტორი-ავანგარდი | 3:6 |
| აკ ბარსი-ლადა | 1:1 |
| ნეფტეხიმიკი-ვიტიაზი | 10:2 |
| ტორპედო-დინამო | 3:2 |
| მვდ-დინამო (მნ) | 5:5 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-კლაგენფიურტი | 1:3 |
| ალბა-ვენა | 2:2 |
| გრაცი-ზალცბურგი | 2:1 |
| ინსბრუკი-ოლიმპია | 5:3 |
| ლინცი-ვილახი | 2:5 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 2:3 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 5:8 |
| დუისბურგი-შტრაუბინგი | 2:3 |
| ინგოლშტადტი-აისბერენი | 3:5 |
| იზერლონი-აუგსბურგი | 2:2 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1:4 |
| ფრანკფურტი-კრეფელდი | 5:0 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სპარტა | 2:2 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 1:4 |
| სტიორნენი-კომეტი | 3:5 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 4:2 |
| ფურუსეტი-სტავანგერი | 1:7 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-კოშიცე | 2:4 |
| ბისტრიცა-მარტინი | 3:2 |
| მიკულაში-ზვოლენი | 2:4 |
| პოპრადი-კეჟმაროკი | 1:4 |
| სკალიცა-სლოვანი | 2:5 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| კალპა-კიეკო | 1:1 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 9:2 |
| სეიპა-ტპს | 2:3 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 3:2 |
| ლუკო-ჰიფკ | 4:6 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-სპარტა | 2:4 |
| ვიტკოვიცე-კლადნო | 7:2 |
| ჟლინი-პარდუბიცე | 5:1 |
| სლავია-ტრშინეცი | 5:4 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 4:0 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 5:3 |
| პლზენი-ზნოიმო | 5:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ცუგი | 0:4 |
| ბერნი-კლოტენი | 3:2 |
| ბილი-ლანგნაუ | 5:2 |
| დავოსი-ჟენევა | 6:3 |
| ლუგანო-ციურიხი | 4:4 |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 6:1 |
| ჟენევა-ბერნი | 3:3 |
| კლოტენი-ფრიბურგი | 2:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 1:3 |
| მოდო-იურგორდენი | 4:4 |
| როგლე-ბრიუნესი | 1:4 |
| სიოდერტალე-ლულეო | 0:4 |
| ჰვ71-აიკ | 2:3 |
| ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 8:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. როტერდამი

| | |
|---|---|
| მიურეი-ანჩიჩი | 6:1, 6:2 |
| ნადალი-მონფილსი | 6:4, 6:4 |
| ნადალი-მიურეი | 3:6, 6:4, 0:6 |

#### ATP. სან ხოსე

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-როდიკი | 3:6, 7:6, 6:4 |
| ფიში-ბლეიკი | 6:3, 6:2 |

#### ATP. კოსტა დუ სოუპე

| | |
|---|---|
| რობრედო-ბელუჩი | 6:3, 3:6, 6:4 |

#### WTA. პარიზი

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-მორესმო | 2:6, 6:0, 1:6 |
| დემენტიევა-მორესმო | 6:7, 6:2, 4:6 |

#### WTA. პატაია

| | |
|---|---|
| ზვონარევა-პეერი | 6:1, 6:4 |
| მირზა-რიბარიკოვა | 6:4, 5:7, 6:1 |
| ზვონარევა-მირზა | 7:5, 6:1 |

TV პროგრამა

### 16 თებერვალი. ორშაბათი

#### I არხი

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ხეტაფე.
09:20 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-არმინია.
11:10 საფრანგეთის ჩემპიონატი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
15:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი.
19:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სევილია.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-რივერ პლეიტი
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
02:35 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-არმინია.
06:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ჰავრი.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
17:15 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ლუკას პოდოლსკი.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
23:15 მულტისპორტი.
23:30 არმრესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. III ეტაპი. საუსალიტო-სანტა კრუსი. აშშ

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. შვედეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. სვენდბორგი (დანია)-კილი (გერმანია).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:15 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
18:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. შვედეთი.
20:15 ახალი ამბები.
20:30 წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
21:00 ჰოკეი. ახალგაზრდული ევროპული ოლიმპიური ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 ლაკროსი. რეგულარული სეზონი.
01:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. შვედეთი.
02:00 ბილიარდი.
03:00 ახალი ამბები.

კალათბურთი. ყველა ვარსკვლავის უიქ ენდი

# რობინსონი სუპერმენს გადაახტა

ეროვნული ბიბლიოთეკა











ფინიქსში "ყველა ვარსკვლავის უიქენდი" დებიუტანტებსა და მეორეწლიანებს შორის ტრადიციული მატჩით დაიწყო.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დებიუტანტებმა ტოლი არაფერში დაუდეს ერთი წლით უფრო გამოცდილ კალათბურთელებს და პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც, მაგრამ "ოკლაჰომას" ფორვარდ **კევინ დურანტის** ფენომენალური თამაშის წყალობით, მეორეწლიანებმა მაინც შეძლეს ამ მატჩის ზედიზედ მეშვიდედ მოგება.

დურანტი შეხვედრის რეკორდსმენი გახდა - აქამდე, ამ ფორმატით გამართულ შეხვედრაში 46 ქულა არც ერთ კალათბურთელს არ დაუგროვებია. საბოლოოდ, ოკლაჰომელი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

გუნდებმა თავიდანვე უარი თქვეს დაცვით მოქმედებებზე და მხოლოდ სროლების სიზუსტეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამაზე მატჩის სტატისტიკაც მეტყველებს - მეორეწლიანებმა თამაშიდან ტყორცნების 60.7 პროცენტი გამოიყენეს, დებიუტანტებმა - 51.3.

**დებიუტანტ-მეორეწლიან 116:122**

**დ:** ბიზლი (29), ფერნანდესი (14), მ. გასოლი (15+8 მოხსნა), როუზი (4+7 პასი), გორდონი (19+6 მოხსნა), მაიო (12), უესტბრუკი (12), ლოპესი (11+6 მოხსნა), ოდენი (არ უთამაშია).

**მ:** გრინი (13), იანგი (13), ჰორფორდი (10), სტაკი (12+9 პასი), დურანტი (46+7 მოხსნა), ტორნტონი (10), ჩენდლერი (6+7 მოხსნა), სკოლა (6+6 მოხსნა), ბრუქსი (6).

■ ■ ■

უიქ ენდის მეორე დღეს, ყველაზე დიდი ინტერესი ჩატენვების კონკურსმა გამოიწვია. **დუაიტ ჰოვარდის** ("ორლანდო"), **ნეიტ რობინსონის** ("ნიუ იორკი"), **რუდი ფერნანდესისა** ("პორტლენდი") და **ჯეი არ სმიტის** ("დენვერი") ბრძოლაში ფავორიტად, რა თქმა უნდა, შარშანდელი გამარჯვებული ჰოვარდი ითვლებოდა.

NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრის პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა, როცა პირველ წრეში დუაიტმა ჟიურის მაქსიმალური შეფასება დაიმსახურა. ფინალში მისი მეტოქე "ნიუ იორკ ნიქსის" მცველი ნეიტ რობინსონი გახდა.

ისევე როგორც შარშან, ჰოვარდმა წელსაც გაართო პუბლიკა, როცა მოედანზე "სუპერმენის" კოსტიუმში გამოწყობილი გავიდა. დუაიტს მხოლოდ ამით არ მოუხდენია ეფექტი. ფინალში პირადად მისთვის მეორე ფარი გამოიტანეს - კალათი პარკეტიდან 340 სანტიმეტრ სიმაღლეზე იყო დაყენებული (ჩვეულებრივზე 35 სანტიმეტრით მაღლა), მაგრამ ჰოვარდმა ჩვეულ ათლეტურ სტილში ჩატენა ბურთი, რითაც ფინიქსის დარბაზში მყოფი პუბლიკის აღფრთოვანება გამოიწვია.

მაგრამ "ორლანდოს" ცენტრის მონდომებას ხაზი გადაუსვა ნეიტ რობინსონის ერთმა ტრიუკმა. ფინალში მორიგი სლემ-დანკის შესრულებისთვის, ნიუიორკელმა დასახმარებლად... თავის მოწინააღმდეგეს მიმართა. 175 სანტიმეტრი სიმაღლის მცველმა 211-სანტიმეტრიანი ჰოვარდი ფარის წინ დააყენა, თავზე გადააფრინდა და ბურთი კალათში ჩატენა (!).

ამ არაადამიანური ნახტომის წყალობით, ნეიტ რობინსონმა მეორედ მოიგო სლემ-დანკის კონკურსი (პირველად 2006 წელს გაიმარჯვა). ჰოვარდი დიდად არ განაწყენებულა, პირიქით, ჟიურისა და მაყურებლებში მეტოქეს აგიტაციას უწევდა.

*"კარგია, რომ დუაიტმა ტრიუკის შესრულებაში დახმარება გამიწია. გუშინ ლიფტით ერთად ვიმგ ზავრეთ და ეს იდეა სწორედ მაშინ მივაწოდე. ჰოვარდმა მიპასუხა: "რა თქმა უნდა, თანახმა ვარ". თავიდან მეგონა, რომ მეხუმრებოდა"*, - განაცხადა პრიზის მიღების შემდეგ რობინსონმა.

*"ნეიტმა სამართლიანად გაიმარჯვა. მისი ტრიუკი გულშემატკივრებს ყველაზე მეტად მოეწონათ. ჩვენ მაყურებლისთვის, უბრალოდ, შოუს ჩვენება გვინდოდა, სწორედ ამისთვის ტარდება ვარსკვლავური უიქენდები. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება გამარჯვებული"*, - თავის მხრივ დაამატა "ორლანდოს" ცენტრმა.

■ ■ ■

არანაკლებ საინტერესო იყო სამქულიანების კონკურსი. ფინალისტებს - **დეშოუნ კუკსა** ("მაიამი") და **რაშარდ ლუისს** ("ორლანდო") ორჯერ მოუწიათ მოედანზე გასვლამ. პირველ ჯერზე მათ ერთნაირი ქულები დააგროვეს, რის შემდეგაც კალათბურთელებს დამატებითი წუთი მიეცათ 25 ტყორცნის შესასრულებლად. აქ კი ბრძოლა აღარ შედგა. ლუისმა საწყისი ათი სროლიდან ვერც ერთი მოათავსა კალათში. მართალია, შემდეგ შვიდი ბურთი ჩააგდო, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს საკმარისი არ იქნებოდა საბოლოო წარმატების მისაღწევად.

ასეც მოხდა. კუკმა 25-დან 16 ზუსტი ტყორცნა შეასრულა, რითაც დიდად გაახარა თავისი ვარსკვლავი თანაგუნდელი **დუეინ უეიდი**. *"მობილიზებული ვიყავი. ფინიქსში შანსი მომეცა დამემტკიცებინა, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი ვარ და საბედნიეროდ, ამის გაკეთება შევძელი"*, - განაცხადა გამარჯვებულმა.

ამჯერად ფინალში გასვლაც კი ვერ მოახერხა სამქულიანებში წინა ორი კონკურსის გამარჯვებულმა **ჯეისონ კაპონომ**.



სნაიპერების გუნდურ კონკურსში (აქ სამეულები ეჯიბრებიან ერთმანეთს - თითო გუნდში შედის მოქმედი ქალი და მამაკაცი კალათბურთელი და წარსულის ცნობილი მოთამაშე) "დეტროიტმა" გაიმარჯვა. ძრავების ქალაქის ღირსება წარმატებით დაიცვეს "დეტროიტ პისტონზის" მცველმა **არონ აფლალომ**, WNBA-ის კლუბ "დეტროიტ შოკის" გამთამაშებელმა **კეტი სმიტმა** და "პისტონზის" ლეგენდარულმა ცენტრმა **ბილ ლემბირმა**.

დაბოლოს, საშემსრულებლო ოსტატობის კონკურსში პირველობა არავის დაუთმო "ჩიკაგო ბულზის" დებიუტანტმა **დერიკ როუზმა**. ფინალში მან 35.3 წამში გაართვა თავი დავალებას და ოთხ წამზე მეტი მოუგო "ნიუ ჯერსი ნეტსის" მცველ **დევინ ჰარისს**.

"ყველა ვარსკვლავის უიქენდის" დამაგვირგვინებელი აკორდი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებთა შეხვედრა იყო, რომელიც თბილისის დროით დღეს დილით გაიმართა. მასზე მომდევნო ნომერში მოგითხრობთ.

**გია თვალაბეიშვილი**

